ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

რომანული ფილოლოგიის კათედრა

თამარ გაგოშიძე

# დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

# პოლიტიკური დისკურსი – მსმენელზე ორიენტირებული ფსიქოლინგვისტური ხელოვნება

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

უნივერსიტეტის გამომცემლობა

2015

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომანული ფილოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ქეთევან გაბუნია**
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: 1. **ციური ახვლედიანი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

2. **ნინო ქემერტელიძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგა 2015 წლის 26 სექტემბერს, 12 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №36, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის V კორპუსი, 313-ე აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი:
ფილოლოგიის დოქტორი, **ე. ბჟალავა**
პროფესორი

# აბსტრაქტი


სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება პოლიტიკური დისკურსის ფსიქოლინგვისტური კუთხით შესწავლას, კერძოდ, კი იმ ენობრივი თუ სამეტყველო ერთეულების და ასპექტების განხილვას, რომელთა საშუალებითაც დისკურსის ავტორი ზეგავლენას ახდენს მსმენელი საზოგადოების ცნობიერებაზე.

დისკურსი მსმენელზე ორიენტირებული ხელოვნებაა. პოლიტიკური დისკურსი, როგორც ლინგვისტიკის საკვლევი ფენომენი, წარმოადგენს რთულ და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ნიშანთა სისტემას, რომელიც მიზნად ისახვს ხალხის მასებზე ზემოქმედებას. იგი წარმოგვიდგება, როგორც მსმენელზე ორიენტირებული ლინგვისტური და სოციო-კულტურული ნიშნების ერთობლიობა, რომლის ანალიზი, ფსიქო-ლინგვისტური კუთხით, იძენს ჩამოყალიბებულ სახეს. დისკურსის და, მათ შორის, პოლიტიკური დისკურსის სპეციფიკების და მიზნობრიობის შესწავლა წარმოადგენდა მრავალი სამეცნიერო დარგის - მათ შორის, ლინგვისტიკის და ფსიქოლინგვისტიკის საკვლევ სფეროს; ამგვარად, წარმოდგენილ ნაშრომში პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტური კვლევის თეორიები განხილულია, როგორც თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკის ძირითადი წყარო.

თანამედროვე მეცნიერება ჯერ ვერ აყალიბებს დისკურსის და, კერძოდ, პოლიტიკური დისკურსის დეტალური მახასიათებლების ამომწურავ და დეტალურ სქემას, რომლის გარკვეულ მცდელობას წარმოადგენს აღნიშნული სამეცნიერო ნაშრომი.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითად მეთოდოლოგიურ საფუძვლად აღებულია შეერთებული შტატების ლინგვისტური სკოლების ბაზაზე მეოცე საუკუნის ბოლო წლებში შექმნილი ორი თეორია - ერთი მხრივ, ჯ. ლაკოფისა და მ. ჯონსონის თეორია კონცეპტუალური მეტაფორის შესახებ და მეორე მხრივ, მ. ტერნერის და ჯ. ფოკონიეს ნაშრომი, რომელიც ეძღვნება კონცეპტუალურ ინტეგრაციას. სწორედ აღნიშნული გამოკვლევების შედეგებზე დაყრდნობამ და მათმა ლოგიკურმა სინთეზმა მოგვცა საშუალება განგვეხილა პოლიტიკური დისკურსი ახლებური, ფსიქოლინგვისტური

სპექტრის ჭრილში და დაგვესაბუთებინა მსმენელის როლის უტყუარობა პოლიტიკური სიტყვის შექმნის და წარმოთქმის პროცესში. ნაშრომში განხილულია ფრანგული ლინგვისტური სკოლის საინტერესო და ნოვატორულ გამიკვლევებიც რომლებიც, უშუალოდ ხაზს უსვამენ მსმენელის უდავო არსებობას.

ფსიქოლინგვისტური კუთხით პოლიტიკური დისკურსის შესწავლისას შემოვიფარგლეთ ცნობილი ფრანგი პოლიტიკოსების შარლ დე გოლის და ნიკოლა სარკოზის დისკურსების გარჩევით. ამერიკელი ლინგვისტების მიერ შექმნილი ორი ზემოთხსენებული თეორიის სინთეზის საფუძველზე შექმნილი ანალიზი წარმოადგენს ნოვატორულ სიტყვას თანამედროვე ლინგვისტიკაში და ფსიქოლინგვისტიკაში, რაც შეიძლება საინტერესო გახდეს უცხოელი მკვლევარებისთვისაც.

• ნაშრომში განხილულია შესწავლილი საკითხის ისტორიული და სამეცნიერო წინაპირობა, რაც გულისხმობს განსხვავებული მიდგომების, სამეცნიერო თეორიების ჩამოყალიბებას და ანალიზს, რაც დაგვეხმარა საკვლევი საგნის პლურიდისციპლინარულ და მრავალწახნაგოვან გააზრებაში;

• პირველად აღინიშნა და გამოვლენილ იქნა უნივერსალიები მოცემული თემის შესაბამისად და გამოისახა გარკვეული ნოვატორული თვალსაზრისი. არსებული თავისებურებების განხილვისა და ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, დადგინდა ფსიქოლინგვისტიკის დონეზე პოლიტიკური დისკურსის სამიზნე საზოგადოების როლის მნიშვნელობა და აღნიშნული ფენომენის რეალიზებისთვის საჭირო ლინგვისტური ერთეულები და ასპექტები;

• თანამედროვე ლინგვისტიკის და ფსიქოლინგვისტიკის სფეროებში უკვე არსებულ კვლევებზე დაყრდნობით განზოგადებულ იქნეს მიღებული შედეგები;

• დადგინდა პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტურ კონსტრუქციებში პოტენციური მსმენელის ან მსმენელი საზოგადოების როლის უდავო აქტუალობა, რაც თვალნათლივ ვლინდება სინტაგმურ და აზრობრივ დონეზე გარკვეული მარკერების და ხერხების არსებობით.

• პირველად ერთმანეთთან დაკავშირებულ იქნა ლინგვისტიკის ორი თანამედროვე თეორია და სამეცნიერო ანალიზი შესრულებულ იქნა მათი ლოგიკური სინთეზის ბაზაზე.

აღნიშნული კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელ იქნება ლინგვისტიკასა და კერძოდ, ფსიქოლინგვისტიკაში მომავალი კვლევების განხორციელებისთვის. მსმენელის როლის შესწავლა წარმოადგენს მნიშვნელოვან ბირთვს დისკურსის და პოლიტიკური დისკურსის ანალიზის საკითხში. ჩვენს მიერ მიღებული შედეგების განზოგადება საფუძველს ჩაუყრის თანამედროვე მეცნიერებაში ნოვატორული მიდგომების და თეორიების გაჩენას, რაც მნივნელოვანია თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკის განვითარებისთვის და ქართული ლინგვისტური სკოლის მიღწევების გაფართოება-პოპულარიზაციისთვის.

## Résumé

L’ouvrage représente l’étude et l’analyse psycholinguistique du discours politique. Nous envisageons des éléments et des aspects linguistiques ou langagiers à l’aide desquels l’orateur peut influencer la conscience de ses auditeurs.

Le discours est un art qui s’oriente directement vers l’auditeur. Le discours politique, comme un objet d’études scientifiques, se constitue à partir des signes linguistiques qui sont étroitement liés entre eux et dont l’objectif principal est d’influencer le raisonnement des gens. C’est une alliance des éléments socioculturels dont l’analyse du point de vue psycholinguistique lui attribue une image bien définie.

**L’actualité:** Plusieurs branches de sciences s’intéressent à étudier et à analyser les différentes approches du discours politique dont la linguistique et la psycholinguistique jouent les rôles principaux. Dans notre ouvrage les théories des études linguistiques du discours politique représentent une source importante de la psycholinguistique contemporaine.

De nos jours, les problèmes et les possibilités de leurs solutions sont discutés de la façon publique. En plus, les solutions finales dépendent de l’avis des auditeurs qui représentent souvent l’opinion de la société de tout le pays. Pendant les années dernières cet aspect du discours politique devient de plus en plus attirant pour les médias et les scientifiques de différents domaines.

Il est également à noter qu'il existe toujours les questions qui exigent plus d'attention et de longues études. Les résolutions des problèmes actuels, à cause de leur caractère cognitif, dépendent étroitement du domaine de la science rélativement récente – la psycholinguistique. Par conséquent, la science actuelle ne propose pas de schémas concrets et définitifs pour bien expliquer les phénomènes du discours politique.

L'actualité de l'ouvrage est également dictée par le nombre pas assez considérable des études géorgiennes consacré au sujet donné. Dans notre pays le discours politique est surtout décrit par les sciences politiques, la philosophie, le journalisme. Le temps dernier les linguistes commencent à s'intéresser à la question, mais le rôle de l'auditoire n'est pas bien toujours décisivement analysé. Notre ouvrage fait en partie une tentation scientifique qui essaie de présenter les études réalisées pour mettre en valeur des aspects psycholinguistiques du discours politique.

**Les objectifs et les résultats obtenus:**

1. Dans la thèse nous revisons des sources historiques et scientifiques de la question étudiée ce qui favorise l'analyse multidisciplinaire et variée exposée dans notre recherche;
2. La synthèse logique et consécutive de ces ouvrages nous ont donné la possibilité d'étudier le discours politique dans le rayon de la psycholinguistique et de prouver l'importance du rôle de l'auditeur au cours de sa réalisation. Nous présentons également des oeuvres scientifiques et des recherches des écoles linguistiques françaises qui font une importante partie des ouvrages novateurs et récents dans le domaine du linguistique et psycholinguistique;
3. En nous appuyant sur les théories déjà existantes, nous avons généralisé les résultats obtenus;
4. Nous avons prouvé l'importance du rôle de l'auditeur dans le discours politique;
5. Nous avons relié deux théories linguistiques et l'analyse se réalise à base de leur synthèse logique.

**La méthodologie** de la thèse est basée sur les ouvrages et les études réalisés à la fin du XX-ème siècle par deux écoles linguistiques des États-Unis. D'un part c'est la théorie de la métaphore conceptuelle élaborée par les scientifiques J. Lakoff et M. Jonson (Lakoff, George. *Categories and cognitive models*. Berkeley cognitive science report N 2. Berkeley: 1982) et de l'autre part, nous parlerons des recherches de M. Terner et G. Fauconnier (Fauconnier, G. *Mental spaces*. Cambridge: 1985) concernant l'intégration conceptuelle.

**Le caractère novateur:** Nous avons présenté les schémas universels et par conséquent, le point de vue novateur ce qui s'est révelé dans le rôle important et décisif de l'auditeur au cours du phénomène du discours politique réalisé à l'aide des aspects et éléments linguistiques; Les résultats obtenus sont généralisés par rapport aux recherches menées au sein des écoles linguistiques modernes. En utilisant le synthèse de deux théories les plus connues dans le monde actuel linguistique, nous avons analysé deux discours – le discours de Noël du général Charles de Gaulle et le discours prononcé par le président de France Nicolas Sarkozy en 2011 à Tbilissi. Les résultats réçus ont démontré que la cible principale de toutes les paroles politiques est la société à s'adresser.

Par conséquent, nous trouvons que notre recherche pourrait devenir intéressant pour les linguistes et les psycholinguistes géorgiens et étrangers.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი..........................................................................................................................8

თავი § 1.

პოლიტიკური დისკურსის შესწავლის თეორიული წინაპირობა............................21

1.1. რიტორიკა და ნეორიტორიკა...........................................................................21

1.2. დისკურსი და მისი პოლისემიური ხასიათი ......................................................26

1.3. ტექსტი - მკითხველზე ორიენტირებული ხელოვნება ....................................28
1.4. კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ფსიქოლინგვისტიკა ...............................49
1.5. გამონათქვამის თეორიები ............................................................................53
1.6. პრაგმატიკა ...................................................................................................55
თავი § 2.
დისკურსის ანალიზი......................................................................................................60
2.1. კოგნიტური ლინგვისტიკის საკვანძო ასპექტები..........................................63
2.1.1. ცნობიერი ანუ გონება ...............................................................................65
2.1.2. ენა და მეტყველება .....................................................................................66
2.1.3. რეპრეზენტაცია .............................................................................................68
2.1.4. კონცეპტუალიაზაცია ....................................................................................71
2.1.5. კლასიფიკაცია ................................................................................................72
2.1.6. აღქმა .................................................................................................................73
2.2. პოლიტიკური დისკურსის კოგნიტური ასპექტები ...........................................75
2.2.1. დისკურსი და ტექსტი .....................................................................................77
2.2.2. ენა, როგორც დისკურსის საბაზისო ერთეული ........................................84
2.2.3. დისკურსის სახეობები ......................................................................................87
2.2.4. ჟანრობრივი თავისებურებები ........................................................................89
თავი § 3.
პოლიტიკური დისკურსი – მსმენელზე ორიენტირებული ხელოვნება .................94
3.1. პოლიტიკური დისკურსის ძირითადი მიზნები ...................................................94
3.2. პოლიტიკური კორექტულობა ...............................................................................96
3.3. აღწერის სპეციფიკები ..............................................................................................97
3.4. პოლიტიკური დისკურსის კოგნიტური მოდელი ............................................102
3.5. მეტაფორა და პოლიტიკური დისკურსი ...........................................................105

3.5.1. მეტაფორის გამოკვლევა კოგნიტური ლინგვისტიკის კუთხით ..........108

3.5.2. კონცეპტუალური მეტაფორა პოლიტიკურ დისკურსში ........................114

3.6. კონცეპტუალური ინტეგრაციის თეორია ..........................................................123

3.7. პოლიტიკური დისკურსის როლი საომარი კონფლიქტების გადაწყვეტისას ..........................................................................................................125

3.7.1. კონცეპტუალური მეტაფორა - სიტყვათშეთანხმებიდან ტექსტამდე ..........................................................................................................126

3.7.2. კონცეპტუალური ინტეგრაცია და მისი დინამიკა შარლ დე გოლის პოლიტიკური დისკურსის მაგალითზე ................................................................138

3.7.3. საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის როლი საქართველო - ოსეთის ომის მშვიდობიან გადწყვეტაში ............................................................144

3.7.4. კონცეპტუალური მეტაფორა ნიკოლა სარკოზის დისკურსში ...........146

3.7.5. კონცეპტუალური ინტეგრაცია და მისი დინამიკა ნიკოლა სარკოზის პოლიტიკური დისკურსის მაგალითზე ................................................................152

დასკვნა ......................................................................................................................169

ბიბლიოგრაფია ..........................................................................................................173

# შესავალი

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება პოლიტიკური დისკურსის ფსიქოლინგვისტური კუთხით შესწავლას, კერძოდ კი, იმ ენობრივი თუ სამეტყველო ერთეულების და ასპექტების განხილვას, რომელთა

საშუალებითაც დისკურსის ავტორი ზეგავლენას ახდენს მსმენელი საზოგადოების ცნობიერებაზე.

დისკურსი მსმენელზე ორიენტირებული ხელოვნებაა. პოლიტიკური დისკურსი, როგორც ლინგვისტიკის საკვლევი ფენომენი, წარმოადგენს რთულ და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ნიშანთა სისტემას, რომელიც მიზნად ისახვს ხალხის მასებზე ზემოქმედებას. იგი წარმოგვიდგება, როგორც მსმენელზე ორიენტირებული ლინგვისტური და სოციო-კულტურული ნიშნების ერთობლიობა, რომლის ანალიზი, ფსიქო-ლინგვისტური კუთხით, იძენს ჩამოყალიბებულ სახეს. დისკურსის და, მათ შორის, პოლიტიკური დისკურსის სპეციფიკების და მიზნობრიობის შესწავლა წარმადგენდა მრავალი სამეცნიერო დარგის - მათ შორის, ლინგვისტიკის და ფსიქოლინგვისტიკის საკვლევ სფეროს, ამგვარად, წარმოდგენილ ნაშრომში პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტური კვლევის თეორიები განხილულია, როგორც თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკის ძირითადი წყარო.

დღესდღეისობით არსებული მრავალი პრობლემის თუ სიტუაციის განხილვა მიმდინარეობს საჯაროდ, უფრო მეტიც, მათი საბოლოო გადაწყვეტა პირდაპირპროპორციულად უკავშირდება მსმენელის, დისკურსის ადრესატის, ანუ ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქის ინტერპრეტირებას და თვალსაზრისს. ბოლო წლებში ზოგადად დისკურსის აღნიშნული ასპექტი ფართოდ ანალიზდება როგორც საინფორმაციო საშუალებების, ისე მსოფლიოს სამეცნიერო წრეების მიერ. თუმცა პოლიტიკური დისკურსის ფენომენთა და ასპექტთა შესწავლაში ისევ და ისევ ვლინდება ამოუხსნელი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა, მათი კოგნიტური ხასიათის გამო, ძირითადად წარმოადგენს შედარებით ახალი მეცნიერების - ფსიქოლინგვისტიკის განხილვის საგანს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, თანამედროვე მეცნიერება ჯერ ვერ აყალიბებს დისკურსის და, კერძოდ, პოლიტიკური დისკურსის დეტალური მახასიათებლების ამომწურავ და დეტალურ სქემას, რომლის გარკვულ მცდელობას წარმოადგენს აღნიშნული სამეცნიერო ნაშრომი.

ლინგვისტური ხერხების და ჩარჩოების საშუალებით პოლიტიკოსები ცდილობენ სასურველი მიზნების მიღწევას. ენის ძირითადი ასპექტის კომუნიკაციის გათვალისწინებით, რუსი მეცნიერი ე. შეიგალი აღნიშნავს: „კომუნიკაციის გარეშე შეუძლებელია პოლიტიკური სიტყვის შექმნა. არა ერთი

მეცნიერის მტკიცებით, „პოლიტიკის სპეციფიკას, სხვა სამოქმედო სფეროებისგან განსხვავებით, აყალიბებს მისი დისკურსიული ხასიათი: მრავალი პოლიტიკური მოქმედება წარმოადგენს სწორედ ენობივ მოქმედებას.” (შეიგალი 2000: 17).

დღესდღეობით პოლიტიკური დისკურსმა შეიძინა მკვეთრად გამოხატული სოციალური ხასიათი, რამაც გამოიწვია ხალხის მასიური ჩართულობა პოლიტიკურ ცხოვრებაში და მასთან დაკავშირებულ დებატებში. „ერთი პოლიტიკური რეჟიმის არსებობა.” (შეიგალი 2000:17)

შესაბამისად, გაჩნდა პოლიტიკური სიტყვის შესწავლის და მკვეთრად ჩამოყალიბების საჭიროება პოლიტკოსთა წრეებშიც. ყოველი პოლიტიკოსი, სასურველი ინფორმაციის ადრესატამდე მისაწოდებლად ძირითადად მიმართავს პოლიტიკურ დისკურსს. აქედან გამომდინარე, სრულებით ბუნებრივია ლინგვისტთა მზარდი ინტერესი პოლიტიკური დისკურსის მიმართ, რადგან არც ერთი პოლიტიკური აქტივობა არ არსებობს ენის გარეშე.

თავდაპირველად პოლიტიკას მიიჩნევდნენ, როგორც კოლექტიური გადაწყვეტილებების გამომხატველ ფენომენს, ხალხის მასების ერთიან იდეოლოგიას. დღევანდელი მიდგომა სხვაგვარია - იგი ემსახურება ერის, საზოგადოების მართვას და გარკვეულ შთაგონებას.

როგორც უკვე აღინიშნა, პოლიტიკური ნების გამოხატულებისა და საზოგადოებისათვის გაცნობის პროცესში უმთავრეს როლს ენა წარმოადგენს. სწორედ ენის მეშვეობით ხდება ნებისმიერი პოლიტიკური ქმედების მომზადება, განმარტება, გამართლება, გაკონტროლება, შეფასება, კრიტიკა და სხვა. პოლიტიკური მოვლენებისადმი ინეტერესის გამძაფრებიდან გამომდინარე, პოლიტიკოსები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ პოლიტიკურ დისკურსს, რადგან მათ გააზრებული აქვთ ენის უდიდესი როლი და ძალა, რომელსაც შესწევს  გავლენა მოახდინოს ხალხის მასებზე. თავისთავად, ნებისმიერი სახის აქტივობის მომზადება, გადაცემა, შეფასება თუ გაკრიტიკება ენის საშუალებით ხდება. ლინგვისტთა ინტერესის საგანია იმ ენობრივი თავისებურებებისა და საშუალებების დადგენა, რომლებსაც მიმართავენ პოლიტიკოსები ხალხზე ზემოქმედებისათვის სასურველი შედეგის მისაღწევად.

ლინგვისტური კუთხით პოლიტიკური დისკურსის შესწავლა მიმდინარეობს სამეტყველო აქტის ასპექტების გათვალისწინებით, რომელთაგანაც მთავარ ადგილს იკავებს გარკვეული ენობრივი სისტემის, ანუ პოლიტიკური ენის რეალიზაცია. შესაბამისად, მეცნიერები განიხილავენ მრავალ გარემოებას, რომელიც ეხმარება ავტორს წარმოსათქმელი სიტყვის ჩამოყალიბებაში. აღნიშნულ გარემოებათა შორის მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისტორიულ-კულტურული თავისებურებები, დროულ-გეოგრაფიული ფაქტორები და, რასაკვირველია, პოლიტიკური იდეოლოგია. სამწუხაროდ, ჩამოთვლილი ასპექტების უმრავლესობის შესწავლამ ჯერ ვერ მიიღო ფუნდამენტალური და ჩამოყალიბებული სახე.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს თავად ფენომენის ერთმნიშვნელოვანი კვალიფიკაციის არ არსებობა.

მეცნიერთა ზოგიერთი ჯგუფი საუბრობს იმ ლინგვისტურ ნიშანთა სიმრავლეზე, რომელიც გამოიყენება მსმენელზე არა როგორც სამანიპულაციო ობიექტზე, არამედ დისკურსის ძირითად სუბიექტზე ზემოქმედების მოსახდენად. აღნიშნული მიმართულება, ძირითადად, განიხილება მეოცე საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლების ფრანგულ, შვეიცარიულ და რუსულ ლინგვისტურ სკოლებში.

ლინგვისტიკის ამერიკული სკოლა გვთავაზობს უფრო ზოგად, ანუ მრავლისმომცველ მიდგომას, სადაც მსმენელზე ზემოქმედების გარდა განიხილება პოლიტიკური დისკურსის უფრო ფართო და მრავლისმომცველი ხასიათი. ლინგვისტურ ნიშანთა სიმრავლე მოდის დამოკიდებულებაში ენის კოგნიტურ ასპექტებთან და გვთავაზობს კონცეპტთა სქემატურ კავშირებს. მაგალითად, ამერიკელი ლინგვისტები ჯ. ლაკოფი, მ. ჯონსონი, მ. ტერნერი, ჯ. ფოკონიე ფართოდ საუბრობენ განსხვავებულ მეცნიერებებთან ფართო კავშირში მყოფი ლინგვისტურ ნიშანთა სქემატურ და ურთიერთდაკავშირებულ ხასიათზე, რაც ისევ და ისევ ესაზღვრება მსმენელის აღქმით სამყაროს.

პოლიტიკური დისკურსი იზიდავს მრავალი მკვლევარის და მეცნიერის ყურადღებას. პუბლიკაციების რაოდენობა, რომელიც შეისწავლის პოლიტიკური დისკურსის აქტიურ გამოყენებასა და მის მასებზე მოქმედებას, ელვის სისწრაფით იზრდება.

ერთის მხრივ, პოლიტიკური დისკურსის მიმართ არსებულ ამ ინტერესს ვხსნით ჩვენს თანამედროვეობაში არსებული საინფორმაციო წყაროების სიმრავლით, კომპიუტერული ტექნიკის განვითარებით და გლობალიზაციისკენ სწრაფვით. აქტუალურ ცხოვრებაში პოლიტიკური გამოსვლები ატარებენ მნიშვნელოვან როლს ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებასა და ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, პოლიტიკოსების მიერ გამოყენებული მეტაფორები წარუშლელად აისახება საზოგადოების მეხსიერებაში.

მეორეს მხრივ, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ პოლიტიკური დისკურსისადმი და, მათ შორის, პოლიტიკური მეტაფორისადმი არსებული ინტერესი განპირობებულია ბოლო წლებში შექმნილი მრავალი სამეცნიერო ნაშრომით. ამერიკელი ლინგვისტების ჯ. ლაკოფისა და მ. ჯონსონის მიერ წარმოდგენილმა კვლევებმა, რომლებიც განიხილავენ მეტაფორის საკითხს, საფუძვლიანად შეცვალეს დამოკიდებულება არსებული ფენომენის მიმართ. კოგნიტივიზმი გახდა ნებისმიერი მეტაფორის და, მათ შორის, პოლიტიკური მეტაფორის, ძირითადი მახასიათებელი ნიშანი.

თანამედროვე მეცნიერული განმარტების თანახმად, დისკურსი წარმოადგენს რაღაც კონკრეტული პრაქტიკის საგნის გარშემო ცოდნის კონსტრუირებას ან ამ საგანზე მსჯელობის გზებს: კომპლექსი (ერთობლიობა) იდეების, გამოსახულებების და პრაქტიკის, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ თემასთან, სოციალურ აქტივობასთან ან ინსტიტუტციასთან საზოგადოებაში. ეს დისკურსიული ჩამოყალიბებული ერთობლიობები, განსაზღვრავენ რა არის და რა არ არის მისაღები ამა თუ იმ კონკრეტული საგნის თუ სოციალური აქტივობის შესახებ მსჯელობისას, რა ცოდნა არის აუცილებელი და აქტუალური იმ მოცემულ კონტექსტში და რა ტიპის ინდივიდები ატარებენ ამ მახასიათებლებს. არსებობს ბევრი მსგავსება, მაგრამ, ამავე დროს, განსხვავებები სემიოტიკურსა და დისკურსიულ მიდგომებს შორის. ერთი მნიშვნელოვანი სხვაობა მდგომარეობს იმაში, რომ სემიოტიკური მიდგომა განიხილავს წარმოდგენას და მასთან დაკავშირებულ გამოხატვის სპეციფიკებს. აღნიშნულ დარგს ეწოდება „პოეტიკა".

რაც შეეხება დისკურსიულ მიდგომას, იგი შეისწავლის რეპრეზენტაციის შედეგებსა და ეფექტებს - მის პოლიტიკას. ის იკვლევს არა მხოლოდ როგორ ქმნიან ენა და რეპრეზენტაცია მნიშვნელობას, არამედ ცოდნას, რომელსაც

წარმოქმნის კონკრეტული დისკურსი და რომელიც უკავშირდება ძალაუფლებას, არეგულირებს ქცევას, შეადგენს ან აკონსტრუირებს იდენტობებს და სუბიექტებს და განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოიაზრებოდნენ და გამოიხატებოდნენ მოცემული საგნები. ფოკუსი დისკურსიულ მიდგომაში ყოველთვის კონკრეტული ფორმის ისტორიულ სპეციფიურობაზეა ან კიდევ გამოხატვის მექანიზმზე: არა ენაზე როგორც ასეთზე, არამედ კონკრეტულ ენებზე ან მნიშვნელობებზე და თუ როგორ ხდება მათი გამოყენება მოცემულ დროს და მოცემულ ადგილას (ასათიანი 1982:12).

როგორც ვხედავთ, დისკურსის წარმოებისთვის მეცნიერები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შემდეგ ელემენტებს: დისკურსის ავტორი, დისკურსის ადრესატი, წერილობითი თუ ზეპირი ტექსტი, დისკურსის დრო და ადგილი.

შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება ბოლო ორ ასპექტზე.

დისკურსის და მით უფრო პოლიტიკური დისკურსის შესწავლისთვის, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ დროის რა პერიოდს, მონაკვეთს და რა გეოგრაფიულ ადგილს მოიცავს აღნიშნული უწყება. დრო მნიშვნელოვანია თავის ისტორიული ფაქტების სიმრავლის გამო, ამა თუ იმ ეპოქაში არსებული შეხედულებების, ზნე-ჩვეულებების გათვალისწინებით. ენა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ასახავს ნებისმიერ დეტალს, ასპექტს, რომელიც ჩნდება საზოგადოების აზროვნებასა და იდეოლოგიაში. დისკურსის ავტორიც, შესაბამისად ამა თუ იმ ისტორიული ეპოქის მკვიდრი შვილია და უდავოდ იყენებს თავის თანამედროვეობისთვის ჩვეულ ლინგვისტურ კონსტრუქციებს.

დისკურსის ადგილი (ქვეყანა, ქალაქი და ა. შ) ასევე მეტყველებს ამა თუ იმ ზეპირი თუ წერილობითი დისკურსის თავისებურებებზე. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ნაციის, ეროვნების, გეოგრაფიული მდებარეობის ასპექტი. ყველა კარგი ნარატორი უდავოდ ითვალისწინებს მსმენელის ეროვნულ ღირებულებებს, მრწამსებს, ისტორიულ მემკვიდრეობას, ადათ-წესებს. იგი ცდილობს, რომ დისკურსი რაც შეიძლება უფრო ახლობელი და მისაღები იყოს მისი „მოსაუბრისთვის".

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარად ვლინდება, რომ ზოგადად დისკურსის და მათ შორის, პოლიტიკური დისკურსის შესწავლა მოითხოვს პლურიდისციპლინარულ მიდგომას. თითოეული დისკურსის მეცნიერული შესწავლის და გაანალიზების პროცესში ერთვება არაერთი მეცნიერების დარგი.

კოგნიტური ლინგვისტიკა აგრეთვე აქტიურად ინტერესდება განსხვავებული პოლიტიკოსების გამოსვლებით და მათში გამოყენებული მეტაფორული ბადით.

აგრეთვე აღინიშნება ანტიკური რიტორიკული ხელოვნების აღორძინებაც. მეცნიერები საფუძვლიანად შეისწავლიან ძველი რიტორების გამოსვლებს და აღიარებენ მათ დღევანდელი პოლიტიკური დისკურსის უტყუარ საფუძვლად.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს სამი სამეცნიერო დარგის შესწავლის საგანს - კოგნიტური ლინგვისტიკის, დისკურსის ანალიზისა და რიტორიკის.

უნდა აღინიშნოს, რომ სამივე მიმართულებას აქტიური წვლილი შეაქვს მეტაფორის და, მათ შორის, პოლიტიკური მეტაფორის შესწავლის სფეროში და ხელს უწყობს ამ ფენომენის ბუნების უფრო დეტალურ განხილვასა და გაგებას.

## სადისერტაციო ნაშრომის პრობლემატიკის აქტუალურობა

ყველა ზემოთდასახელებულ პრობლემათა სიმრავლემ, სირთულემ და პოლიტიკურ დისკურსთან დაკავშირებულმა მუდმივმა ინტერესმა განსხვავებული სამეცნირო დარგების და, მათ შორის, ლინგვისტიკის მხრიდან

განაპირობა სადისერტაციო ნაშრომის პრობლემატიკის აქტუალურობა, მიზანი და მეთოდოლოგიური საფუძვლები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეოცე საუკუნის ბოლოდან იქმნება მრავალი გამოკვლევა, რომელიც ძირითადად ეძღვნება პოლიტიკური დისკურსის ფსიქოლინგვისტური კუთხით შესწავლას. მნიშვნელოვანია მსმენელი საზოგადოების როლი, რომელიც გვევლინება ყოველი პოლიტიკური დისკურსის ერთ-ერთ მაკონსტრუირებელ ელემენტად.

ნაშრომის აქტუალურობას განაპირობებს ქართულ ლინგვისტიკაში აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილი შრომების სიმწირეც. ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური დისკურსი, უმეტესწილად, განიხილება პოლიტიკური მეცნიერებების, ფილოსოფიის, ჟურნალისტიკის მხრიდან. მართალია, ბოლო წლებში უკვე იქმნება გამოკვლევები და მეცნიერული შრომები, რომლებიც უშუალოდ ეხება ლინგვისტიკის სფეროს, თუმცა, კერძოდ მსმენელი აუდიტორიის ფენომენი ნაკლებადაა შესწავლილი. დღესდღეისობით ფსიქოლინგვისტიკა აქტიურად ერთვება პლურიდისციპლინარული მეცნიერებების ჭრილში, რაც აღნიშნულ ნაშრომს მატებს მეტ აქტუალურობას.

სადისერტაციო ნაშრომის მიზნები და შედეგები:

• განხილულ იქნა შესწავლილი საკითხის ისტორიული და სამეცნიერო წინაპირობა, რაც გულისხმობს განსხვავებული მიდგომების, სამეცნიერო

თეორიების ჩამოყალიბებას და ანალიზს, რაც დაგვეხმარა საკვლევი საგნის პლურიდისციპლინარულ და მრავალწახნაგოვან გააზრებაში;

• პირველად აღინიშნა და გამოვლენილ იქნა უნივერსალიები მოცემული თემის შესაბამისად და გამოისახა გარკვეული ნოვატორული თვალსაზრისი. არსებული თავისებურებების განხილვისა და ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა ფსიქოლინგვისტიკის დონეზე პოლიტიკური დისკურსის სამიზნე საზოგადოების როლის მნიშვნელობა და აღნიშნული ფენომენის რეალიზებისთვის საჭირო ლინგვისტური ერთეულები და ასპექტები;

• თანამედროვე ლინგვისტიკის და ფსიქოლინგვისტიკის სფეროებში უკვე არსებულ კვლევებზე დაყრდნობით განზოგადებულ იქნეს მიღებული შედეგები;

• დადგინდა პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტურ კონსტრუქციებში პოტენციური მსმენელის ან მსმენელი საზოგადოების როლის უდავო აქტუალობა, რაც თვალნათლივ ვლინდება სინტაგმურ და აზრობრივ დონეზე გარკვეული მარკერების და ხერხების არსებობით.

• პირველად ერთმანეთთან დაკავშირებულ იქნა ლინგვისტიკის ორი თანამედროვე თეორია და სამეცნიერო ანალიზი შესრულებულ იქნა მათი ლოგიკური სინთეზის ბაზაზე.

აღნიშნული კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელ იქნება ლინგვისტიკასა და კერძოდ, ფსიქოლინგვისტიკაში მომავალი კვლევების განხორციელებისთვის. მსმენელის როლის შესწავლა წარმოადგენს მნიშვნელოვან ბირთვს დისკურსის და პოლიტიკური დისკურსის ანალიზის საკითხში. ჩვენს მიერ მიღებული შედეგების განზოგადება საფუძველს ჩაუყრის თანამედროვე მეცნიერებაში ნოვატორული მიდგომების და თეორიების გაჩენას, რაც მნივნელოვანია თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკის განვითარებისთვის და ქართული ლინგვისტური სკოლის მიღწევების გაფართოება-პოპულარიზაციისთვის.

## ნაშრომის მეთოდოლოგიური მხარე

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტმა და მიზანმა განაპირობეს კვლევის მეთოდოლოგია. პოლიტიკური დისკურსის და, კერძოდ, აღნიშნულ ენობრივ ფენომენში მსმენელის როლის შესწავლა მოითხოვს კომპლექსურ ინტერდისციპლინურ მიდგომას. შესაბამისად, ნაშრომში განხილულია მრავალი სამეცნიერო სფერო და არსებული მიდგომა - როტორიკა და ნეო როტორიკა, ტექსტის ანალიზის თეორიები, მკითხველის / მსმენელის როლთან დაკავშირებული კვლევები, გამონათქვამის თეორიები, პრაგმატიკა, ზოგადად დისკურსის და პოლიტიკური  დისკურსის ანალიზი კოგნიტური ლინგვისტიკის კუთხით. შეპირისპირების ეფექტურად განხორციელებისა და მიღებული შედეგებით პოლიტიკურ დისკურსში საკვლევი ობიექტის ფუნქციონალობის თავისებურებების დადგენის საშუალება გახდა ორ ენაში - ფრანგულსა და ქართულში არსებული ლინგვისტური ასპექტები.

თანამედროვე მეცნიერული სურათის შესაქმნელად მივმართეთ ქართველი და უცხოელი მკვლევარების ძველ და უახლეს გამოკვლევებსა და ნაშრომებს. ნაშრომის საკვლევ მასალად და ლიტერატურად აღებულია დღემდე არსებული სამეცნიერო მიდგომები ფსიქოლინგვისტიკის სფეროში (ფერდინანდ დე სოსიურის, ემილ ბენვენისტის, ე. შეიგალის, ვან დიკის, ჟორჟ ვინიოს და სხვა მეცნიერთა მოსაზრებები).

ძირითად მეთოდოლოგიურ საფუძვლად აღებულია შეერთებული შტატების ლინგვისტური სკოლების ბაზაზე მოეცე საუკუნის ბოლო წლებში შექმნილი ორი თეორია - ერთი მხრივ, ჯ. ლაკოფისა და მ. ჯონსონის თეორია კონცეპტუალური მეტაფორის შესახებ და მეორე მხრივ, მ. ტერნერის და ჯ. ფოკონიეს ნაშრომი, რომელიც ეძღვნება კონცეპტუალურ ინტეგრაციას. სწორედ აღნიშნული  გამოკვლევების შედეგებზე დაყრდნობამ და მათმა ლოგიკურმა სინთეზმა მოგვცა საშუალება განგვეხილა პოლიტიკური დისკურსი ახლებური, ფსიქოლინგვისტური  სპექტრის ჭრილში და დაგვესაბუთებინა მსმენელის როლის უტყუარობა პოლიტიკური სიტყვის

შექმნის და წარმოთქმის პროცესში. განხილულია ფრანგული ლინგვისტური სკოლის საინტერესო და ნოვატორულ გამოკვლევებიც, რომლებიც, უშუალოდ ხაზს უსვამენ მსმენელის უდავო არსებობას.

ფსიქოლინგვისტური კუთხით პოლიტიკური დისკურსის შესწავლისას შემოვიფარგლეთ ცნობილი ფრანგი პოლიტიკოსების შარლ დე გოლის და ნიკოლა სარკოზის დისკურსების გარჩევით. ამერიკელი ლინგვისტების მიერ შექმნილი ორი ზემოთხსენებული თეორიის სინთეზის საფუძველზე შექმნილი ანალიზი წარმოადგენს ნოვატორულ სიტყვას თანამედროვე ლინგვისტიკაში და ფსიქოლინგვისტიკაში, რაც შეიძლება საინტერესო გახდეს უცხოელი მკვლევარებისთვისაც.

**დაცვაზე წარმოდგენილი იქნება გამოკვლევის შემდეგი ძირითადი დებულებები:**

- პოლიტიკური დისკურსის ფსიქოლინგვისტური კუთხით შესწავლის ისტორიული და სამეცნიერო წინაპირობა;
- დისკურსში და პოლიტიკურ დისკურსში მსმენელის როლის აქტუალობის ანალიზი და დასაბუთება;
- მსმენელზე ორიენტირებულ ლინგვისტურ ნიშანთა სქემატური წარმოდგენა და მათი კონსტრუირების გზები;
- პოლიტიკური დისკურსის კოგნიტურ-ლინგვისტური ხასიათი და ლინგვისტური კვლევების აუცილებლობა აღნიშნული ფენომენის შესწავლის სფეროში;
- პოლიტიკური დისკურსის კოგნიტურ-ლინგვისტური ანალიზის გზები, საშუალებები და მსემენელზე ზეგავლების მოხდენის ენობრივი ტექნიკა.

ნაშრომის აპრობაცია

დაცვაზე წარდგენილი თეორიული დებულებები და პრაქტიკული რეკომენდაციები მრავალგზის იქნა აპრობირებული საერთაშორისო კონფერენციებსა და კოლოქვიუმებზე. ნაშრომის თემატიკასთან დაკავშირებული სამეცნიერო სტატიები 2013-2015 წლებში გამოქვეყნებულ იქნა ჰუმანიტარული მეცნიერებების ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ფრანკოფონული სადოქტორო კოლეჯის (codfreurcor) მიერ; 2013 წელს ირანის საერთაშორისო ლინგვისტურ სამეცნიერო ჟურნალში; 2014 წელს ევრაზიის პლურიდისციპლინარული ფორუმის სამეცნიერო გამოცემაში; ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალებში.

ნაშრომის სტრუქტურა

ჩვენს მიერ წარმოდგენილი დისერტაცია შედგება 172 გვერდისგან. მისი ძირითადი ნაწილებია: შესავალი, სამი თავი, (თითოეული მათგანი შედგება ქვეთავებისგან), დასკვნა და ბიბლიოგრაფია.

შესავალში დასაბუთებულია თემის არჩევანი, განსაზღვრულია გამოკვლევის საგანი, თეორიული და პრაქტიკული მნივნელობა, ძირითადი მიზნები. ჩამოყალიბებულია თემის აქტუალურობა და ნაშრომის მეცნიერული სიახლე.

პირველ თავში წარმოდგენილია ჩატარებული კვლევისთვის აუცილებელი ძირითადი თეორიული ცნებების განსაზღვრა. განხილულია ის სამეცნიერო მიდგომები და ტენდენციები, რომლებიც შეიძლება დასახელდეს თანამედროვე პოლიტიკური დისკურსის შესწავლასთან დაკავშირებულ და ამოსავალ ელემენტებად. ნაშრომში განსხვავებული მიდგომების განხილვა იწყება ანტიკური რიტორიკული ხელოვნებიდან, რასაც მოსდევს დისკურსის პოლისემიურობის შესწავლის ამსახველი თეორიები. მათ შორის, საინტერესოა მკითხველის იგივე მსმენელის როლის განხილვა, რომელსაც ძირითადად ეფუძნება თანამედროვე დისკურსის კოგნიტური ასპექტების შესწავლა.

მეორე თავში შესწავლილი და წარმოდგენილი საკითხები პირდაპირ უკავშირდება პოლიტიკური დისკურსის კომუნიკაციური ხასიათის შესწავლას. აღნიშნული მიდგომები უმეტესწილად ეფუძნებიან გამონათქვამის თეორიებს, პრაგმატიკას და კოგნიტურ ასპექტებს, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს თანამედროვე მეცნიერებაში პოლიტიკური დისკურსის ფსიქოლინგვისტური კუთხით შესწავლას.

მესამე თავი ეძღვნება თანამედროვე პოლიტიკური დისკურსის განხილვას მისი კოგნიტური ხასიათის კუთხით. საუბარია ზოგადად დისკურსის სახეობებზე და მსმენელის როლის მნიშვნელობაზე, რომელიც წარმოადგენს ყველა პოლიტიკური დისკურსის ძირითად იდეოლოგიურ სამიზნეს. მოყვანილი მოსაზრებები ეფუძნება ისეთი მეცნიერების და მკვლევარების ნამუშევრებს, როგორებიცაა ფერდინანდ დე სოსიური, ემილ ბენვენისტი, ე. შეიგალი, ვან დიკი, ჟორჟ ვინიო. წარმოდეგენილია თვალსაჩინო სქემები, რომლებიც თვალნათლივ ასახავენ არსებულ თეორიებს. საკვლევ კორპუსად შერჩეულია ერთის მხრივ, ამერიკელი მეცნიერების ჯ. ლაკოფისა და მ. ჯონსონის თეორია კონცეპტუალური მეტაფორის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, მ. ფოკონიეს და ჯ. ტერნერის თეორია კონცეპტუალური ინტეგრაციის შესახებ. მოსაზრებები

გამყარებული ფრანგული და ქართული ფრაზეოლოგიური მაგალითებით და თვალსაჩინო სქემატური მასალით. აღნიშნულ თეორიებს ეფუძნება დისერტაციის კვლევა, რაც გულისხმობს ორივე არსებულ მოსაზრებაზე დაყრდნობით პოლიტიკური დისკურსების განხილვას და შესწავლას. კვლევა ჩატარებულია 1942 წლის 24 დეკემბერს ლონდონიდან ფრანგი გენერალი შარლ დე გოლის მიერ და 2011 წლის ოქტომბრის თვეში საქართველოში საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის მიერ წარმოთქმულ დისკურსებზე. აღნიშნული დისკურსები განხილულია ორივე არსებული თეორიის კუთხით და წარმოაჩენს ადამიანის ცნობიერზე ლინგვისტური ზემოქმედების თვალნათლივ მაგალითს. აგრეთვე ხაზგასმულია პოლიტიკური დისკურსის გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი როლი პოლიტიკური დაძაბულობის და, მათ შორის, საომარი კონფქლიქტების დროს.

დასკვნში შეჯერებულია ანალიზის ძირითადი დებულებანი. შეიძლება აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე დადგინდა, რომ პოლიტიკური დისკურსის ძირითად მიზანს წარმოადგენს მსმენელზე ზეგავლენის მოხდენა. ფსიქოლინგვისტიკის შესწავლის საგანი შედგება სამი ძირითადი კომპონენტისგან - ავტორი, ტექსტი და მსმენელი, თუმცა მნიშვნელოვანია პოლიტიკური, ისტორიული, სოციალური, კულტურული, ტრადიციული, დროული, ტერიტორიული და სხვა მრავალი ასპექტის გათვალისწინებაც. პოლიტიკურმა დისკურსმა შესაძლებლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს ქვეყნის და ერის ისტორიაში, გადაწყვიტოს კონფლიქტები, შესძინოს ხალხს ღირებულებები და მიიყვანოს კონკრეტულად დასახულ მიზნამდე. შარლ დე გოლის მიერ წარმოთქმულ დისკურსში დადებითი ემოციური ფონით დატვირთული ლინგვისტური ელემენტები უდავოდ აღზევებენ ფრანგი ხალხის სულისკვეთებას, ხოლო ნიკოლა სარკოზის სიტყვა ბადებს საქართველოს მოსახლეობაში თანადგომის, მხარდაჭერის და იმედის უსასრულო შეგრძნებას.

## თავი § 1.

# პოლიტიკური დისკურსის შესწავლის თეორიული წინაპირობა

მოცემულ თავში წარმოდგენილია მეცნიერების ის დარგები, მიდგომები და თეორიები, რომლებიც შეადგენენ თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკის, კერძოდ კი, მსმენელის როლის შესწავლით დაინტერესებულ მის სფეროს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღევანდელი ლინგვისტიკა განიხილავს ადრესატს, როგორც ნებისმიერი დისკურსის მაკონსტრუირებელ ერთ-ერთ ძირითად ელემენტს. საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული და შექმნილი დარგები ფართოდ მოწმობენ აღნიშნული ფენომენის უტყუარ ხასიათს. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ განსხვავებულ თეორიებში ადრესატს ანაცვლებს, ამ შემთხვევაში, მისი სინონიმური ტერმინები: აუდიტორია, მსმენელი, მკითხველი და ა.შ.

## 1. 1. რიტორიკა და ნეორიტორიკა

ნაშრომში განხილულია რიტორიკული ხელოვნება, როგორც ადამიანის, სამყაროს და პოლიტიკური ცხოვრების კონცეპცია.

ფრანგი ლინგვისტის ბერტრან ბუფონის აზრით, სქემატურად, აქ ერთმანეთს უპირისპირდება ორი ურთიერთდაპირისპირებული პარადიგმა - ერთი გაჩენილი ძველ საბერძნეთში, ხოლო მეორე თანამედროვე ეპოქაში (Buffon 2002:54). ძველი ბერძნები მას უკავშირებდნენ განიხილავენ სხვა პარამეტრებით. არისტოტელეს თანახმად, „რიტორიკა არის პოლიტიკური სიტყვის ხელოვნება'', რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა „საჯაროდ

განსახილველი საკითხების მართვა" და არა მხოლოდ „დარწმუნების ხელოვნება", როგორც მიაჩნია ზოგიერთ მკვლევარს. ძველ საბერძნეთში რიტორიკული ხელოვნება ხორცს ასხამდა ადამიანის სრულყოფასა და ბრწყინვალებას. ამისთვის საკმარისი არ იყო მხოლოდ გონება (logos), არამედ მოითხოვებოდა ვნებათა ჩართვაც (pathos). მომხსენებელი აგრეთვე სთავაზობდა სასურველი მოქმედების სცენარს (ethos).

სწორედ ეს სამი ფაქტორი logos, pathos და ethos დაედო საფუძვლად თანამედროვე დისკურსის ხელოვნებას (Buffon 2002:55).

„არ შეიძლება, გამოიყოს სიტყვა აზრისგან,
ისევე, როგორც სული სხეულისგან,
რათა სიცოცხლე არ წაერთვას არც
ერთს, არც - მეორეს. " (ციცერონი)

ციცერონის ამ სიტყვების გაგრძელებაა თითქოს მე-20 საუკუნის დიდი ფრანგი მოაზროვნის, ჟან-პოლ სარტრის ნააზრევი, როდესაც ის გამონათქვამის შესახებ მსჯელობს. „წინადადება სიტყვათა კომბინაციაა, ამ სიტყვებად ისინი მხოლოდ კომბინაციის მეშვეობით იქცევიან, რასაც კარგად გრძნობენ ლინგვისტები და ფსიქოლოგები, ისინი თვლიდნენ, რომ გაარღვიეს წრე „მეტყველების მოქმედებაში", – იმისათვის, რომ ილაპარაკო, საჭიროა იცოდე შენი აზრი... მაგრამ როგორ უნდა იცოდე ის აზრი, თუკი ის არ გამოთქვი? მაშასადამე, ენა გვაგზავნის აზრებისკენ, აზრი – ენისკენ..." (Sartre 1972:16).

ეგზისტენციალისტი ფილოსოფოსის ეს აზრი გვინდა დავუკავშიროთ ახალი რიტორიკის (ნეორიტორიკის) პრობლემატიკას, რომელიც ახალ დროში ასე მრავალფეროვანი გახდა. ტრადიციულად რიტორიკა ასე განიმარტება: რეტორიკა (ბერძნ.), ორატორული ხელოვნება, მოძღვრება მჭევრმეტყველების, საორატორო ხელოვნების წესებისა და კანონების შესახებ წარმოიშვა ძველ საბერძნეთში ანტიკური კულტურის დაცემამდე ძველი წ. აღ-ის მე-5 საუკუნეში, როგორც მჭევრმეტყველების თეორია. საბოლოოდ ჩამოყალიბდა ძვ. წ. აღ-ის მე-3-მე-2 სს-ში. რიტორიკის პირველი სახელმძღვანელო, რომელსაც

ჩვენამდე არ მოუღწევია, დაწერილი უნდა ყოფილიყო ძვ. წ. აღ-ის მე-5 ს-ში. მის ავტორებად სირაკუსელი ბერძნები კორაკსი და ტესია ითვლებიან.

მჭევრმეტყველების ხელოვნების საფუძვლების შემდგომი განვითარება დაკავშირებულია სოფისტების, კერძოდ, ისოკრატეს სახელთან, რომელმაც მჭევრმეტყველება აქცია ზოგადსაგანმანათლებლო საგნად, არისტოტელემ კი თავის „რიტორიკაში" მეცნიერული საფუძვლები შეუქმნა მას.

ანტიკური რიტორიკის გამოჩენილი თეორეტიკოსები იყვნენ ციცერონი და კვინტილიანე. ანტიკური დემოკრატიული (პოლისური) საბერძნეთის დაცემასთან ერთად (ძვ. წ. აღ-ის მე-4 ს-ის დასასრული) რიტორიკამ თავდაპირველი პოლიტიკური ხასიათი დაკარგა.

მე-20 საუკუნემ თან მოიტანა ახალი ხელოვნება, ახალი ფილოსოფია, რომლებმაც შექმნეს წინაპირობა რიტორიკული იდეების აღორძინებისათვის. მე-19 საუკუნის ევროპაში საზოგადოებრივი აზრი ორიენტირებული იყო ანტირიტორიკაზე. თუ ამ დროისთვის რიტორიკა ჯერ კიდევ რჩებოდა უმაღლესი ფილოლოგიური განათლების სისტემაში, ეს ხდებოდა მხოლოდ ინერციით. გასული საუკუნის მეცნიერებაში არ მოინახა ადგილი რიტორიკისათვის. ორატორული ხელოვნება აღარ ატარებდა პროფესიულ ხასიათს.

ზოგადი კონტექსტი, რომელშიც აღორძინდა რიტორიკა, გახლავთ ფორმალიზმის განმტკიცება მეცნიერებასა და ხელოვნებაში მე-20 საუკუნის დასაწყისში. თუმცა ფერდინანდ დე სოსიური უშუალოდ არ ეხებოდა რიტორიკის პრობლემატიკას, მისმა იდეებმა არსებითი გავლენა იქონია რიტორიკის ინტერესის გაღვივებაზე.

მეტყველების შესწავლის ინტერესმა განაპირობა ნეორიტორიკის ჩამოყალიბება.

ახალი რიტორიკის განვითარება იწყება 70-იანი წლებიდან. ლიეჟის სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი, დიუბუა, ამტკიცებს, რომ ნეორიტორიკა წარმოიშვა სტრუქტურალიზმის, სემიოლოგიისა და ახალი კრიტიკის საზღვარზე.

რიტორიკის თეორიისა და ისტორიის მკვლევრები მიუთითებენ: სტრუქტურალიზმის ზოგიერთი მეთოდის გამოყენებამ ნეორიტორიკაში და თვითონ კლასიკური რიტორიკის სისტემურმა ხასიათმა შექმნა ყალბი შთაბეჭდილება ახალი რიტორიკის სტრუქტურალისტური ხასიათის შესახებ.

სინამდვილეში ნეორიტორიკა ჩამოყალიბდა, როგორც სტრუქტურალისტური იდეოლოგიის ოპოზიცია.

ტრადიციული ლინგვისტიკის დონიდან გადასვლა მეტყველების ლინგვისტიკაზე, როლან ბარტის მიხედვით, ეს არის გადასვლა პრედიკაციის წმინდა ანალიზიდან რეფერენციული ფუნქციის განხილვაზე, დისკურსის ანალიზზე; წინა პლანზე იწევს კონტექსტი, გამონათქვამის სიტუაცია.

სიმბოლოს თეორიიდან ამოსვლით განიხილავს ნეორიტორიკის პრობლემატიკას ვ. მეიზერსკი. იგი წერს: მე-20 საუკუნეში სიმბოლოს პრობლემა გახდა მთავარი საგანი მრავალი დისკუსიისა, რომლებსაც აწარმოებდნენ ფილოსოფიური სკოლები, როგორც ჰერმენეტიკული (კასირერი, დილტეი, ჰაიდეგერი, გადამერი), ისე სტრუქტურალისტური (ბაშლიარი, დერიდა, რიკიორი) მიმართულებებისა. მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სიმბოლური ფორმების შესწავლამ ფსიქოანალიზის ფილოსოფიურად ორიენტირებულ ვარიანტებში და კულტურულ ანთროპოლოგიაში (ლაკანი და ლევი-სტროსი).

უნდა აღინიშნოს, რომ ძველბერძნულ რიტორიკულ ხელოვნებას გააჩნდა იგივე სივრცობრივ-დროული ნიშნულები, რომლებსაც განვიხილავთ დღევანდელი პოლიტიკური დისკურსის შესწავლის დროს. რიტორის მიერ წარმოთქმული სიტყვა არასდროს არ გვაუწყებდა ჭეშმარიტ რეალობას და არ გვიწინასწარმეტყველებდა აუცდენელ მომავალს. სიტყვით გამომსვლელი ითვალისწინებდა მრავალ სივრცობრივ, დროულ და კულტურულ ფაქტორს და წარმოთქვამდა იმას, „რაც უნდა ეთქვა მოცემულ ადგილას და მოცემულ დროს" (Buffon, 2002:58). დღევანდელობაშიც პოლიტიკური დისკურსის ძირითად ღერძს წარმოადგენს მისი სივრცობრივ-დროული განზომილება. პოლიტიკოსი აუცილებლად განიხილავს და ითვალისწინებს მის გარშემო არსებულ რეალობის ნიუანსებს და მხოლოდ მათ შესაბამისად აუწყებს სათქმელს აუდიტორიას.

რიტორიკული ხელოვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა ნათქვამის რეალობასთან მიმსგავსება იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი აბსოლუტურად ცდებოდა სიმართლის ჩარჩოებს. რიტორი ყოველთვის იყენებდა ისეთ მხატვრულ ხერხებს თუ ლინგვისტურ ჭრილებს, რომლებიც მსმენელში შექმნიდნენ უტყუარი რეალობის ამსახველ სურათს.

ბოლო დროის პოლიტიკოსების ცნობილი დისკურსები უდავოდ გამოირჩევიან რეალისტური სურათების შექმნით, რისთვისაც ოსტატურად ირთვება არა ერთი ლინგვისტური თუ მხატვრული ასპექტი.

ტრადიციულ რიტორიკაში მეტაფორა განიხილება როგორც ადრესატზე ზემოქმედების უმთავრესი სამეტყველო ფიგურა. ლოგოსის, ეთოსის და პათოსის კლასიფიკაციის სისტემაში მეცნიერები მეტაფორას პათოსს მიაკუთვნებენ (Buffon 2002:72). სწორედ ამ უკანასკნელს ეკისრება საზოგადოებასთან მართებული ურთიერთობის, მასების შთაგონების როლი. პათოსის გზით რიტორი, ჩვენს შემთხვევაში კი პოლიტიკოსი ახერხებს მსმენელში გამოიწვიოს მისთვის სასურველი ემოციები, რომლებიც შემდგომში გაუადვილებენ სასურველი მიზნის მიღწევის გზას. ანტიკური სამყაროს რიტორების აზრით, კარგად ჩამოყალიბებული გამოსვლა მსმენელებში უნდა იწვევდეს ფსიქოლოგიურ-ემოციურ ცვლილებებს, სრულებით ცვლიდეს მის განწყობას არსებული საკითხის მიმართ, ახლებურად უყალიბებდეს მსოფლმხედველობას. აღნიშნული ეფექტის მისაღებად როგორც ძველი დროის გამოჩენილი რიტორები, ისევე თანამედროვე პოლიტიკოსები მიმართავენ დისკურსის ხელოვნების ხერხებს, რომელთაგან უმთავრეს ადგილს იკავებს მეტაფორა.

მე-19 საუკუნეში ანტიკური რიტორიკული ხელოვნება გარდაისახება სასამართლო რიტორიკად, ხოლო მე-20 საუკუნიდან ასპარეზზე შემოდის ახალი ტერმინი „ნეო რიტორიკა".

მე-19 საუკუნიდან ძველბერძნული რიტორიკა გარდაისახა ახალ სასამართლოს რიტორიკული ხელოვნების ფორმაში, ხოლო მე-20 საუკუნემ წარმოშვა ტერმინი „ნეორიტორიკა" (Buffon 2002:72). რომელიც უკვე აერთიანებდა თანამედროვე დისკურსის ხელოვნების შემსწავლელ მეცნიერებათა დარგებს.

„ნეორიტორიკა" უკვე აერთიანებს თანამედროვე ლინგვისტიკაში და, ზოგადად, მეცნიერებაში, გამოსახულ ელემენტებს და ასპექტებს და უბიძგებს მკვლევარებს ახლებურად გაანალიზონ დისკურსის და მათ შორის პოლიტიკური დისკურსის ფენომენი.

## 1. 2. დისკურსი და მისი პოლისემიური ხასიათი

უკვე გასულ საუკუნეში „დისკურსი" აღიქმება პოლისემიურ ობიექტად. მაგალითად, პ. სერიო მხოლოდ ფრანგული ტრადიციიდან გამომდინარე, გვთავაზობს რვა კომპონენტისგან შემდგარ სიას (Sériot 1999:12); ანუ ტექსტის თეორიაში ცნება „დისკურსი" მრავალმნიშვნელოვანია.

შეგვიძლია გამოვყოთ „დისკურსის" სამი ძირითადი განსაზღვრება, რომელიც ყალიბდება განსხვავებული კულტურებისა და ავტორების მოსაზრებებზე:

ტერმინი „დისკურსის" ლინგვისტურ კონტექსტში ხსენება ჩნდება 1952 წ. ამერიკელი მეცნიერი ზ. ჰარისის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში „დისკურსი-ანალიზი" (Harris 1952:42), თუმცა აღნიშნულ კუთხით ტერმინის ხმარება დამკვიდრდა მხოლოდ ოციოდე წლის შემდეგ.

ლინგვისტიკაში დისკურსი განიხილება, როგორც „მეტყველება, ტექსტი, დიალოგი", რომელიც უდავოდ ჩართულია საკომუნიკაციო სიტუაციაში.

ამგვარი გზით დისკურსი უპირისპირდება ტექსტს როგორც დინამიკა სტატიკას.

ფრანგ სტრუქტურალისტთა და პოსტსტრუქტურალისტთა მიერ დისკურსის ცნების დანახვა, რაზეც მიგვითითებს მ. ფუკოს (Foucault 1994:34-38) და მის თანამოაზრეთა ნაშრომები.

მეცნიერების თვალსაზრისით, დისკურსი უთანაბრდება მეტყველების „სტილს", „მანერას", ანუ ატარებს ინდივიდუალურ ნიშან-თვისებებს (პოლიტიკური დისკურსი, მასწავლებლის დისკურსი, მწერლის სტილი, დისკურსი).

აღნიშნული ხედვა დისკურსს ანიჭებს სოციალურ შეფერილობას.

მესამე ხმარება, პირველ რიგში, უკავშირდება გერმანელი ფილოსოფოსისა და სოციოლოგის ი. ხაბერმასის სახელს (Habermas 1963:62). დისკურსი განიხილება „იდეალური" კომუნიკაციის კონტექსტში, რომელიც სავსებით მოწყვეტილია არსებულ რეალობას და გააჩნია კრიტიკის,

თვალსაზრისის გამოხატვისა და არგუმენტირების ფუნქცია. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში დისკურსი უთანაბრდება დისკუსიას.

უნდა აღინიშნოს, რომ სამივე ჩამოთვლილი მაკრო გაგება მჭიდროდ უკავშირდება და ავსებს ერთი მეორეს.

ზ. ჰარისის ნამუშევარმა დიდი გავლენა მოახდინა ფრანგულ ლინგვისტურ სკოლაზე, რაც შემდგომ გამოვლინდა 60-იანი და 70-იანი წლების ფრანგ მეცნიერთა ნაშრომებში. დისკურსის „ტექსტად" აღქმა განიხილება მრავალ განსხვავებულ სკოლების ნაშრომებში, რომლებიც აღიარებენ მის დინამიურ და შემოქმედებით ხასიათსაც.

დისკურსის სოციალურ კონტექსტში განხილვა ყველა სამეცნიერო ნაშრომის უტყუარ ელემენტს წარმოადგენს და მეტყველებს მისი მხატვრული და ლინგვისტური ასპექტის აქტუალობაზე.

ბევრი მეცნიერი ასევე განიხილავს დისკურსის სიახლოვეს „დიალოგთან". ნებისმიერი ტექსტი, დისკურსიც უდავოდ გულისხმობს ორი ობიექტის - მოსაუბრის (ავტორის) და მსმენელის (ადრესატის) არსებობას. ამასთან მათი როლების დატვირთვა შეიძლება პერიოდულად შეიცვალოს შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, რაც მეტყველებს დისკურსის „დიალოგურ" ხასიათზეც. როდესაც დისკურსი გულისხმობს მხოლოდ მოსაუბრეს, მას მონოლოგს ვუწოდებთ, თუმცაღა აღნიშნულ ფაქტი საეჭვოდ ეჩვენება მრავალ მკვლევარს.

დისკურსის ცნებას ფართოდ იყენებს არაერთი ჰუმანიტარული მეცნიერების დარგი - ლინგვისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა, სემიოტიკა, სოციოლოგია, ფილოსოფია, ეთნოლოგია, ანთროპოლოგია და სხვ. - და განიხილავს მას ენის ფუნქციონალურობის ჭრილში. ამასთანავე დისკურსის შესწავლა მიმდინარეობს მისი მრავალი ფუნქციის განხილვით, რაც კიდევ უფრო მეტყველებს ცნების სირთულესა და შესასწავლ ხასიათსა და თავისებურებებზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პოლიტიკური დისკურსის და მის მიერ შემოთავაზებული სისტემების განხილვისთვის უნდა გადავხედოთ ტექსტის და მათ შორის მხატვრული ტექსტის შესწავლის სფეროს.

რომანული ქვეყნების კულტურულ მემკვიდრეობაში მრავლადაა სამეცნიერო შრომები, რომლებიც ეძღვნება ტექსტის ეპიკური ელემენტების

განხილვას. იმ გარემოების გამო, რომ ყოველი ტექსტი ქვეტექსტად დისკურსს გულისხმობს, ანუ მასში მუდმივად ფიგურირებს სამი ფუნდამენტალური ელემენტი - ავტორი, ტექსტი, ადრესატი - პოლიტიკური დისკურსის განხილვამდე და მასში ადრესატის როლის შესწავლამდე უნდა გადავავლოთ თვალი მხატვრული ტექსტის შესწავლის ნიუანსებს.

## 1.3. ტექსტი - მკითხველზე ორიენტირებული ხელოვნება

უკანასკნელ დრომდე მეცნიერება ნებისმიერ ლიტერატურულ ქმნილებას და მათ შორის დისკურსს, განიხილავდა როგორც თავის თავში შეკრულ იმანენტურ სისტემას და აწარმოებდა ტექსტის ე. წ. „შიგნიდან" გამოკვლევას. ამგვარად, უარყოფილი იყო ყველა გარეშე ფაქტორის არსებობა და ტექსტი აღიქმებოდა, როგორც თავის თავში შეკრული ერთიანობა (ყარალაშვილი 1977:3-4).

აქედან გამომდინარე, მკითხველის, იგივე მსმენელის როლი თითქმის იგნორირებული იყო; მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ყოველი ტექსტი, თავისთავად, გულისხმობს სამი უდავო ელემენტის - მთხრობელი, ტექსტი, მსმენელის - არსებობას, დავრწმუნდებით ზემოთმოყვანილი აზრის სიყალბეში. ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოები თუ უბრალოდ ტექსტი იქმნება ამ სამი უეჭველი კომპონენტის გათვალისწინებით, რასაც ვოლფგანგ კაიზერი უწოდებს „პირველ სათხრობ სიუჟეტს" (ყარალაშვილი 1977:6).

უშუალოდ პოლიტიკური დისკურსის და მასში მსმენელის როლის მნიშვნელობის განხილვამდე გადავხედოთ, თუ რა ურთიერთმიმართებაში

იმყოფებიან მხატვრული ნაწარმოები და მისი მკითხველი, რადგან მხატვრულ ნაწარმოებში მკითხველის როლის განხილვა რომანისტი ავტორების სამყაროში გვთავაზობს სამეცნიერო შრომებისა და გამოკვლევების ფართო და საინტერესო გამას.

ლიტერატურული ტექსტის ასპექტთა განხილვისას უნდა გავავლოთ შემდეგი პარალელები: ლიტერატურული ტექსტი, ნაწარმოები გახლავთ გარკვეული სახის დისკურსი; მწერალი ლოგიკურად გაიგივებულია დისკურსის ავტორთან, ხოლო მკითხველი წარმოადგენს დისკურსის ადრესატს.

შემოგთავაზებთ ზემოთქმულის ამსახველ სქემატურ გამოსახულებას:



სამივე სტრუქტურული ელემენტი იმყოფება ერთმანეთთან მჭიდრო და ლოგიკურ დამოკიდებულებაში, ხოლო მათი გადაკვეთის ველს მივუსადაგებთ მისაღწევ მიზანს, ანუ იმ ხატს, რაც საბოლოოდ მიიღება ამ სამი კომპონენტის აქტიური ჩართულობის შემთხვევაში.

საუკუნეთა მანძილზე არსებობდა მკითხველის ორი კატეგორია: პირველი, რომლისთვისაც კითხვა წარმოადგენს ჩვეულებრივ „გართობას" და მეორე, რომელიც ნებისმიერ ტექსტს ეკიდებოდა და შეისწავლიდა როგორც საინტერესო და დასაფიქრებელ კონსტრუქციას.

„გართობისა" და „თავის შექცევის" მოყვარული მკითხველი თუ მსმენელი ტექსტში ეძებს ყოველდღიური ცხოვრებიდან თავის დაღწევის საშუალებას და მიამიტად „შედის" ავტორის მიერ შემოთავაზებულ რეალობაში.

აღნიშნული გარემოებით აიხსნება ის ფაქტი, რომ ნებისმიერი დისკურსის და, მათ შორის, პოლიტიკური დისკურსის შთაგონების ეფექტურობა შეიმჩნევა ისეთ მასებში, რომელთა ინტელექტუალური კოეფიციენტი და გააზრების უნარი მნიშვნელოვნად დაბალია. მსოფლიოს ისტორია მდიდარია მსგავსი მაგალითებით.

ამ ფაქტს მოწმობს მე-20 საუკუნის ბოლო წლებში საფრანგეთში ჩატარებული გამოკვლევა. აღმოჩნდა, რომ ჟანრულად მარტივად აღსაქმელ ნაწარმოებს ჰყავს მეტი მკითხველი, ვიდრე ისეთ ნამუშევრებს, რომლებიც ღრმა დაფიქრებას და გააზრებას მოითხოვს (Steiner 1997:43).

მსგავსი მკითხველი და მსმენელი ტექსტში ეძებს «une source d'évasion» („გაქცევის საშუალებას"), მოითხოვს ავტორისგან, რომელიც ხდება მისი «maître à penser» („აზროვნების მასწავლებელი"), რომ მან გადაწყვიტოს მისი ყოველდღიური პრობლემები და პასუხი გასცეს ყველა მის შეკითხვას. ამ გარემოებით აიხსნება ის ფაქტიც, რომ მორალისტთა ნაწარმოები ყველა ეპოქაში სარგებლობენ დიდი წარმატებით (Steiner 1997:46).

მაგალითად, მე-13 საუკუნეში დაწერილი ჟან დე მენის „ვარდის რომანი" მე-16-ე საფრანგეთშიც ჰპოვებს დიდ გამოძახილს. იგივე შეიძლება ითქვას ლა ფონტენის და მოლიერის ნაწარმოებების შესახებაც.

აღნიშნულ შემთხვევაში, დისკურსის ადრესატს მხედველობიდან რჩება ის გარემოება, რომ ავტორმაც ისევე, როგორც ყველა სხვა ჩვეულებრივმა მოკვდავმა, შეიძლება არასწორი პასუხი გასცეს ცხოვრების მიერ დასმულ ამა თუ იმ პრობლემურ შეკითხვას; ამასთანავე, ყოველივე განხილულია ეპოქის, ისტორიული კუთხისა და წარმომთქმელის პოლიტიკური მრწამსის თვალსაწიერით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოსმენის თუ კითხვის ამგვარ წესს შეიძლება მოჰყვეს არასასურველი შედეგები, რის ძირითად და ნიშანდობლივ მაგალითს წარმოადგენს ტოტალიტარული, ფაშისტური რეჟიმების მიერ ხალხის ფანატიკურად მიზანმიმართულ მასად გადაქცევა.

სინამდვილეში ტექსტი და, მით უმეტეს, დისკურსი წარმოადგენს არა „გართობის" და „თავის შექცევის" საშუალებას, არამედ იგი არის ავტორთან გაცხოველებული გონებრივი დიალოგი. ნებისმიერი ტექსტის შექმნისას, პირველ რიგში, გათვალისწინებულია მისი პოტენციური ადრესატი, რომელიც შეისისხლხორცებს, შეავსებს, გაამდიდრებს მას და მიგვიყვანს კონკრეტულ მიზნამდე.

ნაწარმოებში მკითხველის არსებობის გარდაუვალობა უკვე შემჩნეული ჰქონდათ მე-18 საუკუნის ფრანგ განმანათლებლებს, რაც დასტურდება ვოლტერის შემდეგი სიტყვებით:

> «Les livres les plus utiles sont eux dont les lecteurs font eux-mêmes la moitié».
> (Voltaire 1962:202)
> („მკითხველები თავად შეადგენენ ყველაზე საჭირო წიგნების ნაწილს")

განმანათლებლები უარყოფენ ტექსტისადმი ყოველგვარ დაუდევარ მიდგომას. მათი აზრით, მკითხველი ნაწარმოებს ისე უნდა მოეკიდოს, როგორც ღრმად გააზრების საგანს და თავისი აქტიური წვლილიც შეიტანოს მისი სრულყოფილი სურათების ჩამოყალიბებაში.

განმანათლებელთა ამ კონცეფციის უდავო დასტურია მე-18 საუკუნის ფრანგი მხატვრის ჟან-ბატისტ შარდენის ნამუშევარი «Le lecteur occupé de sa lecture» („კითხვით გართული მკითხველი”), რომელიც მან დაასრულა 1734 წლის 11 დეკემბერს. მე-20 საუკუნის ინგლისელი მეცნიერის ჯორჯ შტაინერის მიერ გაკეთებული აღნიშნული ნაწარმოების ინტერპრეტაცია გვეხმარება მკითხველის, იგივე მსმენელის როლის მნიშვნელობის დადგენაში. ტილოს თითოეული დეტალი გვესაუბრება ამ როლის უდიდესი ფუნქციონალურობის შესახებ.



დავიწყოთ მკითხველის ჩაცმულობით. ფილოსოფოსს აცვია გამოსასვლელი პალტო და ახურავს ბეწვის ქუდი (Steiner 1997:46). პალტო, მოწითალო ხავერდის სახელო თუ ძვირფასი ბეწვის ქუდი მეტყველებს კითხვის პროცესის ცერემონიალურობაზე. ფილოსოფოსი ისე ემზადება წიგნის წასაკითხად, როგორც ცნობილი და სასურველი სტუმრის დასახვედრად. ყოველდღიურ ან და მოუვლელ ტანისამოსში იგი წიგნს ხელში არც კი აიღებდა!

სიმბოლურია მკითხველის ქუდიც. თუ გადავხედავთ ბერძნულ, რომაულ და ებრაულ რელიგიური რიტუალების აღწერას, გავიგებთ, რომ წმინდა წერილების შეხებით უფლებამოსილი პირი მათ მხოლოდ თავსაბურავით უახლოვდება. მხატვრის ცნობიერებაში წიგნი წმინდა საგანია, რომლის ხელში აღება დაკავშირებული უნდა იყოს გარკვეულ რიტუალებთან. ყურადღებიდან არ უნდა გამოგვრჩეს მკითხველის მარჯვნივ მდგომი ქვიშის საათი. საათში ქვიშა დაუსრულებლად მიედინება. ასეთი დაუსრულებელი ხასიათი ექნება ნაწარმოების სიცოცხლესაც მკითხველის ხანმოკლე და განსაზღვრულ ცხოვრებასთან შედარებით (Steiner 1997:18).

დროის სიმბოლოდ აგრეთვე გვესახება წიგნის წინ გაბნეული სამი მონეტაც. ქვეყნად ყველაფერი მატერიალური ინგრევა, იკარგება უსასრულობაში, წიგნები კი მარად ცოცხლობენ. ერთ დროს ძალაუფლების მქონე ფულს დაუკარგავს ღირებულება და მე-18 საუკუნეში დამკვიდრებული ჩვევის თანახმად ფილოსოფოსი მათ იყენებს ფურცლების დასამაგრებლად.

ჟან ბატისტ შარდენმა ფილოსოფოსის მაგიდაზე დახატა ბატის ფრთა და სამელნე. ბიბლიოთეკებში მრავლად მოიძებნება ისეთი წიგნები, რომელთა გვერდების მინდვრებზე ან სტრიქონებს შორის ასახულია მკითხველთა უამრავი თაობის შენიშვნები თუ ჩანიშვნები. მათ მიხედვით, შეგვიძლია შევადგინოთ კაცობრიობის ინტელექტის ისტორია. შარდენის ფილოსოფოსიც ბატის ფრთას უდავოდ იყენებს თავისი შთაბეჭდილებების და მოსაზრებების ჩამოსაყალიბებლად. ამგვარად, მხატვარი ერთმანეთთან აიგივებს კითხვის პროცესს და შემოქმედებას. კითხვა გულისხმობს ტექსტზე პასუხის გაცემას და მოითხოვს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობას. შტაინერის აზრით, „ინტელექტუალურია" ის ადამიანი, რომელიც კითხულობს კალმით ხელში (Steiner 1997:24).

კითხვის პროცესში აქტიური თანამშრომლობის შესახებ გვაუწყებს ფილოსოფოსის სახის გამომეტყველებაც, რომელშიც ჩანს პროცესის თანმხვედრი დიდი ინტერესი. შარდენმა ტყუილად არ მოჰფინა სხივი როგორც გადაშლილ წიგნს, ისე მკითხველის სახესაც. ნაწარმოებთან ურთიერთობის დროს, მკითხველი აგნებს არა  მხოლოდ ქმნილების დედააზრს, არამედ შეისწავლის და ამდიდრებს თავის შინაგან სამყაროსაც.

«Bien lire, c'est être lu par ce que nous lisons». (Steiner 1997)

(„კარგად კითხვა ნიშნავს თავად იყო წაკითხული წიგნის მიერ")

კითხვის პროცესში ყურადღებიანი მკითხველი მართლაც და გამუდმებით უნდა უხმობდეს თავის კოგნიტურ შესაძლებლობებს. მან უნდა გააკეთოს დადებითი ან უარყოფითი შეფასება ნაწარმოებში ასახულ მოვლენებზე, შეავსოს, გააგრძელოს, განავრცოს და, შესაძლებელია, თავისებური დასასრულიც მოუძებნოს წარმოდგენილ ამბავს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ავტორი განგებ არ ასრულებს ნაწარმოებს, იგი გასაქანს აძლევს მკითხველის ფანტაზიას, ინტუიციას და მთელ რიგ გონებრივ შესაძლებლობებს.

კითხვის პროცესში მკითხველის როლით შემდგომ საუკუნეებშიც დაინტერესდა არა ერთი ცნობილი მეცნიერი და მწერალი. მე-19 საუკუნის ფრანგი მწერლების - სტენდალის, გი დე მოპასანის, გიუსტავ ფლობერის და სხვათა ნაწარმოებები წარმოადგენენ სასურველი მოსაუბრის გათვალისწინების უტყუარ მაგალითს.

ავტორები იზიარებენ იმ გარემოებასაც, რომ „სამაგალითო" მკითხველი, რომელიც გაიაზრებს, შეავსებს და გარკვეულწილად გარდაქმნის მათ ნაწარმოებებს საკმაოდ რთული მოსაძებნია.

სტენდალი თავის ცნობილ რომანს „პარმის სავანე" უძღვნის მკითხველის მცირე, მაგრამ „ბედნიერ" საზოგადოებას:

«To the happy few». (Stendhal 1964:3)

მე-20 საუკუნეში მრავალი ავტორი გვევლინება არა მქადაგებლად, არამედ მკითხველთან მეგობრულად მოსაუბრე ჩვეულებრივ ადამიანად.

«Je suis un être de dialogue et non point d'affirmation» („გახლავართ დიალოგის და არა მტკიცების არსება") – წერს საუკუნის დასაწყისში ფრანგი მწერალი ანდრე ჟიდი (Gide 1897: 23).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებამდე ორი ტერმინი - „დისკურსი" და „ტექსტი" ევროპულ ლინგვისტიკაში ატარებდა სინონიმურ დატვირთვას. „დისკურსის ანალიზი" (პირველად ზ. ჰარისმა იხმარა) და ტექსტის „ლინგვისტიკა" გერმანულ ტერმინთან (Tectlinguistik) ერთად, ძალიან ახლოს მდგომ, ხშირად ერთსა და იმავე ენათმეცნიერულ სფეროებს გამოხატავდნენ. პრინციპული განსხვავების დანახვა და დისკურსისა და ტექსტის ცნებების გამიჯვნა დაკავშირებულია ტ. ა. ვან დეიკის დისკურსული ანალიზის სკოლასთან. ტექსტისა და დისკურსის დიფერენცირება ამ წყვილში სიტუაციის კატეგორიის შემოტანით (დისკურსი = ტექსტს (+) სიტუაცია; ტექსტი = დისკურსს (-) სიტუაცია) (ომიაძე 1998:12) უკვე ნიშნავდა ენობრივი კომუნიკაციის შესწავლისადმი ფართო მიდგომას: კვლევის ობიექტი ხდებოდა წინადადებაზე უფრო ვრცელი მეტყველების მონაკვეთი, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, სოციალურ სიტუაციაზე მახვილდებოდა ყურადღება. ვან დეიკის განმარტებით, „დისკურსის ნამდვილი გაგება დამოკიდებულია ენის მომხმარებელთა ცვალებად მახასიათებლებსა და კონტექსტზე" (დეიკი 1989:45). ტექსტი კი გაგებული იყო როგორც აბსტრაქტული ფორმალური კონსტრუქცია, რომლის რეალიზაცია და აქტუალიზაცია ხდება დისკურსში გარკვეულ სოციოკულტურულ კონტექსტთან და ექსტრალინგვისტურ ფაქტორებთან (ადრესატის განწყობანი, აზრები, ცოდნები, მიზნები) მჭიდრო კავშირში. დისკურსი გაგებულია როგორც რთული კომუნიკაციური მოვლენა და იმავე დროს როგორც წინადადებათა ბმული მიმდევრობა, რომელთა ანალიზი ხდება ლინგვისტური კოდების, ფრეიმების, სცენარების, კონტექსტის მოდელების, სოციალური რეპრეზენტაციების თვალსაზრისით, რაც აგებს სოციალურ ურთიერთობასა და გაგებას. ამგვარად, ვან დეიკმა სხვანაირად ჩამოაყალიბა ოპოზიცია „ტექსტი - დისკურსი", როცა ტექსტი იმ შესაძლებლობათა აბსტრაქტულ ველად წარმოადგინა, რომლებიც დისკურსის სხვადასხვა ფორმით აქტუალიზდება.

ბევრ გამოკვლევაში, რომელიც ფუნქციონალურად არის ორიენტირებული, დისკურსისა და ტექსტის დაპირისპირება ხდება ისეთი ოპოზიციური კრიტერიუმების მიხედვით, როგორიცაა ფუნქციურობა - სტრუქტურულობა, პროცესი - პროდუქტი, დინამიკურობა - სტატიკურობა, აქტუალურობა - ვირტუალურობა. შესაბამისად, განსხვავდებიან სტრუქტურული ტექსტი, როგორც პროდუქტი და ფუნქციური დისკურსი, როგორც პროცესი. როგორც მ. მაკაროვი აღნიშნავს, ამ თემის ვარიაციაა ტექსტი, როგორც აბსტრაქტული თეორიული კონსტრუქტი, რომელიც დისკურსში ხორციელდება ისევე, როგორც წინადადების აქტუალიზაცია ხდება გამონათქვამში (მაკაროვი 2003: 89).

ამგვარად, ერთ რიგში ექცევა წინადადება და ტექსტი, ხოლო მეორეში - გამონათქვამი და დისკურსი. ეს ბუნებრივიც არის, რადგან გამონათქვამი წინადადებისაგან განსხვავდება, როგორც მოცულობით, ისე სტრუქტურული, შინაარსობრივი და ფუნქციური თვალსაზრისით. ანალოგიურია მიმართება დისკურსსა და ტექსტს შორისაც. თუ გავიზიარებთ, რომ წინადადება და ტექსტი ენის დონეს განეკუთვნება, ხოლო გამონათქვამი და დისკურსი - ენის გამოყენებას, ასეთ გაყოფას შეიძლება ჰქონდეს აზრი და მეთოდოლოგიურად სასარგებლოც აღმოჩნდეს (მაკაროვი 2003: 89).

ტექსტისა და დისკურსის განსხვავებისთვის, ზოგ გამოკვლევაში გამოყენებულია ოპოზიცია „წერილობითი ტექსტი - ზეპირი დისკურსი“, რაც დამახასიათებელია ენისა და მეტყველების კვლევის ფორმალისტური მიდგომისათვის. ამგვარი დაყოფა ავიწროებს ორივე ურთიერთდაპირისპირებული ტერმინის მოცულობას. აღნიშნული დიქოტომიის საფუძველზე ზოგი მკვლევარი გამოყოფს დისკურს-ანალიზს (რომლის ობიექტი, მათი აზრით, უნდა იყოს მხოლოდ ზეპირი მეტყველება) და წერილობითი ტექსტის ლინგვისტიკას. მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, ასეთ მიდგომას პრაქტიკული კვლევისას ბევრი დაბრკოლება ხვდება. მაგალითად, მოხსენება შეიძლება ერთდროულად განხილული იყოს როგორც ტექსტი და, ამასთანავე, როგორც საჯარო გამოსვლა, ანუ კომუნიკაციური მოვლენა, თუმცა ფორმით მონოლოგური ტრადიციული გაგებით, მაგრამ, მიუხედავად

ამისა, სავსებით ამსახველი ენობრივი ურთიერთობის იმ სპეციფიკისა, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს ქმედების მოცემულ ტიპში.

დისკურსის ცნების დაკავშირებას მხოლოდ ზეპირ მეტყველებასთან შეიძლება ის საფუძველიც ჰქონდეს, რომ დისკურსი მეტყველების თანმხლებ, პარალინგვისტურ ელემენტებსაც შეიცავს - სხვადასხვა მიმიკას, ჟესტებს, ფონაციურ საშუალებებს, რომლებიც ტექსტში მხოლოდ აღწერის გზით შეიძლება „გაცოცხლდეს" (ომიაძე 1998:44).

როგორც ვხედავთ, მრავალგვარია ის ოპოზიციები, რომელთა ფარგლებში და რომელთა მეშვეობით ცდილობენ «დისკურსის» დეფინიციასა და დისკურსის ანალიზის წარმართვას. ბევრი მკვლევრისთვის ნათელია, რომ დისკურსისა და ტექსტის მკვეთრი გამიჯვნა არ არის ადეკვატური. ჩვენი აზრით, თუ ეს რამდე-ნადმე ხერხდება თეორიულ დონეზე, პრაქტიკული კვლევისას აღნიშნული ცნებების აღრევა, ურთიერთჩანაცვლება თითქმის გარდაუვალია. ეს ჩვენ გვაგონებს სოსიურისეული „ენა-მეტყველება" დიქოტომიასთან დაკავშირებულ პრობლემებს, რომლებიც ჩნდება ხოლმე ასევე ემპირიული კვლევების სფეროში.

არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, დისკურსი გაგებულია უფრო ფართოდ - როგორც ყველაფერი, რაც ითქმება და იწერება, ანუ როგორც სამეტყველო ქმედება, რომელიც იმავე დროს წარმოადგენს ენობრივ მასალასაც ბგერითი თუ გრაფიკული გამოხატვით. ტექსტი კი (ვიწრო მნიშვნელობით) გაგებულია როგორც წერის მეშვეობით ფიქსირებული მასალა. ამგვარად, ტერმინები მეტყველება და ტექსტი იქნება მათი გამაერთიანებელი გვაროვნული ტერმინის დისკურსის მიმართ. ის, რომ აქ ხაზგასმულია დისკურსის ცნების განმაზოგადებელი ბუნება, დაძლეულია ის შეზღუდვები, რომლებსაც უქმნიდა ამ ცნებას ისეთი ნიშნები, როგორიცაა მონოლოგურობა/დიალოგურობა; ზეპირი/წერილობითი, მნიშვნელოვნად მიაჩნია მ. მაკაროვს, რომელიც აღნიშნავს, რომ დისკურსის, როგორც გვაროვნული კატეგორიის გამოყენება მეტყველების, ტექსტისა და დიალოგის ცნებებთან მიმართებით, დღეს სულ უფრო ხშირად გვხვდება ენათმეცნიერულ

ლიტერატურაში, ხოლო ფილოსოფიურ, სოციოლოგიურსა და ფსიქოლოგიურ ტერმინოლოგიაში იგი უკვე ნორმად იქცა.

დისკურსის საყურადღებო კონცეფციას გვთავაზობს ი. პროხოროვი, 2004 წელს გამოსულ წიგნში „სინამდვილე. ტექსტი. დისკურსი". იგი არ ფიქრობს, რომ ტექსტი და დისკურსი ერთმანეთთან გვარსახეობით მიმართებაშია - თითოეული მათგანი მეორის ნაწილს არ შეადგენს. დისკურსი მისთვის არ არის შუალედური მოვლენა მეტყველებას, ურთიერთობასა და ენობრივ ქცევას შორის ანუ იგი არ არის სისტემისა და ტექსტის მაკავშირებელი რგოლი; ასევე ის არ არის ტექსტი ექსტრალინგვისტურ პარამეტრებთან ერთად და არც ტექსტი წარმოადგენს მისთვის დისკურსს ამ პარამეტრების გამოკლებით. ი. პროხოროვი ასე მსჯელობს: „თუ ისინი თანაბრადაა განლაგებული, მათი და მათი ურთიერთკავშირის განხილვა შესაძლებელია მხოლოდ „ზემოდან", განზოგადების უფრო მაღალი დონიდან, სადაც ისინი თანაბარი უფლებით შედიან..." (პროხოროვი 2004:32). „მაღლა" კი მხოლოდ სინამდვილეა და რეალური კომუნიკაცია მასში. სინამდვილეცა და კომუნიკაციაც დისკურსის ბევრ არსებულ დეფინიციაში შედის, მაგრამ იქ ეს ელემენტები თითქოს „ტექსტიდან და დისკურსიდან" მოდიან, თუმცა, როგორც მკვლევარი ფიქრობს, სწორედ ტექსტი და დისკურსი უნდა „ჩნდებოდნენ მათგან". რადგან ყოველი ტექსტი (წერილობითი თუ ზეპირი, მხატვრული თუ სამეცნიერო და ა.შ.) იქმნება იმ მიზნით, რომ გახდეს ფაქტი არამარტო „თავისთვის", არამედ ფაქტი „სხვებისთვის", გახდეს რაღაც უფრო ფართო ურთიერთქმედების მონაწილე. „ურთიერთქმედების მდგომარეობის" ასეთივე რეალური ელემენტი, მონაწილეა დისკურსიც - იგი ამ ურთიერთქმედებიდან „დაიბადა". რამდენადაც კომუნიკაცია აზრების, ცნობების, იდეებისა და მისთ. გაცვლა-გამოცვლაა, ამა თუ იმ შინაარსის გადაცემაა ერთი ცნობიერებიდან (კოლექტიური თუ ინდივიდუალური) ენობრივი ნიშნების საშუალებით, მაშასადამე, არსებობს ინფორმაციის დამაგრების რაღაც საშუალება და რაღაც საშუალება მისი გადაცემისთვის, ამასთანავე, თუ დამაგრების საშუალება მას უნდა ინახავდეს კომუნიკაციის პროცესის გარეშეც, „ტრანსლაციის საშუალება" მხოლოდ კომუნიკაციის მდგომარეობაში ხორციელდება (პროხოროვი 2004: 33).

ი. პროხოროვს ტექსტისა და დისკურსის აღსანიშნავად შემოაქვს ტერმინი ფიგურა, რომელიც უკვე არსებობს ლინგვისტიკურ ტერმინოლოგიაში -

მეტყველების ფიგურა, სტილისტიკური ფიგურა და სხვ. ტექსტისა და დისკურსის როლისა და ადგილის გათვალისწინებით კომუნიკაციაში, ტექსტს უწოდებს კომუნიკაციის ინტროვერტულ ფიგურას, დისკურსს - კომუნიკაციის ექსტრავერტულ ფიგურას.

ამგვარად, რეალური კომუნიკაცია შეიცავს სამ შეურწყმელ, მაგრამ განუყოფელ შემადგენელს: თვით სინამდვილის ფიგურას, რომლის სფეროში და რომლის საფუძველზეც არსებობს კომუნიკაცია და ორ ფიგურას: ტექსტს, რომელიც უზრუნველყოფს მის შინაარსობრივ-ენობრივ საფუძველს (რამდენადაც ტექსტი ენისაგან განუყოფელია) და დისკურსს, რომელიც უზრუნველყოფს შინაარსობრივ-მეტყველებით საფუძველს (საკუთრივ ვერბალურს - და, ჩვეულებრივ, არავერბალურ კომპონენტთან ერთად) (ომიაძე 1998:46).

ი. პროხოროვი გვთავაზობს აღნიშნული ცნებების განმარტებებს, სადაც ყურადღება გამახვილებულია „ლინგვოკულტურულ ერთობაზე“:

- კომუნიკაციის ექსტრავერტული ფიგურა - დისკურსი არის გარკვეული ლინგვოკულტურული ერთობის წარმომადგენელთა კომუნიკაციის შინაარსის ორგანიზაციისა და გაფორმების პრაქტიკის ენობრივ ფორმათა ერთობლიობა;
- კომუნიკაციის ინტროვერტული ფიგურა - ტექსტი არის გარკვეული ლინგვოკულტურული ერთობის წარმომადგენელთა კომუნიკაციის შინაარსის ორგანიზაციის ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ორგანიზაციის წესების ერთობლიობა;
- კომუნიკაციის მატერიალური ფიგურა - სინამდვილე არის მოცემული ლინგვოკულტურული ერთობის წარმომადგენელთა კომუნიკაციის განხორციელების მატერიალურ პირობათა ერთობლიობა. (პროხოროვი 2004: 34-35).

ამგვარად, წარმოდგენილ კომუნიკაციის სტრუქტურას ავტორი ადარებს ჰოლოგრამას, რადგან მისი ელემენტების, რომლებიც შეურწყმელი და განუყოფელია ერთდროულად, ურთიერთქმედების საფუძველი ისევეა ინტერფერენცია, როგორც ჰოლოგრამის საფუძველი - ტალღათა

ინტერფერენცია. სინამდვილის შეცვლისას, ეს ცვლილებები ეხება ტექსტსაც და დისკურსსაც, აძლიერებს რა ერთის და ასუსტებს რა მეორის როლს კომუნიკაციაში. იმპლიციტური (ტექსტური) ინფორმაციის ხარისხის ან მოცულობის შეცვლა იწვევს დისკურსის ცვლილებასაც; დისკურსის მიზნის შეცვლის საჭიროება აძლიერებს ან ასუსტებს კომუნიკაციის ტექსტობრივ შემადგენელს. ინფორმაციის კოდირებისა და ობიექტთა ამოცნობისთვის ასევე აუცილებელია კომუნიკაციის ამ სამი ელემენტის ურთიერთკავშირი.

თუ შევაჯამებთ დისკურსის განმარტებათა ანალიზის შედეგებს, უნდა ვთქვათ, რომ გამოიკვეთა სამი ძირითადი მიდგომა: სტრუქტურული, ფუნქციური და სტრუქტურულ-ფუნქციური. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ დისკურსი ენის გამოყენების ტექსტუალიზებულ (ზმულ) ერთეულთა მთლიანობაა, რომელიც ფუნქციურად არის ორგანიზებული, და არა „წინადადებაზე ვრცელი ენობრივი სტრუქტურის" იზოლირებულ ერთეულთა მარტივი ნაკრები, როგორც სტრუქტურული (ფორმალური) ორიენტაციის განმარტებებშია. როგორც ჩანს, აღნიშნულ მიდგომას უფრო ემყარებიან თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, სადაც დისკურსი სულ უფრო ხშირად განიხილება როგორც კონკრეტული კულტურისა და სოციუმისათვის სპეციფიკური რეალიზაცია. არსებითად ენობრივი მონაცემებისა და ენათმეცნიერული მეთოდების გამოყენებით ხდება მაკროდონეზე სოციოლოგიის სხვადასხვა მიმართულებაში საზოგადოებრივ ფენომენთა კატეგორიზაცია ენობრივ კომუნიკაციასთან მიმართებით. მიკროდონეზე კი სწორედ ლინგვისტიკური მიდგომებითაა შესაძლებელი საზოგადოების სოციალურ-კულტურული დინამიკის შესწავლა. მაგალითად, ეთნოფსიქოლინგვისტიკაში, რომლის მიზანია ეროვნული ენის, როგორც ეროვნული ენობრივ-მენტალური კომპლექსის, ფუნქციონირების აღწერა და ახსნა, დისკურსი გაგებულია, როგორც ვერბალიზებული მეტყველებით-აზროვნებითი ქმედება, რომელიც პროცესისა და შედეგის ერთიანობის სახით წარმოგვიდგება და რომელსაც ორი პლანი აქვს: საკუთრივ ენობრივი და ენობრივ-კოგნიტიური. „დისკურსი, როგორც პროცესი, არის გასიტყვებული (ვერბალიზებული) თვით სინამდვილე, ხოლო, როგორც შედეგი - ტექსტების ერთობლიობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დისკურსის საკუთრივ ენობრივი პლანი დაკავშირებულია ენასთან, იგი საკუთარ თავს გამოხატავს ენობრივი

საშუალებებით და ვლინდება წარმოქმნილი ტექსტების ერთობლიობით (დისკურსი, როგორც შედეგი). ლინგვო-კოგნიტიური პლანი უკავშირდება ენობრივ ცნობიერებას, განაპირობებს ენობრივ საშუალებათა შერჩევას, გავლენას ახდენს ტექსტების წარმოქმნასა და აღქმაზე. ამგვარად, დისკურსი არის ერთიანი ორგანიზმი, რომელშიც ერთდროულად ხორციელდება არა მარტო ენის, არამედ ენობრივი აზროვნების ყველაზე მრავალგვარი ასპექტები" (კრასნიხი 2002: 10-11).

ჩვენ კი ენის კულტუროლოგიური კვლევისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია დისკურსის განმარტება, რომლის მიხედვითაც იგი გარკვეული (ქართული) ლინგვოკულტურული ერთობის წარმომადგენელთა შორის კომუნიკაციის შინაარსის ორგანიზაციისა და გაფორმების პრაქტიკას წარმოადგენს, იმის მხედველობაში მიღებით, რომ თვით დისკურსის სტრუქტურა ორი - ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური - კომპონენტისაგან აიგება. უკანასკნელს შეადგენს სოციოკულტურული, პრაგმატული, ფსიქოლოგიური, კოგნიტიური და სხვა ფაქტორები. გარეენობრივი ფაქტორების გათვალისწინების აუცილებლობას განსაზღვრავს კულტურის თვით არსიც, რომლის გამოვლენის ერთ-ერთი უმაღლესი ფორმა ბუნებრივი ენაა (ომიაძე 1998:46).

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში მკითხველის პრობლემა გადაჭრით წამოაყენეს რუსმა ფორმალისტებმაც და ერთმანეთს დაუპირისპირეს პრაქტიკული და პოეტური ენა. მათი აზრით, პრაქტიკული ენა ყოველ საგანს აქცევს მოვლენად, რის შედეგადაც აკარგვინებს ჭეშმარიტ აზრს და სიღრმეს. პოეტური ენის მეშვეობით კი ავტომატიზმი იშლება და ყველაფერს ეძლევა ღრმა შინაარსი.

რუსი ფორმალისტები მკითხველის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს იმაში ხედავდნენ, რომ ნაწარმოების კითხვისას მან უნდა შესძლოს საგანთა და მოვლენათა მიღმა დანახვა და ჭეშმარიტი აზრის შეცნობა.

მე-20 საუკუნის 60-იან წლებში საფრანგეთში იქმნება მრავალი გამოკვლევა მხატვრული კომუნიკაციის - ავტორის და მკითხველის ურთიერთობის შესახებ. ნაწარმოების შესწავლაში აქტიურად ირთვება მრავალი მეცნიერება - ლინგვისტიკა, სემანტიკა, სტილისტიკა, ლექსიკოლოგია, გრამატიკა, ენათმეცნიერება და ა. შ. იწყება ტექსტის

ჩარჩოების გაფართოება, შესასწავლ ობიექტთან მრავალმხრივი მიდგომის მცდელობა. ტექსტის შესწავლის პროცესში იხმობენ ისეთ დარგებსაც, როგორიცაა ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ისტორია და სხვ. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ტექსტის ანალიზი მისი კოგნიტური აღქმიდან გამომდინარე, რომელსაც საფრანგეთში ჰყავს მრავალი მიმდევარი.

ფრანგი მეცნიერი როლან ბარტი მკითხველს თვლის ტექსტუალური სამყაროს უტყუარ შემადგენელ ნაწილად. მისი აზრით, ნაწარმოების შექმნის პროცესში ავტორი გამუდმებით იმყოფება სასურველი მკითხველის ძიებაში:

„თუ მე სიამოვნებით ვკითხულობ ამა თუ იმ ფრაზას, ამა თუ სიტყვას, ე. ი. მათი შემქმნელიც განიცდიდა სიამოვნებას. და თუ პირიქით? თუ მე, მწერალს მსიამოვნებს წერა, ე. ი. იგივენაირად უნდა ისიამოვნოს მკითხველმაც. ამიტომ იძულებული ვხვდები ვიპოვო ჩემი მკითხველი, თუნდაც არ ვიცოდე მისი ადგილმდებარეობა." (Barthes 1980:20)

როლან ბარტის აზრის გავრცობად გვევლინება მიშელ ბიუტორის თვალსაზრისი. იგი წერს:

„ადამიანი ყოველთვის იმ განზრახვით წერს, რომ წაკითხულ იქნეს. მე ყოველთვის მეთვალყურე თვალის მიმართ ვწერ ხოლმე, თუნდაც იგი ჩემი საკუთარი თვალი ყოფილიყოს. თვით წერის პროცესი მოიცავს მკითხველ საზოგადოებას." (Butor 1985:18)

იტალიელი მწერალი უმბერტო ეკოც აღიარებს მკითხველს ეპიკური სამყაროს უმნიშვნელოვანეს ელემენტად (Eco 1996:2-3). მკითხველის როლისადმი მიძღვნილ ნაშრომს ეკო საინტერესოდ ასათაურებს: «Lupus in fabula». აღნიშნული ლათინური სიტყვათშეთანხმება იმის შესახებ გვიამბობს, რომ მგელი არის ყველა ზღაპრის უტყუარი პერსონაჟი. მგელსა და მკითხველს შორის პარალელის გავლებით მეცნიერი და მწერალი მკითხველს აღიარებს, როგორც ეპიკური სამყაროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და

საბაზისო ელემენტს. მგელი ტყის ბინადარია, შესაბამისად, უმბერტო ეკო „ტყეს" წარმოგვიდგენს მხატვრული ტექსტის მეტაფორად.

მკვლევარის აზრით, წიგნის ატმოსფერო მკითხველისთვის და ნაწარმოების გმირთათვის წარმოადგენს დაბურულ და უღრან ტყეს. ადამიანის ცნობიერებაში ტყე იწვევს ბუნდოვანების, გაურკვევლობის, გამოსავლის ძიების ასოციაციებს და მას იძულებულს ხდის, რომ აამუშაოს გონებრივი და ინტელექტუალური შესაძლებლობები.

ტყის სიმბოლიკას ვხვდებით არგენტინელი მწერლის და პოეტის ხორხე ლუის ბორხესის კრიტიკულ წერილებშიც. მისი აზრით,

„ტყე ისეთი ბაღია, სადაც ყოველ გზას მრავალი განშტოება აქვს და მაშინაც, როდესაც ბილიკები გამოკვეთილი არ არის, თითოეულ მგზავრს შეუძლია საკუთარი გზა გაიკაფოს".

აქედან გამომდინარე, ტექსტის სამყაროში ე. წ. „ხეტიალის" დროს მკითხველი გამუდმებით იმყოფება არჩევანის წინაშე, ძაბავს გონების შესაძლებლობებს, რათა საბოლოოდ დაადგეს მისთვის მისაღებ გზას.

უმბერტო ეკო თვლის, რომ

„ყოველი ტექსტი იმ ზარმაც მოწყობილობას წარმოადგენს, რომელიც მკითხველისგან მოითხოვს მისი საკუთარი სამუშაოს შესრულებას." (Eco 1996:10-12)

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტექსტთან ურთიერთობის პროცესში მისი ადრესატი, უპირველეს ყოვლისა, ამუშავებს საკუთარ ფანტაზიას, გამჭრიახობას და მთელ რიგ კოგნიტურ უნარ-თვისებებს.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოებაც, რომ თითოეული ადამიანის ცნობიერებაში ზეპირ თუ წერილობით ტექსტთან ურთიერთობის შედეგად ასახული ხატები ყოველთვის ნიშანდობლივად განსხვავდება სხვა ადამიანის მიერ წარმოდგენილი იმავე ნაწარმოებით გამოწვეული სურათებისგან. აღნიშნული გარემოება გამომდინარეობს ინდივიდის მსოფლმხედველობიდან, სოციალური ფენიდან, პოლიტიკური მრწამსიდან,

დროულ-სივრცობრივი ასპექტებიდან და მრავალი სხვა მის გონებაში დამკვიდრებული კლიშედან.

კაცთმოყვარე მქადაგებლები ადრესატს გამუდმებით მოუწოდებენ მისი კოგნიტური უნარების ამუშავებისკენ. მოვიყვანოთ ყველასთვის ცნობილი პასაჟი ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის ნაწარმოებიდან „პატარა პრინცი".

პილოტისა და პრინცის შეხვედრისთანავე მათ შორის იმართება საინტერესო დიალოგი, სადაც უცნობი უფლისწული ითხოვს ცხვრის დახატვას (Saint-Exupéry De 1992:8-10):

«... - Dessine-moi un mouton.
Alors, j'ai dessiné.
Il regarda attentivement, puis:
- Non! Celui-là est déjà très malade. Fais-en un autre.
Je dessinai. Mon ami sourit gentiment, avec indulgence:
- Tu vois bien, ce n'est pas un mouton, c'est un bélier. Il a des cornes...
Je refis donc encore mon dessin. Mais il fut refusé, comme les précédents:
- Celui-là est trop vieux. Je veux un mouton qui vive longtemps.
Alors, faute de patience, comme j'avais hâte de commencer le démontage de mon moteur, je grifonnai ce dessin-ci.
Et je lançai:
- Ça c'est la caisse. Le mouton que tu veux est dedans.
Mais je fus surpris de voir s'illuminer le visage de mon jeune juge:
- C'est tout à fais comme ça que je le voulais! Crois-tu qu'il faille beaucoup d'herbe à ce mouton?
- Pourquoi?
- Parce que chez moi tout est petit...
- Ça suffira sûrement. Je t'ai donné un tout petit mouton.
Il pencha sa tête vers le dessin.
- Pas si petit que ça... Tiens! Il s'est endormi...»

„...

დამიხატე ცხვარი.

მეც დავხატე.

მან ყურადღებით შეხედა და:

- ეს ცხვარი ძალიან ავადმყოფია. დამიხატე სხვა.

მეც დავხატე. ჩემმა მეგობარმა თავაზიანად გამიღიმა და შემწყნარებლური იერით მითხრა:

- შენ თვითონაც ხედავ, რომ ეს ცხვარი კი არა, ვერძია. მას აქვს რქები...

მე კიდევ ერთხელ დავხატე, მაგრამ უკანასკნელი ნახატიც იქნა უარყოფილი დანარჩენების მსგავსად:

- ძალიან მოხუცია, მე მინდა ისეთი ცხვარი, რომელიც დიდხანს იცოცხლებს.

მოთმინება აღარ მყოფნიდა, თანაც მეჩქარებოდა ძრავის დემონტაჟის დაწყება. მოვხაზე ნახატი და მივაწოდე:

- ეს ყუთია. ცხვარი, რომელიც შენ გინდა ამ ყუთში ზის.

ნამდვილად გავოცდი, როდესაც სინათლის სხივი დავინახე ჩემი ახალგაზრდა მოსამართლის სახეზე:

- სწორედ ასეთი მინდოდა! როგორ გგონია, ბევრი ბალახი დასჭირდება ამ ცხვარს?

- რაში გაინტერესებს?

- იმიტომ, რომ ჩემთან ყველაფერი პატარაა...

- ყველაფერიც ეყოფა. მე სულ პატარა ცხვარი მოგეცი.

იგი გადაიხარა ნახატისკენ.

- არც ისეთი პატარა... შეხედე! ჩაეძინა..."

---

პატარა უფლისწულმა უარჰყო მხატვრის მიერ შემოთავაზებული ყველა კონკრეტული ნახატი და აირჩია ისეთი, რომელმაც გასაქანი მისცა მის წარმოსახვასა და ფანტაზიას, ანუ კოგნიტურ უნარ-ჩვევებს. ავტორის მიერ შემოთავაზებულ კონკრეტული საგნის გზით ადრესატმა შექმნა ხატების უსასრულო რაოდენობა: წარმოდგენილი საგნის ზომა, მდგომარეობა, იერი და ა. შ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადრესატის ცნობიერების მიერ შექმნილი სურათები დამოკიდებულნი არიან, უპირველეს ყოვლისა, მის ინტუიციაზე, ინტელექტზე, ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და სხვა მრავალ ასპექტსა თუ თვისებაზე.

თუმცა თავის ფანტაზიაში ტექსტის ადრესატი მთლად თავისუფალი არ არის. ავტორი აკონტროლებს მის შემოქმედებითობას და მას აძლევს მისთვის სასურველ მიმართულებას. აღნიშნული გარემოების დასტურია სხვადასხვა ლინგვისტური ხერხის საშუალებით შემოთავაზებული ორიენტირები.

დღევანდელი მეცნიერები ზემოთხსენებულ ორიენტირებს შორის მთავარ ადგილზე ასახელებენ მეტაფორის ფენომენს.

ტექსტის ავტორი გამუდმებით გრძნობს მისი პოტენციური მსმენელის / მკითხველის არსებობას, რომლის კოგნიტური უნარ-ჩვევების წყალობით ტექსტი შეივსება, გამდიდრდება და უპასუხებს დასახულ გეგმას.

საკუთარ წარმოდგენაში ტექსტის ადრესატი ქმნის საკუთარ, მაგრამ ავტორის მიერ შემოთავაზებული რეალობის შესაბამის ხატებს.

ავტორი თავის სათქმელს ადრესატს აწვდის შეპარვით და არა პირდაპირი გზით. ამიტომ ადრესატი უნდა შეეცადოს, რომ ე. წ. ეპიკურ სამყაროში სწორი გზა გაიკვალოს და მიაგნოს ჩაქსოვილ იდეებსა და მიზნებს. ამგვარი დამოკიდებულება თამაშს გვაგონებს, მაგრამ ისეთ თამაშს, რომლის წესებს ყოველთვის ავტორი ირჩევს.

„კითხვის პროცესი წააგავს თამაშს, რომლის წესების არჩევანს მკითხველი უთმობს მწერალს'' - წერს უმბერტო ეკო (Eco 1996:10).

იმისათვის, რომ თამაში შესდგეს, საჭიროა, რომ მისი წესები ცნობილი იყოს ორივე მხარისთვის. „კარგ'' მკითხველში ისეთი მოთამაშე იგულისხმება, რომელიც სამაგალითოდ ითვალისწინებს ავტორის მიერ შემოთავაზებულ ყველა წესს.

მაგრამ დამტკიცებულია, იმისათვის, რომ მკითხველმა „სწორად'' და „კარგად'' წაიკითხოს და მიაგნოს ნაწარმოებში ჩადებულ დედააზრს, იგი დარწმუნებული უნდა იყოს ამბის „ნამდვილობაში''. თავისი კოგნიტური

უნარების წყალობით, მკითხველმა უნდა შექმნას რეალურის მსგავსი წარმოსახვითი სამყარო, რომლის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი თავად გახდება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ რეალური და მხატვრული სამყაროები განსხვავებული ცნებებია. ტექსტის მიერ შემოთავაზებული „ნამდვილობა" არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ ერთმანეთში აღვრიოთ ემპირიული და წარმოსახვითი სამყაროების დეტალები.

ცნობილია, რომ ამ ფენომენს უდავოდ მოყვება ბევრი არასასურველი და სავალალო შედეგი. მაგალითად, ადრესატი შეიძლება აღმოჩნდეს ისეთივე მდგომარეობაში, როგორც გუსტავ ფლობერის ცნობილი პერსონაჟი ქალბატონი ბოვარი - ქალის მთელი უბედურება გამომდინარეობდა იმ ფაქტიდან, რომ იგი დღენიადაგ ცხოვრობდა სასიყვარულო რომანების კითხვის შედეგად შექმნილ არარეალურ სამყაროში.

ავტორის მხატვრული ტექსტის რეალობით გატაცებული უმბერტო ეკოს ერთ-ერთი მკითხველი აღმოჩნდა საკმაოდ სასაცილო და უხერხულ მდგომარეობაში. მწერლის რომანში „ფუკოს ქანქარა" ეშმაკთა ცერემონიალზე მოსასწრებად და დასასწრებად, რომელიც პარიზში ვოსჟის მოედანზე უნდა შემდგარიყო 23-24 ივლისის ღამეს, მისი პერსონაჟი გადაკვეთს ქალაქის მრავალ ქუჩას. აღნიშნული ეპიზოდის აღწერისთვის მწერალს თავად რამდენჯერმე ფეხით გაუთელავს აღნიშნული გზის მონაკვეთი. ეკოს სურვილი იყო, რაც შეიძლება დეტალურად აღენუსხა ყოველივე ის, რასაც მისი ნაწარმოების გმირი ხედავდა და გრძნობდა საბედისწერო ღამის განმავლობაში. რომანის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ პარიზის ერთ-ერთ მაცხოვრებელს გადაუქექავს 1984 წლის 23, 24 ივლისს გამოცემული ჟურნალ-გაზეთები და აღმოუჩენია, რომ ნაწარმოებში დასახელებულ ქუჩაზე აღნიშნულ ღამეს შესამჩნევი ხანძარი ყოფილა.

მკითხველმა უმბერტო ეკოს წერილი მისწერა, სადაც უსაყვედურა იმის გამო, თუ როგორ ვერ შეამჩნია ეს ფაქტი მისი რომანის პერსონაჟმა და თუ შეამჩნია, რატომ ეს არაა აღწერილი ნაწარმოებში ( Eco 1996:45).

ზემოთმოყვანილი ამბავი გახლავთ ტექსტის ადრესატის მიერ რეალური და მხატვრული სამყაროების ერთმანეთში აღრევის ცხოველი მაგალითი.

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. მხატვრული ნაწარმოების, ტექსტის ავტორის ძირითადი მიზანსწრაფვა მკითხველზე ზემოქმედება კი არ გახლავთ, არამედ იგი მიისწრაფვის მასთან თანამშრომლობისკენ კოგნიტური უნარ-ჩვევების ამუშავების გზით. ამაზე მეტყველებს მრავალი ზემოთმოყვანილი მაგალითი.

ამისგან განსხვავებით, პოლიტიკური დისკურსის მთავარი მიზანია ზეგავლენის მოხდენა, ადრესატის აზრის შეცვლა დასახული მიზნის სასიკეთოდ და საკმაოდ ხშირად ხალხთა მასებში ახალი იდეოლოგიის ჩამოყალიბებაც კი. პოლიტიკური დისკურსი სხარტად იყენებს და ითვალისწინებს ადამიანის გონებრივ ისეთ ძირითად მონაცემებს, როგორიცაა შემოქმედებითობა და წარმოსახვის უნარი. აღსანიშნავია, რომ ძირითადად პოლიტიკოსი მიისწრაფვის არა ადრესატთან თანამშრომლობისკენ, არამედ იმისკენ, რომ მისი კოგნიტურ ხატებს მისცეს კონკრეტული, მისთვის სასურველი მიმართულება და მეტ-ნაკლებად დათრგუნოს აზრის ინდივიდუალური და უნიკალური ხასიათი. აქ ავტორის მიერ შექმნილი სასურველი სამყარო ლინგვისტური ელემენტებისა და ხერხების საშუალებით პირდაპირ იბეჭდება მსმენელის ცნობიერში და ნაკლებ გასაქანს აძლევს მის ფანტაზიას. სწორედ აღნიშნული სპეციფიკის გამო მრავალი მკვლევარი, მეცნიერი თუ უბრალოდ ინტელექტუალი მოუწოდებს ხალხს დიდი გონებრივი სიფხიზლისკენ, რომელიც მან უნდა გამოიჩინოს პოლიტიკური დისკურსის მოსმენის დროს.

## 1. 4. კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ფსიქოლინგვისტიკა

თანამედროვე ლინგვისტიკის უტყუარი წინა პირობა პირველად გაჩნდა სოსიურის სემიოტიკური კონცეფციის საფუძველზე: ენა არის არბიტრარულ ნიშანთა სისტემა.

საინტერესოა ქართველი მეცნიერის გურამ ლებანიძის ნამუშევრები, სადაც მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ლინგვისტური კვლევის საგნად დღეს უნდა ჩაითვალოს არა „ენა, როგორც სისტემა", არამედ „ენა, როგორც სისტემა მოქმედებაში" (ლებანიძე 2004:156).

აღნიშნულ ნაშრომში ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის თაობაზე, რომ ნებისმიერი გამონათქვამი თავის თავში შეიცავს სამ უტყუარ აქტიორს: ავტორს, ტექსტს და ადრესატს. თანამედროვე ლინგვისტიკამ, სხვა შესწავლის სფეროების თანახმად, აღიარა ეს კონცეფცია და სტატიკური მეცნიერებიდან გადავიდა დინამიურ საფეხურზე, რის შედეგადაც, თანამედროვე მეცნიერებაში უკვე საუბარია კომუნიკაციური ლინგვისტიკის შესახებ.

ენა ადამიანებს შორის კომუნიკაციის დამყარების საშუალებას წარმოადგენს. შესაბამისად, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მისი პრაგმატული ანუ გამოყენებითი ხასიათი.

რას შეიძლება დავარქვათ გამონათქვამის პრაგმატული მხარე?

ეს გახლავთ სწორედ ის მიზანი, რომელსაც გამონათქვამის ავტორი აქსოვს თავის გამოსვლაში და მის განხორციელებას ცდილობს ადრესატზე ზემოქმედების გზით.

მოძრაობა სინტაქტიკიდან პრაგმატიკისაკენ და მეორე მხრივ, ნიშნის არასრული ტიპიდან ისეთი სრული ტიპისაკენ, როგორიცაა ჰიპოთეტურად ტექსტი. ამ ორი მიმართულების გადაკვეთის წერტილში შეიქმნა და ვითარდება ის, რასაც კომუნიკაციური ლინგვისტიკა ვუწოდეთ (ლებანიძე 2004:153).

თანამედროვე ენათმეცნიერებაში კომუნიკაციური ლინგვისტიკის დომინანტობა აღინიშნება ენობრივ ნიშანში ნომინაციური და კომუნიკაციური ფუნქციების გამიჯვნასა და გულისხმობს კომუნიკაციური ფუნქციის ლინგვისტური აზროვნების ფოკუსში მოქცევას.

ჩასახვის პირველ ეტაპზე თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა დაინტერესდა მეტყველი სუბიექტით, ანუ ავტორით. მოგვიანებით, ლინგვისტური აზროვნების განვითარების შედეგად, ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო მეტყველ სუბიექტს არამედ, მსმენელ სუბიექტსაც ანუ ადრესატს, რომელიც წარმოადგენს გამონათქვამის ძირითად მიზანს.

ტექსტისადმი ამ ახლებურმა ლინგვისტურმა მიდგომამ ჩასახა უამრავი მიმართულება და თეორია. უნდა აღინიშნოს, რომ თავის საწყისებში ყველა შესწავლის ასპექტი წარმოადგენდა ცალკეული კვლევის საგანს, თუმცა დღესდღეისობით შეიმჩნევა მათი ურთუერთშერწყმა და ერთ საერთო მიმდინარეობად ჩამოყალიბება, რაც, დღესდღეობით, გამოისახა ფსიქოლინგვისტიკის სფეროს სახით.

თანამედროვე მეცნიერული განმარტებით, ფსიქოლინგვისტიკა არის ენათმეცნიერების და ფსიქოლოგიის მომიჯნავე დისციპლინა. იმისთვის, რომ ჩავსწვდეთ რას შეისწავლის ის, ჯერ გავარკვიოთ ენასთან დაკავშირებულ რომელ ასპექტებს შეისწავლის ცალკე ენათმეცნიერება და ცალკე ფსიქოლოგია. ფაქტია, სინამდვილის ერთსა და იმავე სფეროს რამდენიმე მეცნიერება შეიძლება იკვლევდეს. ენას რომ ჩამოვშორდეთ და უბრალოდ ადამიანის ცნება ავიღოთ მაგალითად, ადამიანს სწავლობს ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ანთროპოლოგია, მედიცინა და მეცნიერების მრავალი განსხვავებული დარგი, მაგრამ განსხვავება იმაშია, თუ ადამიანის რომელ და როგორ ქმედებას, ან ადამიანს ზოგადად რა კონტექსტში შეისწავლის თითოეული მათგანი, ისინი კვლევის განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ, განსხვავებულ ინსტრუმენტებს, მაგრამ ასეა თუ ისე, სწავლობენ ადამიანს. „ბუნებრივი“ ენის შემსწავლელი მეცნიერებებია: ენათმეცნიერება (ლინგვისტიკა), ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ანთროპოლოგია და ა.შ.

განვიხილოთ ორი მთავარი დარგი, რაც უშუალო კავშირშია ფსიქოლონგვისტიკასთან. (ეს სახელიდან გამომდინარეც აშკარაა).

ლინგვისტიკა არის მეცნიერება ენის შესახებ, ის იკვლევს კავშირებს სხვადასხვა ენებს შორის, ენის სტრუქტურას, მისი შესწავლის ძირითადი ობიექტი კი ენობრივი ნიშნებია. ფსიქოლოგიის კვლევის საგანი არის ის, რასაც ადამიანის „შინაგანი სამყარო" ჰქვია. ფსიქოლოგია შეისწავლის ადამიანის ქცევებს გამოწვეულს მათი განცდებით, შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების საფუძვლადმდებარე კანონზომიერებებს, იქნება ეს აღქმა, მეტყველება, მეხსიერება, ემოცია, თუ სხვა. ენათმეცნიერები განასხვავებენ „ენას" და „მეტყველებას". ისინი ერთად „სამეტყველო ქმედებას ქმნიან". ენა სოციალური ასპექტია (დაკავშირებულია ენობრივ ნორმებთან) ამ ქმედების, მეტყველება კი- ინდივიდუალური. მეოცე საუკუნეში ფსიქოლოგია და ენათმეცნიერება თითქოს ინაწილებდნენ ენის სხვადასხვა ასპექტებს. პირველი სწავლობდა მეტყველების ინდივიდუალურ გამოვლინებებს, მეორე კი- ენის ზოგად ნორმებს. ამ განცალკევების გამო ყურადღების მიღმა რჩებოდა სამეტყველო ქმედების ფსიქო-ფიზიკური მექანიზმები, რამაც განაპირობა ენისა და მეტყველების კავშირების უფრო კომპლექსურად შესწავლა.

გაჩნდა საჭიროება ენა განხილულიყო მეტყველების ჭრილში და პირიქით, ამიტომ აუცილებელი გახდა ცალკე დარგის არსებობა, რაც ამ თავისებურებებს შეისწავლიდა და ენის ფსიქოლოგიურ ასპექტებზე გაამახვილებდა ყურადღებას. მეოცე საუკუნის 50-იან წლებში ფსიქოლინგვისტიკა დამოუკიდებელი დისციპლინა გახდა, რომელსაც აინტერესებდა, თუ რა მექანიზმები ედო საფუძვლად ენობრივი გამონათქვამების წარმოთქმას და მათ გაგება-გააზრების პროცესებს. ამ განსაკუთრებულ დარგს 1954 წელს ჩარლზ ოსგუდმა ფსიქოლინგვისტიკა უწოდა.

ფსიქოლინგვისტიკა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კომუნიკაციის პროცესების შესწავლას, რადგან სწორედ კომუნიკაციისას წარმოიქმნება (პროდუცირდება) ის გაზიარებული გამონათქვამები, რომლის აღქმაც (რეცეპცია) საზოგადოებას არ უჭირს. ე.ი. კომუნიკაციის ეფექტურად მიმდინარეობისთვის აუცილებელია ის ნიშნები და სიმბოლოები სიტყვების და რეპლიკების სახით, რასაც ადამიანები ცვლიან საუბრის პროცესში, იყოს

კონკრეტული საზოგადოების ფარგლებში გაზიარებული. (მაგალითად, მე რომ მომიწიოს საუბარი ადამიანთან, რომელმაც არ იცის არც ერთი ენა, რაზეც მე შემიძლია საუბარი, მოსაუბრის მიერ წარმოთქმული სიტყვები ჩემთვის უაზრო ბგერები იქნება და პირიქით. მისთვისაც უაზრო იქნება ის, რასაც მე ვეუბნები ქართულად. შესაბამისად, კომუნიკაცია არ შედგება! ე.ი. აუცილებელია საუბრის დროს გაზიარებული იყოს ენობრივი ნიშნები). გამონათქვამების და მისი შემადგენელი სიტყვების აღქმა გარკვეულწილად დამოკიდებულია მსმენელის/მთქმელის განწყობაზეც (შინაგან მდგომარეობაზე). ხშირად, როდესაც სერიოზული საკითხის განხილვას ვიწყებ საუბრის დასაწყისში ვამბობ ხოლმე, რომ მე პასუხს ვაგებ თითოეულ სიტყვაზე, რასაც ვიტყვი, მაგრამ არა იმაზე, თუ როგორ გაიგო ჩემი ნათქვამი სხვამ. პრაქტიკიდან გამომდინარე აუცილებლად მიმაჩნია ამის აღნიშვნა, რადგან ადამიანები ხშირად ისე ვატრიალებთ სხვების ნათქვამს, როგორც გვსურს. ეს შესავალი მაძლევს საშუალებას ხელახლა და უფრო გასაგებად ავუხსნა მოსაუბრეს ის, რაც ვთქვი და მან არასწორად გაიგო. ფსიქოლინგვისტიკა შეისწავლის სწორედ იმ მექანიზმებს და პროცესებს, რომლებიც გამონათქვამების წარმოქმნას და აღქმას განაპირობებს.

ფსიქოლინგვისტიკა დიდ ყურადღებას უთმობს ასევე ენის ათვისების საკითხს, თუ რა პირობებში მიმდინარეობს ის, რატომ ხდება, რომ ბავშვები უკეთ სწავლობენ ენებს, ვიდრე უფროსები, როდის სრულდება ენის შესწავლა და ა.შ.

მეცნიერები განსაკუთრებით კამათობენ იმ საკითხზე ენა თანშობილი/დაბადებიდანვე ადამიანში ჩადებული უნარია, თუ შეძენილი, ისევე როგორც კითხვის ან ქსოვის სწავლა. თითოეული მათგანის დასამტკიცებლად მრავალ კითხვაზეა პასუხი გასაცემი. გამოვყოთ ფსიქოლინგვისტიკის ძირითადი სფეროები:

• ენის დაუფლების პროცესის კვლევა- რა კანონზომიერებებში ხდება ენის დაუფლება. განასხვავებენ „საკუთარი“ და უცხო ენის დაუფლებას. ამავე სფეროში შედის ბილინგვიზმიც, ანუ ორენოვნება.

• ენობრივი ცოდნის კვლევა - რა სახითაა ცოდნა მოცემული ცნობიერებაში, დანაწევრებულია ის, თუ ერთ ადგილასაა თავმოყრილი (ლოკალიზებული).

• კომუნიკაციის პროცესის კვლევა- კომუნიკაციის საფუძვლადმდებარე პროცესების კვლევა. ამ დროს განასხვავებენ რეცეპტიულ (მოსმენა, კითხვა), ანუ მიმღებ და პროდუქტიულ, ანუ შემოქმედ (წერა, მეტყველება) პროცესებს.

აღნიშნული სფეროები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და მათი დაყოფა პირობითია. ერთ სფეროში კვლევისას მიღებული შედეგები სხვა სფეროებზეც არანაკლებ ინფორმაციას იძლევა, მაგრამ გასათვალისწინებელია მკვლევარი რა მეთოდებს იყენებდა კვლევისას.

ნაშრომში მიზანშეწონილად მივიჩნიეთ განგვეხილა გასულ საუკუნეში ჩამოყალიბებული ძირითადი თეორიები და მიდგომები.

## 1.5. გამონათქვამის თეორიები

გამონათქვამის თეორიების შექმნა და ჩამოყალიბება ძირითადად თარიღდება XX საუკუნის 60-იანი წლებით. ტერმინის „გამონათქვამის" (énonciation) ფუძემდებლად მიიჩნევა ფრანგი მეცნიერი და ლინგვისტი ემილ ბენვენისტი. მკვლევარმა განიხილა და შემოგვთავაზა გამონათქვამების შესწავლის ახლებური, დინამიური ასპექტი და იმთავითვე განსაზღვრა თანამედროვე ენათმეცნიერების საკვლევ საგანთა ნუსხა.

ბენვენისტის ნაშრომი „ზოგადი ლინგვისტიკის პრობლემები" (ბენვენისტი, 1966) წარმოადგენს მნიშვნელოვან გარდატეხას მთელი არსებული ენათმეცნიერების ისტორიაში.

მეცნიერის თეორიის ძირითადი ხაზი ეფუძნება „გამონათქვამში სუბიექტურობის ფაქტორის" არსებობას.

„გამონათქვამი არის ენის ფუნქციონირება ინდივიდუალურ აქტში. "

აღნიშნული გამონათქვამით ფრანგი მეცნიერი ხაზს უსვამს გამონათქვამის ახალ, ინდივიდუალურ ხასიათს ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მის კომუნიკაციურ ასპექტს.

„გამონათქვამი, როგორც ინდივიდუალური რეალიზაციის აქტი, ენასთან მიმართებაში შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც მიკუთვნების პროცესი... მაგრამ, როგორც კი პირი დგება მეტყველის პოზიციაში და ენას ისაკუთრებს, იგი აუცილებლად გულისხმობს სხვას, როგორიც არ უნდა იყოს მისი დასწრების ხარისხი, ნებისმიერი გამონათქვამი არის ექსპლიციტური ან იმპლიციტური ალოკუცია" (ბენვენისტი 1980:82).

მკვლევარი გამოჰყოფს ადრესატის კატეგორიებსაც. მისი აზრით, მსმენელი შეიძლება იყოს რეალური ან წარმოსახვითი, ინდივიდუალური ან კოლექტიური. ბენვენისტის აზრით, „აუცილებელია გამოვყოთ გამონათქვამის ფიგურალური ჩარჩო. როგორც დისკურსის ფორმა, გამონათქვამი უკავშირდება ორ თანაბრად მნიშვნელოვან ფიგურას. ერთი წარმოადგენს გამონათქვამის წყაროს, მეორე - გამონათქვამის მიზანს. ეს არის დიალოგის სტრუქტურა" (ბენვენისტი 1980:85).

საინტერესოა, რომ ფრანგი მკვლევარის ნაშრომებში მონოლოგიც განხილულია, როგორც შინაგანი დიალოგი, ანუ «საუბარი საკუთარ თავთან», სადაც წარმოსახვით ადრესატს კვლავ და კვლავ უჭირავს მნიშვნელოვანი როლი და განაპირობებს მონოლოგის, იგივე დიალოგის ძირითად ასპექტებს და მიზნებს.

თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ბენვენისტის გამოკვლევებს ჰქონდათ გარკვეული წინაპირობა. იმავე საუკუნის 20-იან წლებში ფრანგი ლინგვისტი შარლ ბალი თავის ნაშრომებში აქტიურად ხმარობს ტერმინს „გამონათქვამი", როგორც ირიბი ნათქვამის შესწავლის ძირითად ასპექტს.

ემილ ბენვენისტის ლინგვისტური ნაშრომი წარმოადგენს მნიშვნელოვან ბიძგს წინა საუკუნეში გაჩენილი მრავალი კვლევის თუ თეორიის შექმნისადმი. დღესაც მრავალი მკვლევარი და, მათ შორის, ამერიკული ლინგვისტიკის სკოლა ეფუძნება და შეისწავლის ფრანგი მეცნიერის მიერ ჩამოთვლილ ასპექტებსა და კონცეფციებს.

## 1.6. პრაგმატიკა

ტერმინი პრაგმატიკა, როგორც ტერმინი გამონათქვამი (énonciation), ლინგვისტიკაში შემოვიდა მეცნიერების სხვა დარგიდან, კერძოდ კი ფილოსოფიდან.

ჩარლზ უილიამ მორისმა 1938 წელს პირველად იხმარა აღნიშნული ტერმინი თავის ენათმეცნიერულ ნაშრომებში.

ლინგვისტი გვთავაზობს ნიშნის სამ განზომილებიან მოდელს, სადაც ძირითად მიმართულებებად ასახელებს სინტაქტიკსა, სემანტიკას და პრაგმატიკას.

პრაგმატიკის დასახელებით ჩარლზ უილიამმა ლინგვისტურ ნიშანს მიანიჭა გამოყენებითი, შესაბამისად, საკომუნიკაციო ხასიათი.

პრაგმატიკული განზომილებით, ნიშანი დაუკავშირდა საკომუნიკაციო აქტს.

პრაგმატიკის განვითარებაში აგრეთვე უდიდესი წვლილი შეიტანეს მეცნიერებმა ჯონ ოსტინმა და ჟან-ბლეზ გრიზიმ.

XX საუკუნეში მოღვაწე ამერიკელმა მკვლევარმა ოსტინმა დაადგინა, რომ ენა მოიცავს მოქმედების ფუნქციასაც.

მეცნიერმა გამონათქვამები, რომლებიც გამოხატავენ ჭეშმარიტებას და სიცრუე,ს მიაკუთვნა გამონათქვამის უმთავრეს ღერძს და ისინი მიიჩნია ლინგვისტურ კონსტანტივებად. ამერიკელამ მკვლევარმა მათ დაუპირისპირა ენობრივ ერთეულთა მეორე ჯგუფი, რომელთაც უწოდა პერფორმატივები.

ოსტინმა პერფორმატივები შემდეგნაირად განსაზღვრა:

„პერფორმატიული გამონათქვამი, ანუ პერფორმატივი ეწოდება ისეთ გამონათქვამს, რომლის წარმოთქმა თავისთავად შემდგარი გარკვეული ტიპის ქმედებაა'' (პავო 2003:209).

პერფორმატიულ ზმნებს ლინგვისტიკაში ასევე მოიხსენიებენ, როგორც პრაგმატიკულ ზმნებს. ეს არის ზმნები, რომლებიც ქმედებას იმგვარად ასახავს, რომ ქმედება და ქმედების ნომინაცია ერთმანეთს ემთხვევა. (პავო 2003:209).

ასეთი ტიპის ზმნებად ოსტინმა შემდეგი ენობრივი წარმონაქმნები მიიჩნია:

„სანაძლეოს ვდებ'',
„გნათლავ'',
„ვაცხადებ'',
„ვამტკიცებ'',
„გნიშნავ'',
„ვკრძალავ'',
„გპირდები'' და სხვ.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ჯ. ოსტინის აზრით, ყოველთვის ვერ ხერხდება ქმედების განხორციელება მხოლოდ წარმოთქმული სიტყვების საშუალებით. ლინგვისტურ ერთეულებთან შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ისეთი ასპექტები, როგორიცაა ტექსტის წარმოთქმის ადგილი, დრო, მიზეზები, გარემოებები და მრავალი სხვა არაენობრივი ცნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქმედების შესრულება გახდება შეუძლებელი.

ამერიკელი მეცნიერის აზრით, პირობები, რომლებიც წარმოშობენ საკომუნიკაციო აქტს და ანიჭებს წარმოთქმულ სიტყვას მის პრაგმატულ ხასიათს, არის სამი ტიპის:

- ლინგვისტური - წარმოთქმული უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული ლინგვისტური ფორმულა;
- სოციალური - მოსაუბრეს უნდა გააჩნდეს კონკრეტული დროსა და ადგილის შესაბამისი სოციალური სტატუსი;
- ფსიქოლოგიური - მეტყველების ფსიქოლოგიური განწყობა უნდა შესაბამებოდეს იმ ვალდებულებების ტიპს, რომელსაც თავის თავზე იღებს (პავო 2003:210).

ჯონ ოსტინის პერფორმატივი, რომელიც ძირითადად გულისხმობს მეტყველი სუბიექტის ქმედებას, შეგვიძლია სქემატურად შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:




გარდა ზემოთ წარმოდგენილი თეორიისა, ოსტინმა აგრეთვე შემოგვთავაზა მოსაზრება კომუნიკაციური ქმედების ოპერაციულ სტრუქტურასთან დაკავშირებით, რომელსაც სამეტყველო აქტთა თეორია ეწოდება.

აღნიშნული თეორიის თანახმად, ყველა სამეტყველო აქტი იყოფა სამ მნიშვნელოვან ქვეაქტად. ესენია: სამეტყველო აქტის ლოკუცია, ილოკუცია და პერლოკუცია.

| ლოკუცია | ილოკუცია | პერლოკუცია |
|---|---|---|
| მეტყველი პირის მიერ გადმოცემული შინაარსი | გამონათქვამის მიზანი, განზრახვა (დაფარული / გამოაშკარავებული) | მსმენელის სახით გამოხატული მიზანი ანუ მსმენელის რეაქცია |

პარგმატიკაში ასევე საინტერესოა გრიზის თეორია თანამშრომლობის პრინციპის შესახებ, რომელშიც წარმოდგენილია უნივერსალური პრინციპები და ქვეპრინციპები ე. წ. მაქსიმები, რომლებიც გაგების პროცესის სისტემატიზაციას არეგულირებენ.

ლინგვისტი რ. გრიზი გამოყოფს საუბრის ოთხ მაქსიმას:

• რაოდენობის მაქსიმა, რომლის მიხედვითაც საუბარში მონაწილეობა არ უნდა იყოს საჭიროზე მეტად ან ნაკლებად ინფორმაციული;

• ხარისხის მაქსიმა, რომლის მიხედვითაც გამონათქვამის ავტორი არ ამბობს იმას, რაც მისი აზრით, სიმართლეს არ შეესაბამება, ან იმას, რისი ადეკვატური დასაბუთებაც არ არსებობს;

• ღირებულების მაქსიმა, რომლის მეშვეობითაც მოსაუბრე მსმენელს ესაუბრება ჭეშმარიტებებსა და ღირებულებებზე;

• განმსაზღვრელი მაქსიმა, რომლის მიხედვითაც მოსაუბრე თავიდან იცილებს გაურკვევლობასა და ორაზროვნებას (პავო 2003:217-218).

როგორც ვხედავთ, მკვლევარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადრესატს და მისი დარწმუნების ფაქტორს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასული საუკუნის მკვლევარებმა აღმოაჩინეს და შეისწავლეს გამონათქვამის პრაგმატული ანუ გამოყენებითი მხარე. ნებისმიერი გამონათქვამი, ტექსტი, დისკურსი, უპირველეს ყოვლისა არის ადრესატზე ორიენტირებული ხელოვნება.

აღნიშნულმა თეორიებმა საფუძველი ჩაუყარეს ჩვენს თანამედროვეობაში პოპულარულ ლინგვისტურ მიმდინარეობებს და შესასწავლ ფენომენებს. მათ შორის განიხილება პოლიტიკური დისკურსის პრაგმატული ხასიათიც.

# თავი § 2.

# დისკურსის ანალიზი

ლინგვისტიკაში დამკვიდრებამდე, ტერმინი დისკურსი გამოიყენებოდა კლასიკურ ფილოსოფიაში, სადაც ინტუიტიური ცოდნის საპირისპიროდ იყენებდნენ ტერმინს - დისკურსული ცოდნა. პირველად ენათმეცნიერებაში ტერმინი დისკურსის ანალიზი ზელინგ ჰარისმა გამოიყენა. მან 1952 წელს გამოაქვეყნა სტატია „დისკურსის ანალიზი”, სადაც გაანალიზა „ზეფრაზული ერთეულების მიმართ გამოყენებულ დისტრიბუციული მეთოდი”.

ჰარისმა სტატიაში დისკურსი ისეთ ზეფრაზულ ერთეულად განიხილა, რომელიც ფრაზათა ერთობლიობისაგან შედგება (პავო 2003:194), რის გამოც, თავდაპირველი მნიშვნელობით, დისკურსის ანალიზს ტექსტის ლინგვისტიკის სინონიმად მიიჩნევენ.

70-იანი წლების შუა პერიოდიდან, მიშელ ფუკო წარმოგვიდგენს დისკურსის შესწავლის ახალ თავისებურ მიდგომას, რომელიც აღნიშნულ ცნებას უკავშირებს ადამიანის მიერ შექმნილ საზოგადოებრივ- ისტორიულ სისტემებს.

მ. ფუკოს აზრით, დისკურსი წარმოადგენს „დისკურსიული პრაქტიკის” მნიშვნელოვან ნაწილს და გამომდინარეობს ადამიანის ცნობიერების მრავალი სფეროს ერთიანობიდან. იგი აერთიანებს დროის, სივრცის და კონკრეტული სოციალური გარემოს ანონიმურ და ისტორიულ დეტერმინანტებს. ფუკოს სურს ხაზი გაუსვას იმ ფაქტს, რომ დისკურსი არ არის სიტყვებისა და განსხვავებული ნიშნების მშრალი ერთიანობა, არამედ იგი წარმოადგენს ფართო ისტორიულ-ინფორმაციულ ფონს და ქმნის მთელ „დისკურსის სამყაროს”. დისკურსის შესწავლის ყველა სხვა ტენდენციისგან განსხვავებით, ფუკო ეძებს პასუხს შემდეგ კითხვებზე:

„რა იყო ნამდვილად თქმული ამა თუ იმ ნათქვამში?"

„რატომ აქვს ადგილი აღნიშნულ გამონათქვამს და არა სხვას მის ადგილზე?" (Foucault 1994:33-34)

ფუკოს ნაშრომი გახდა მნიშვნელოვანი ბიძგი იგივე მიმართულებით სხვა ნაშრომების შექმნისთვის.

ფრანგი მკვლევარის მოსაზრებათა გაგრძელებას წარმოადგენს გერმანელი მკვლევარის ულრიჰ მაასის ნაშრომი, რომლიც წარმოადგენს დისკურსის თეორიის შემდეგ კონცეფპციებს:

„ყოველი ტექსტი წარმოადგენს და გამოხატავს საზოგადოებრივ პრაქტიკას, რომელიც, თავის მხრივ, განსაზღვრავს მრავალ სხვა ტექსტს. ამგვარი მიდგომით ტექსტის ანალიზი გვესახება როგორც სოციალურ-ისტორიული კუთხით განხილული დისკურსის ანალიზი და აქტიურად აირეკლავს მის გარშემო არსებულ რეალობას" ( Maas 2002:18 ).

საინტერესოა XX საუკუნის 80-იან წლებში შექმნილი ფრანგი ლინგვისტის დომინიკ მენგენოს ნაშრომი სახელწოდებით „დისკურსის გენეზისი", სადაც მკვლევარმა დისკურსი განგვიმარტა შვიდი ჰიპოთეზის დემონსტრირებით (Maingueneau 1976:12):

• ინტერდისკურსულობა - ინტერდისკურსი მეტია, ვიდრე დისკურსი. იგი აზრობრივად სრულყოფილ მნიშვნელობას იღებს მხოლოდ სხვა დისკურსების გამაში ჩართვის შედეგად;

• ურთიერთგავლენა - ავტონომიურად არც ერთი დისკურსი არ იქმნება. ავტორი ყოველთვის მიმართავს უკვე წარმატებული და ცნობილი დისკურსების ელემენტებს;

• წესთა სისტემა- დისკურსში არის იმპლიციტური თუ ექსპლიციტური ნიშნები, რომელთა საშუალებით ყალიბდება დისკურსის ძირითადი ფორმები;

• ინტერდისკურსული კომპეტენცია - ძირითადად გამომდინარეობს იმ უნარებიდან და თვისებებიდან, რომლებიც გააჩნია დისკურსის ავტორს;

• დისკურსული პრაქტიკა - დისკურსი არ უნდა მივიჩნიოთ კონტექსტიდან

• ამოვარდნილ გამონათქვამთა სისტემად, არამედ, იგი წარმოადგენს სოციალურ, კულტურულ, ინტელექტუალურ და ტექნიკურ გარემოში განხორციელებულ პრაქტიკას.

• ინტერსემიოტიკური პრაქტიკა- დისკურსი უნდა განვიხილოთ, როგორც არა მხოლოდ გამონათქვამთა ერთობლიობა, არამედ ინტერსემიოტიკური პრაქტიკა, რომელიც ჩართულია სხვა სემიოტიკურ ნიშანთა სისტემაში.

2002 წელს პ. შაროდომ და დ. მენგენომ გამოსცეს „დისკურსის ანალიზის ლექსიკონი“, სადაც აღნიშნული ჰიპოთეზები არის განხილული უკვე ტრანსფორმირებული სახით.

მეცნიერების აზრით, დისკურსი ორგანიზაციის თვალსაზრისით წარმოადგენს ზეფრაზულ ერთეულს, ანუ მისი სტრუქტურა აუცილებლად ფრაზაზე დიდ ერთეულს უნდა უდრიდეს. დისკურსი ორიენტირებულია. მას ორიენტაციას აძლევს ავტორი - მეტყველი, რომელიც თავის დისკურსს ყოველთვის ქმნის გარკვეული მიზნის მისაღწევად.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია გასული და ჩვენი საუკუნეების დისკურსთან დაკავშირებული ყველა თეორიის და ნაშრომის ჩამოთვლა. აღნიშნული ეპოქის თითქმის ყველა მეცნიერი გამუდმებით ცდილობდა მისი ფარული, ლინგვისტური სქემების მიღმა ახალი, მაგრამ უდავოდ არსებული ფენომენების აღმოჩენას. ყველა ავტორის გამოკვლევა თავისებურად საინტერესო და ღირებულია. ხშირად რთულდება მათ შორის პარალელების გავლება, თუმც ყველა მათგანში ვაწყდებით ერთ უტყუარ გარემოებას - დისკურსი პოლისემიური, ინტერაქტიული, ადრესატზე / მსმენელზე მიმართული ხელოვნებაა. მისი ძირითადი მიზანია წინასწარ დასახული შთაბეჭდილების მოხდენა, რაც უკვე მეტყველებს დისკურსული ხელოვნების კოგნიტურ ხასიათზე.

დისკურსის ანალიზისადმი მიძღვნილმა ნაშრომებმა ჩაუყარეს მნიშვნელოვანი საფუძველი შემდგომ წლებში ლინგვისტური კუთხით შესწავლილ და განვითარებულ თეორიებს და სამეცნიერო ნაშრომებს,

რომლებმაც კიდევ ერთხელ, მაგრამ უკვე ახლებურ სპექტრში დაგვანახეს დისკურსის და, მათ შორის, პოლიტიკური დისკურსის საბაზისო ფენომენები.

## 2.1. კოგნიტური ლინგვისტიკის საკვანძო ასპექტები

კოგნიტურ ლინგვისტიკასთან დაკავშირებული ასპექტების განხილვისას ძირითად ასპექტებად მიჩნეულია ის ფენომენები, რომლებიც წარმოადგენენ ერთი საერთო ჯაჭვის ერთმანეთთან ლოგიკურად და შექცევადად დაკავშირებულ უნარებს და მოვლენებს (Lakoff 1982:98). მხოლოდ მათი ერთმანეთთან პერმანენტული კავშირის შედეგად მიღებული ნიმუში შეგვიძლია მივიჩნიოთ პოლიტიკური დისკურსის მაგალითად. ესენია: გონება, იგივე ცნობიერი, ენა, რეპრეზენტაცია, კონცეპტუალიზაცია, კატეგორიზაცია, აღქმა.




ცხადია, რომ მოტანილი კომპონენტები განაპირობებენ იმ ფაქტს, რომ ზოგადად დისკურსი და, მათ შორის, პოლიტიკური დისკურსი არის მეცნიერების მრავალი დარგის შესწავლის საგანი. მის ფენომენებს

განიხილავს როგორც კოგნიტური ლინგვისტიკა, ისე კოგნიტური ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ცნობიერების თეორია და მრავალი სხვა დარგი.

აღნიშნულ ნაშრომში ჩვენ შევეხებით დისკურსის ფუნდამენტალურ კომპონენტებს მხოლოდ ლინგვისტურ ჭრილში (Dijk 1988:37).

## 2.1.1. ცნობიერი ანუ გონება

ცნება „გონება" წარმოადგენს ნებისმიერი კოგნიტური მეცნიერების და, მათ შორის, კოგნიტური ლინგვისტიკის საკვანძო ერთეულს.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის კოგნიტური უნარების შესწავლა განსაკუთრებით აქტუალური გახდა მე-20-ე საუკუნის ბოლო წლებიდან, როდესაც მოხდა ბიჰევიორისტული თეორიასთან აქტიური დაპირისპირება განსხვავებული დარგის მეცნიერების მხრიდან.

როგორც ცნობილია, ბიჰევიორისტული მიდგომა გლობალურად უარყოფდა ინდივიდის ნებისმიერ გონებრივ შესაძლებლობას და იგი დაჰყავდა ცხოველური ინსტიქტების მქონე არსების დონეზე. სწორედ ბიჰევიორისტთა ცდები და ნაშრომები გახდა აქტიური საფუძველი და ბიძგი იმისა, რომ ლინგვისტებმა და დიდაქტიკოსებმა დაიწყეს თავაუღებელი მუშაობა ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების სადემონსტრაციოდ.

კოგნიტური ლინგვისტიკა ინტერესდება ჩვენი გონების ერთი კონკრეტული და მნიშვნელოვანი უნარით - კონკრეტული მაგალითებიდან გამომდინარე ხატთა უსასრულო რაოდენობის შექმნით.

სწორედ აღნიშნული ასპექტზის შესახებ გვესაუბრება თანამედროვე ლინგვისტთა უმრავლესობა და მასზე დაყრდნობით ქმნიან და ავრცობენ ერთმანეთთან დაკავშირებულ, მაგრამ, ამავე დროს, განსხვავებულ თეორიებს (ჯ. ლაკოფი, მ. ჯონსონი, მ. ტერნერი, ჯ. ფოკონიე და ა. შ.). შემდგომში ჩვენ უფრო დეტალურად განვიხილავთ აღნიშნულ მეცნიერთა მიდგომებს.

## 2.1.2. ენა და მეტყველება

ენა წარმოადგენს კოგნიტური ლინგვისტიკის ძირითად ცნებას და მთავარ შესასწავლ ობიექტს.

ა. ლურიას (ლურია 1998:15) აზრით, სწორედ ენაა ის უნარი, რომელიც განასხვავებს ადამიანს ცხოველთა სამყაროს სხვა წარმომადგენლებისგან.

ცნობილია, რომ ისტორიულად ენის საჭიროება მაშინ დადგა, როდესაც ადამიანმა ცხოვრება და მოღვაწეობა დაიწყო მრავალწევრიან სოციუმში. პირველ ხანებში ე. წ. ენა შედგებოდა ჟესტებისა და განსხვავებული ბგერების ნაკრებისგან, რომელთა გამაფრთხილებელი ხასიათი ძირითად შემთხვევაში, კარგად ცნობილი იყო ჯგუფის ყველა წარმომადგენლისთვის.

შემდგომი განვითარების ეტაპზე ენამ შეიმუშავა კოდების სისტემა, რომელიც, უმეტესწილად, ასახავდა მოქმედებას ან გრძნობას. მოგვიანებით, კოდური სისტემა უკვე გამოიყენებოდა საგანთა აღნიშვნისთვის და საბოლოოდ, გადაიქცა რთული სინტაქსური კოდებისგან შემდგარ სისტემად.

მართებულად მიგვაჩნია მეცნიერ გ. ხარმანის თვალსაზრისი, რომელიც მიიჩნევს, რომ „ენა კოგნიტური მეცნიერების ძირითადი თემაა. აღნიშნული ფაქტი, ერთის მხრივ, იმითაა გამოწვეული, რომ ენა ასახავს ადამიანის აზროვნებას და ცნობიერს, იგი აზრის ან ფიქრის გამოხატვის ძირითადი საშუალებაა, ამოტომაც, ენის შესწავლა უთანაბრდება ცნობიერების ანალიზს. მეორეს მხრივ, ენას თავად შეუძლია იმოქმედოს ცნობიერზე და გათვალოს თუ რა აზრი გაჩნდება ინდივიდის გონებაში'' (Harman 1988: 24).

ცნობილია, რომ ენა წარმოადგენს ენათმეცნიერების შესწავლის საგანთა შორის ძირითად ბირთვს. იგი მრავალი კოდის მატარებელი ფენომენია, რომელიც მკვლევარებს ეხმარება ისტორიული ეპოქის, ერის უნარ-ჩვევების, ტრადიციების, იდეოლოგიის, პოლიტიკის შესწავლაში. ენის გაჩენა პირდაპირპროპორციულია ჰომო საპიენს - ის გაჩენისა.

ენა გახლავთ პოლიფუნქციონალური სისტემა. მის ძირითად ფუნქციებად მეცნიერები ასახელებენ ეპისტემურ, კოგნიტურ და საკომუნიკაციო თვისებებს.



ენის ეპისტემური ფუნქცია არის საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული ხატების რაოდენობა, რომელიც ინდივიდის გონებაში უცვლელად და საფუძვლიანად არის დამკვიდრებული. იგი გახლავთ გარშემო არსებული რეალობის ზუსტი და უცვლელი ანაბეჭდი.

კოგნიტური ფუნცია მოიცავს ადამიანის იმ თვისებებს, რომლებიც, უშუალოდ, უკავშირდებიან კონკრეტული ინდივიდის გონების ისეთ შესაძლებლობებს, როგორიცაა გააზრება, მსჯელობა, შეფასება, კრეატიულობა, ფანტაზია და სხვ.

ენის საკომუნიკაციო დატვირთვა მისი სოციალური ასპექტია. აქ უკვე თამამად ვსაუბრობთ ავტორის, ადრესატის და დისკურსის როლებზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ენა არის სომბოლოებისა და ნიშნებისგან შექმნილი რთული სისტემა. სწორედ აღნიშნული გარემოება განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ენის ფენომენის შესწავლით ინტერესდება მრავალი მეცნიერების დარგი.

### 2.1.3. რეპრეზენტაცია

კოგნიტური ლინგვისტიკა აქტიურად ინტერესდება რეპრეზენტაციის საკითხით. აღნიშნული ფენომენი, ძირითადად, ეფუძნება ადამიანის ისეთ თვისებებს, როგორიცაა გააზრება, ფანტაზია და შემოქმედება. ეს გახლავთ გონების უნარი, რომ მოცემული ენობრივი ნიშნების საფუძველზე შექმნას სრული და გავრცობილი სურათი. ამის გამო, რეპრეზენტაციას ხშირად

უკავშირებენ სემიოტიკას, სადაც საინტერესოა ლინგვისტური ერთეულების და ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების ურთიერთთანამშრომლობა.

კოგნიტური ლინგვისტიკის გაჩენის პირველ წლებში მიმდინარეობდა ცხოველი კამათი იმის თაობაზე, თუ რა ფორმით ხორციელდება რეპრეზენტაციები ადამიანის გონებაში და რა ხერხებით უნდა აღვწეროთ ისინი. პირველ რიგში, მეცნიერები იწყებენ რეპრეზენტაციების დალაგებას მისი ვერბალურ - წარმოსახვითი ნიშნის საფუძველზე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მეცნიერები, ძირითადად, რეპრეზენტაციებს ყოფენ ორ სახეობად. ესენია: მოდალური, ანუ რეპრეზენტაციები, რომლებიც წარმოიქმნება ადამიანის აღქმის ორგანოების (მხედველობა, სმენა, შეხება, ყნოსვა და ა. შ) მუშაობის წყალობით; და ამოდალური, ანუ ყველა რეპრეზენტაცია, რომელიც ხორციელდება სიმბოლური და ვერბალური გზით. რ. ჯეკენდოფის აზრით (Jackendoff 1992:64-67), ეს ორივე სახის რეპრეზენტაცია თამამად შეგვიძლია გავაერთიანოთ ერთ საერთო გონებრივ შესაძლებლობაში და დავარქვათ კონცეპტუალური სტრუქტურები (Lakoff 1982:82-88):




გარდა ამისა, ზოგიერთი მეცნიერი უბრალოდ გამოჰყოფს ანალოგიურ რეპრეზენტაციებს (Fromkin 1991:71-103). აღნიშნული აზრი ეფუძნება იმ ახსნას, რომ რადგან ენა არის მთელი და სრულყოფილი რეპრეზენტაციული სისტემა, მას აქვს უნარი ადამიანის ცნობიერებაში გამოიწვიოს მთელი რიგი ე. წ. კონცეპტების სიმრავლე, რომელიც მეტ-ნაკლებად ზუსტად ასახავს ტექსტის ავტორის მიერ შემოთავაზებულ რეალობას. მენტალური რეპრეზენტაციების ერთიანობას მკვლევარები უწოდებენ მენტალურ ლექსიკონს, ხოლო კონცეპტუალური რეპრეზენტაციების სიმრავლეს - კონცეპტუალურ სისტემას ან კონცეპტუალურ მოდელს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეპრეზენტაცია მოიცავს ტერმინს „კონცეპტი” და შესაბამისად, უკავშირდება ენის, ჩვენს მიერ დასახელებულ, შემდეგ ფენომენს - ენის კონცეპტუალიზაციას.

## 2.1.4. კონცეპტუალიზაცია

აღნიშნულ ქვეპუნქტში გვსურს განვიხილოთ პოლიტიკური დისკურსის ფენომენი - კონცეპტუალიზაცია, რომელიც ფართოდ შეისწავლება თანამედროვე ლინგვისტების მიერ.

ერთის მხრივ, სიტყვა კონცეპტი აღნიშნავს ელემენტს, რომელიც განსაზღვრება ეყრდნობა ცნობიერის მენტალურ და ფსიქიკურ ნიუანსებს.

მეორეს მხრივ, იგივე სიტყვა იხმარება იმისთვის, რომ გამოხატოს ადამიანის გონების ისეთი უნარების ერთეულები, როგორიცაა მეხსიერება, მენტალური ლექსიკონი, ე. წ. გონებრივი ენა (lingua mentalis) და ცნობიერში ასახული ემპირიული რეალობის გამომხატველი სურათები.

ლინგვისტიკაში კონცეპტების შესწავლა საინტერესოა იმით, რომ მათი მეშვეობით, ადამიანს შეუძლია გონებაში შექმნას ერთი და კონკრეტული სამყარო. აღნიშნულ მოსაზრებას ფართოდ იყენებენ მეტაფორის შესწავლისას თანამედროვე მეცნიერებებში (Fromkin 1991:71-103).

კონცეპტუალიზაციის მაგალითებად მკვლევარები ასახელებენ მრავალ უნარ-ჩვევას. პირველ რიგში ეს გახლავთ ადამიანის ტვინის თვისება, რომ გაფილტროს გარემოდან მოწოდებული ყველა ინფორმაცია და მისი კლასიფიკაცია მოახდინოს კონცეპტების სახით. გონებაში შეღწეული

კონცეპტები კი, თავის მხრივ, აყალიბებენ მკაცრად რაფინირებულ კონცეპტუალურ სისტემას.

ხშირად კონცეპტუალიზაციას აკავშირებენ ჩვენს მიერ აღწერილ შემდგომ ფენომენთან, კლასიფიკაციასთან, რადგან მრავალი მკვლევარის აზრით, სწორედ კონცეპტებს გააჩნიათ უნარი ჩამოაყალიბონ რაიმე ნიშნის საფუძველზე გაერთიანებული და განსაზღვრული სისტემები.

## 2.1.5. კლასიფიკაცია

ქვეპუნქტის მთავარ მიზანს წარმოადგენს კოგნიტური ლინგვისტიკის ცნების, კლასიფიკაციის განხილვა.

ადამიანის გენების აღნიშნული უნარ-ჩვევა დღემდე შეისწავლება მეცნიერების მრავალი დარგის მიერ. ეს გახლავთ თვისება, როდესაც ცნობიერი ფილტრავს გარემოდან მიწოდებულ სიგნალებსა და იმპულსებს და ანაწილებს მათ კონკრეტულ ჯგუფებში. მკვლევარები კლასიფიკაციის უნარს თვლიან კონცეპტუალიზაციიდან აღქმამდე გარდამავალ ფაზად. მათი აზრით, სწორედ კლასიფიკაცია ლოგიკურ ჩარჩოებში ათავსებს სხვადასხვა კუთხით მოწოდებულ ინფორმაციას და გონებას ეხმარება წარმოთქმულის აღქმასა და საკუთარი რეალობის შექმნაში.

### 1.1.6. აღქმა

მივცეთ თავს უფლება, რომ აღქმის ფენომენი გონების ყველაზე რთულ, ამოუცნობ და საინტერესო უნარად მივიჩნიოთ.

სწორედ აღქმაა, რომელის მეშვეობითაც გონება აყალიბებს საკუთარ, მაგრამ გარშემო რეალობის მიერ ნაკარნახევ სამყაროს. კოგნიტური ლინგვისტიკა ყველაზე ძალიან ინტერესდება და სწავლობს აღნიშნული ფენომენის სირთულეებს, განიხილავს ენობრივ ასპექტთან მიახლოებულ მის მექანიზმს, ინდივიდუალური ფანტაზიით შექმნილი ხატების და აღქმების სიმრავლეს (რომკინ 1991:71-103). ერთი რამ კი უდავოა, ის, რომ ადრესატის მიერ დაწერილი თუ წარმოთქმული ტექსტის აღქმა-გააზრებაში ერთვება არა ერთი პირადი თუ საზოგადო ფაქტორი, რომელთაგან ენის ფენომენი პირველ და საბაზისო ადგილზე დგას.




აღნიშნული სქემა იმის უდავო დემონსტრაციაა, რომ დისკურსის შემადგენელ ყველა ძირითად ფენომენთა შორის ენა ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ტექსტის ლინგვისტური ჩარჩო იკავებს ფუნდამენტალურ ადგილს, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ სხვა მაკონსტრუირებელი ელემენტების გარეშეც წარმოუდგენელი იქნებოდა დისკურსის შექმნა და მისი არსებობა.

## 1. 2. პოლიტიკური დისკურსის კოგნიტური ასპექტები

მე-20 საუკუნის ბოლო წლებში გაჩენილმა ახალმა მულტი დისციპლინარულმა სფერომ - დისკურსის ანალიზმა მთავარი როლი ითამაშა მეტაფორის გვარეობის შესწავლის განვითარებაში. აღნიშნული მეცნიერების დარგის ჩარჩოში ხდება შესწავლა და განხილვა მრავალი ტიპის დისკურსის. მკვლევარები მუშაობენ პოლიტიკურ, სასამართლო, დიპლომატიურ, ჟურნალისტიკურ, რასისტულ, ძალადობის, განსხვავებული პოლიტიკური დაჯგუფების დისკურსებზე. მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ყოველი დისკურსის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს განსხვავებული იდეოლოგია, თვალსაწიერი, კულტურა, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, დროული მონაკვეთი და მრავალი სხვა. თითოეულ მათგანს კი შეესაბამება მისთვის კუთვნილი და ჩვეული ლექსიკური მარაგი, სპეციფიური გრამატიკა, სემანტიკა, სტილისტიკა ანუ „მთელი განსაკუთრებული სამყარო''. ამგვარი კუთხით დანახული დისკურსის ცნება ენათესავება და უახლოვდება ისეთ ტრადიციულ ცნებებს, როგორიცაა სტილი და ენა (მაგალითად, ამა თუ იმ მწერლის სტილი, ვიქტორ ჰიუგოს ენა). მოკლედ რომ ვთქვათ, პოლიტიკური დისკურსი სხვა არაფერია, თუ არა ზეპირი ფორმით გადმოცემული იმანენტური ქმნილება, რომელშიც მოიძებნება ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოებისთვის ჩვეული ელემენტები. მაგალითად, ნებისმიერი დისკურსის ისევე, როგორც ყველა ლიტერატურული ანუ მხატვრული ნაწარმოების ძირითად, ფუნდამენტალურ ელემენტებად შეგვიძლია დავასახელოთ ავტორი, ტექსტი და მსმენელი, იგივე მკითხველი.

ლიტერატურათმცოდნეობის და შედარებითი ლინგვისტიკის გარკვეული გამოკვლევები დაგვეხმარებიან, რომ ნათლად დავინახოთ დისკურსის ეს სამი უტყუარი და საბაზისო კომპონენტი.

მრავალი მკვლევარი აღნიშნავს, რომ პოლიტიკის შექმნაში უმთავრეს როლს თამაშობს ენა. მართლაც და, შეუძლებელია არ ვაღიაროთ ენის

ფაქტორის უდიდესი მნიშვნელობა დიპლომატიური მოლაპარაკებების, პოლიტიკური გამოსვლების, პარტიული ტრაქტატების განხილვის პროცესში. აღნიშნული შესწავლა განსაკუთრებით ნაყოფიერია, როდესაც ტექსტის მაკონსტრუირებელ ენობრივ ფენომენს განვიხილავთ დემოკრატიული წყობის ქვეყნებში, რომელთა მთავარ დევიზს ე. წ. „სიტყვის თავისუფლება" წარმოადგენს.

მსგავსი პირობების დროს ტექსტის, დისკურსის ავტორი არის ნაკლებად შეზღუდული მეტაფორული თუ აზრობრივი სისტემების არჩევანში, მას თავისუფლად შეუძლია თავი აარიდოს ამა თუ იმ იდეოლოგიით ნაკარნახევ უკვე შაბლონად ქცეულ კლიშეებს და შექმნას ახალი, მკვლევართა თვალთახედვით საინტერესო კოგნიტური სივრცე.

ამერიკელ ლინგვისტს ჰორალდ ლასველს მსოფლიოს მეცნიერები მიიჩნევენ, როგორც პოლიტიკური ტექსტის შესწავლის მედროშეს. დასავლეთის ქვეყნებში კარგად ცნობილია მისი მსჯელობები იმაზე, თუ რამდენადაა დისკურსის სტილი დამოკიდებულია არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაზე. ხშირად იხსენიებენ მის აზრს იმის შესახებ, თუ ზეპირმა ან წერილობითმა ტექსტმა რამდენად შეიძლება წყალი შეუყენოს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ წყობასაც კი. (Lasswell 1969:12).

## 2.2.1. დისკურსი და ტექსტი

მოცემული ნაშრომის ზემოთმოყვანილ თავებში აღვნიშნეთ, რომ ცნება „დისკურსი“ წარმოადგენს მრავალი მეცნიერების შესწავლის სფეროს. აღნიშნული სამეცნიერო დარგები ხშირად რადიკალური განსხვავებით ხმარობენ ამ ტერმინს, ამიტომაც, თანამედროვეობაში რთულია „დისკურსის" რაიმე კონკრეტული ერთმნიშვნელოვანი ახსნა-განმარტების მოძებნა.

ჩვენი ნაშრომის მიმართულებიდან გამომდინარე, დისკურსს, რასაკვირველია, განვიხილავთ, როგორც ლინგვისტიკის შესწავლის მნიშვნელოვან საგანს, თუმცა, მთლად გვერდს ვერ ავუვლით სხვა სამეცნიერო სფეროებსაც.

მართალია, რომ დისკურსის ფენომენის შესწავლისას, მეცნიერები მუშაობას ანტიკური სამყაროს ნამუშევრებით იწყებენ, თუმც ტერმინის თანამედროვე გაგება თარიღდება XX საუკუნის 60-იანი წლებით, რაზეც უკვე ვისაუბრეთ.

დისკურსის არსის განმარტებითი ტერმინები და მიდგომები იცვლებოდა და ყალიბდებოდა ერთი ავტორიდან მეორემდე, წლიდან წლამდე. მაგალითად, ლინგვისტების და ფილოსოფოსების (ბენვენისტი, სერიო, ვან დეიკი, ფუკო და სხვ.) ნამუშევრებში აშკარად ჩანს ის გარემოება, რომ დისკურსი არის იმდენად მრავალფეროვანი და საინტერესო ფენომენი, რომ მისი შესწავლა შეუძლებელია ერთი კონკრეტული კუთხით, იგი მოითხოვს მრავალწახნაგოვან და მრავალდარგობრივ განხილვას.

საინტერესოა აღნიშნული ტერმინის ლათინურიდან თარგმანი, რაც აღნიშნავდა „კურსიდან გადახვევას", „გაქცევას" (http://fr.wikipedia.org/wiki/Analyse_du_discours) და ა. შ. თუმცა, თანდათან სიტყვის ფიზიკური ნომინაცია გადაიქცა სამეტყველო მოქმედების ნომინაციად. ევროპულ ლინგვისტურ სივრცეში სიტყვა თავდაპირველად დამკვიდრდა ფრანგული ენის რეალობაში და XIX საუკუნის შუა ხანიდან მას «დიალოგის», «საუბრის» სინონიმად ხმარობენ. XIX საუკუნის ბოლოდან

აღნიშნული სიტყვა იძენს აქტიურ საერთაშორისო ხასიათს და უკვე გვხდება ევროპის თითქმის ყველა ენაში (http://fr.wikipedia.org/wiki/Analyse_du_discours).

საინტერესოა, რომ ფრანგული ენის განმარტებით ლექსიკონებში ვხვდებით სიტყვის სამ ძირითად განმარტებას (Dictionnaire Le Petit Robert 2012:122):

- ტექსტი, რომელიც ჩამოყალიბებულია პრაგმატული, სოციოკულტურული, ფსიქოლოგიური და მრავალი სხვა ფაქტორის გათვალისწინების საფუძველზე;
- ყოველდღიური გამოყენების ტექსტი;
- სოციალური მოქმედების მიზანმიმართული ფენომენი, რომელიც ხშირად წარმოგვიდგება, როგორც ხალხის ცნობიერი მექანიზმი (კოგნიტური მიდგომა).

განმარტებებში ასევე ხშირად ვხვდებით სიტყვის სინონიმურ თანამიმდევრობას:



შევთანხმდეთ, რომ თავის ფუძეში ეს ლექსიკური ერთეულები წარმოადგენენ ერთ საერთო სემანტიკურ ველს.

აღნიშნულ თავში კიდევ ერთხელ განვიხილოთ სამივე განსაზღვრების როგორც თანმხვედრი, ისე ძირეული მნიშვნელობა:

- ტექსტი - დაწერილი ფორმით წარმოდგენილი ნააზრევი, სადაც, თანამედროვე მეცნიერთა თანახმად, მონაწილეობს სამი ელემენტი: ტექსტის ავტორი, ტექსტის მკითხველი, დაწერილი უწყება;
- ზეპირი გამოსვლა - მსმენელთა აუდიტორიაზე ორიენტირებული დაწერილი ტექსტის ზეპირი პრეზენტაცია, რომელსაც წარმოთქვამს სიტყვით გამომსვლელი;
- დისკურსი - საუბარი, დისკუსია, გამოსვლა, რომლიც ხორციელდება ავტორის, პრეზენტატორის მიერ და აუცილებლად მიმართავს მსმენელთა აუდიტორიას (Dictionnaire Le Petit Robert. 2012:37).

ჩანს, რომ როგორც არ უნდა ვეცადოთ აღნიშნულ ტერმინების აზრთა ნიუანსირებას, ვერ ვაღწევთ რაიმე განსაკუთრებულ შედეგს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ძალიან რთულია აზრობრივი მნიშვნელობის განსხვავების დანახვა.

უფრო მეტიც, ტერმინი დისკურსი აზრობრივად აერთიანებს ტექსტსაც და ზეპირ გამოსვლასაც.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი მკვლევარი, განსაკუთრებით, ლინგვისტთა სლავური სკოლა, ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნავს დისკურსის და ტექსტის ცნებებს. მათი აზრით, დისკურსი გულისხმობს თავად აქტიურ პროცესს, რომელიც უშუალოდ გამოიწვევს მსმენელის კოგნიტური შესაძლებლობების ამუშავებას, ხოლო ტექსტი წარმოადგენს აღნიშნული მუშაობის შედეგს.

აქედან გამომდინარე, მკვლევარები გვთავაზობენ შემდეგ სქემას, რომლითაც ცდილობენ დაგვანახონ ტექსტის და დისკურსის ოპოზიციური კრიტერიუმები:

| დისკურსი | | ტექსტი |
|---|---|---|
| ფუნქციონალურობა | | სტრუქტურულობა |
| დინამიკა | | სტატიკა |
| პროცესი | | შედეგი |
| აქტუალობა | | ვირტუალობა |

თავს უფლებას მივცემთ არ დავეთანხმოთ მ. მ. ბახტინს (Бахтин 1986:121-262) და მისი თანამოაზრეების აღნიშნულ თვალსაზრისს.

ჩვენს ნაშრომში არა ერთხელ განვიხილეთ ტექსტის ის თავისებურება, რომელსაც ითვალისწინებს ლინგვისტიკის სფეროში მოღვაწე ზოგიერთი მეცნიერი თუ მკვლევარი.

მოვიყვანოთ ჩვენი აზრის დამამტკიცებელი არგუმენტები:

- ნებისმიერი ტექსტი იწერება გარკვეული მიზნისთვის;
- ტექსტის მიზნის განხორციელებაში ძირითად როლს თამაშობს მკითხველის კოგნიტური უნარ-თვისებები, სხვანაირად რომ ვთქვათ, ადრესატი თავის ფანტაზიიდან, გააზრებიდან, იდეოლოგიიდან და მრავალი სხვა ფაქტორიდან გამომდინარე ავსებს და ამდიდრებს ნაშრომს;

- ყველა ავტორი, პირველ რიგში, იმ განზრახვით წერს, რომ იქნეს წაკითხული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ჟანრობრივ ჩარჩოებს მიეკუთვნება მისი ქმნილება.

იმისათვის, რომ არ ჩაითვალოს, რომ შეკრული წრედი, რომლის ძირითადი შემადგენელი რგოლებია ავტორი, თავად დაწერილი და მკითხველი, მხოლოდ ახასიათებს მხატვრულ ტექსტებს, მოვიყვანოთ, მაგალითად, სამეცნიერო ტექსტის შაბლონური განმარტება თანამედროვე ფრანგულ კულტურაში:

«Un texte est un ensemble cohérent d'énoncés à dessein communicatif par le biais de signes. L'adjectif scientifique, à son tour, désigne ce qui appartient ou est relatif à la science (soit l'ensemble des méthodes et des techniques permettant d'organiser l'information).

Ceci dit, un texte scientifique se base sur l'utilisation du langage scientifique. Il s'agit d'un type de texte qui fait appel à un langage clair, avec une syntaxe pas trop complexe et des phrases ordonnées, l'objectif étant que l'information ne soit pas mal interprétée : ces textes doivent donc être précis.

Pour rédiger un texte scientifique, il faut éviter les termes ambigus afin que le sens des mots soit univoque, avec un seul signifiant et un seul signifié. Pour ce faire, il faut réduire au minimum tout genre de subjectivité et miser sur les informations concrètes plutôt que sur les opinions.

Le but est que le texte scientifique soit compris par n'importe quelle personne appartenant au groupe-cible auquel il est adressé. Il doit aspirer à l'universalité au moyen d'une terminologie spécifique tout en permettant d'obtenir des traductions précises et exactes dans d'autres langues où les interprétations erronées n'y ont pas lieu.

Les textes scientifiques, d'autre part, présentent des énoncés qui font l'objet d'une vérification importante afin d'assurer que leurs informations sont crédibles et véritables. Ce genre de texte est généralement produit dans le cadre d'une communauté scientifique dans le but de communiquer et de démontrer les progrès atteints au cours d'un travail de recherche. Grâce aux magazines de divulgation scientifique, ces contenus parviennent à un plus grand nombre de récepteurs bien que ces publications aient plutôt tendance à employer un langage accessible au lecteur moyen (grand public)» (http://lesdefinitions.fr/texte-scientifique).

ტექსტი არის ბმული და თანამიმდევრული ერთობლიობა, რომლის ძირითადი მიზანია, ნიშანთა გზით, დაამკვიდროს კომუნიკაცია. თავის მხრივ, ზედსართავი სახელი „სამეცნიერო" განსაზღვრავს მის მიკუთვნებას სამეცნიერო სფეროსადმი (კონკრეტული მეთოდები და ტექნიკური მიდგომები საშუალებას გვაძლევენ ინფორმაციის ორგანიზებულად წარმოდგენაში).

სამეცნიერო ტექსტი ეფუძნება სამეცნიერო ენას. სამეცნიერო ენა არის ცხადი, მისი სინტაქსური სისტემა არ უნდა უყოს რთული და ფრაზები ხშირად ქვეწყობილი, რათა არ მოხდეს ინფორმაციის ცუდად გადმოცემა. მოკლედ რომ ვთქვათ, სამეცნიერო ტექსტი უნდა იყოს, რაც შეიძლება, ზუსტი.

სამეცნიერო ტექსტის შექმნის პროცესში უნდა ვერიდოთ ორაზროვან ტერმინებს. სიტყვა უნდა ატარებდეს ერთ მნიშვნელობას, ჰქონდეს ერთი მნიშვნელი და აღმნიშვნელი. ამის მისაღწევად, უნდა უარი ვთქვათ ნებისმიერი სახის სუბიექტურობაზე და პირად თვალსაზრისზე და წარმოვადგინოთ მხოლოდ ზუსტი ინფორმაციები.

საინფორმაციო ტექსტი მიზანია, რომ იგი გაიგოს გამიზნული ჯგუფის ნებისმიერმა წევრმა. მისი ტერმინოლოგია უნდა იყოს რაც შეიძლება უნივერსალური ხასიათის და მასში გამოყენებული სიტყვები უნდა ზუსტად ითარგმნებოდეს მსოფლიოს ნებისმიერ ენაზე.

მეორეს მხრივ, სამეცნიერო ტექსტი წარმოადგენს განცხადებას, რომელშიც წარმოდგენილი ინფორმაცია უდავო და უტყუარია.

აღნიშნული ნაშრომი, ძირითადად, სამეცნიერო გამოკვლევის და მოღწევების შედეგად იქმნება მეცნიერული საზოგადოების წიაღში.

აღნიშნული ტექსტები, ძირითადად, სამეცნიერო ჟურნალების წყალობით ფართოდ ვრცელდება და შესაბამისად, არის განხილული ბევრი მკითხველის მიერ. ამ ვითარების გამო, აღნიშნული ტექსტი უნდა იყოს გათვლილი საშუალო მკითხველზე ანუ ფართო საზოგადოებაზე.

მოყვანილი ციტირება ნათელი მაგალითია იმისა, თუ რამხელა როლი ეკისრება მკითხველის ფაქტორს სამეცნიერო ტექსტის შექმნის პროცესში.

«Le but est que le texte scientifique soit compris par n'importe quelle personne appartenant au groupe-cible auquel il est adressé.» (http://lesdefinitions.fr/texte-scientifique)

«Grâce aux magazines de divulgation scientifique, ces contenus parviennent à un plus grand nombre de récepteurs bien que ces publications aient plutôt tendance à employer un langage accessible au lecteur moyen (grand public).» (http://lesdefinitions.fr/texte-scientifique)

---

აღნიშნული ფრაზებით განმარტების ავტორი იმაზე გვესაუბრება, რომ სამეცნიერო ტექსტის შექმნისას ავტორი გამუდმებით უნდა ფიქრობდეს თავის პოტენციური მკითხველის შესახებ.

დასკვნის სახით გვსურს აღვნიშნოთ, რომ ნებისმიერი ტექსტი, განურჩევლად ჟანრის, სტილის და მრავალი სხვა ფაქტორისა და ვითარებისა, პირველ რიგში, არის დიალოგი ავტორსა და ადრესატს შორის. შესაბამისად, იგი ხასიათდება იგივე მაჩვენებლებით, რითაც დისკურსი. ყველა წერილობით დოკუმენტს გააჩნია დინამიურობის, აქტუალობის, ფუნქციუნალურობის და პროცესუალობის უნარ-თვისებები, რომელთა საბოლოო ჩამოყალიბება ხორციელდება მკითხველის კოგნიტური მექანიზმის დახმარებითა და აქტიური ჩართულობით.

## 2.2.2. ენა, როგორც დისკურსის საბაზისო ერთეული

სოსიურისეული დიადის „ენა - მეტყველება" (Saussure 1982:42) საპირისპიროდ ემილ ბენვენისტს თავის ნაშრომში „ზოგადი ლინგვისტიკა" (Бенвенист 1974:292-300) შემოჰყავს ცნობილი ტრიადა „ენა - დისკურსი - მეტყველება". მისი აზრით, დისკურსი წარმოადგენს ენის მეტყველებაში გარდასახვის პროცესს, როდესაც „მოსაუბრე ენას ითვისებს". ეს არის «მრავალგანშტოებიანი» სივრცე, სადაც „მოსაუბრე ენას აქტიურ და ცოცხალ მეტყველებად გარდაქმნის" (Бенвенист 1974:292-300).

ზემოთმოყვანილი ორი ავტორის ნაშრომებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ დისკურსის შექმნის შეუცვლელ და საბაზისო ერთეულად სახელდება ენა. სწორედ აღნიშნული ვითარება განაპირობებს იმ გარემოებას, რომ დისკურსი, პირველ რიგში, არის ლინგვისტიკის შესწავლის საგანი.

მოგვიანებით, მეცნიერები ენას კვლავ ასახელებენ დისკურსის და, მათ შორის, პოლიტიკური დისკურსის შემქმნელ ძირითად ფენომენად.

მეცნიერი ტ. ა. ვან დეიკი გახლავთ დისკურსის შესწავლაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მკვლევარი. ვან დეიკმა გაითვალისწინა ემილ ბენვენისტის ნაშრომი და დისკურსი გამოაცხადა ზოგადდისციპლინარული შესწავლის საგნად (Dijk 1988:88-90).

„დისკურსი არის სამეტყველო დინება, მარადიულ ქმედებაში მყოფი ენა, რომელიც თავის თავში მოიცავს განსხვავებული ეპოქების გულის ცემას. იგი ითვალისწინებს კომუნიკაციაში მონაწილე პირების და თვით კომუნიკაციის, ფენომენის ინდივიდუალურ და სოციალურ თვისებებს. დისკურსი ასახავს როგორც მასში მონაწილე ინდივიდის, ისე მთელი ერის კულტურას" (Dijk 1988:88-90).

აღნიშნული გამონათქვამით მკვლევარმა ფართოდ გაადიდა ტერმინის „დისკურსი" სემანტიკური ველი და მისი შემსწავლელი მეცნიერებების ნუსხა. ვან დეიკის ნაშრომის წყალობით, ამ ფენომენით დაინტერესდა მრავალი ისეთი მეცნიერება, როგორიცაა სოციოლოგია, ფილოსოფია, სემიოტიკა და მრავალი სხვ.

მოგვიანებით მ. ფუკოს შემოჰყავს ტერმინი „დისკურსიული პრაქტიკა". მეცნიერის აზრით, დისკურსი არ უნდა განვიხილოთ, როგორც თემატური ერთიანობა, არამედ იგი უნდა შევისწავლოთ, როგორც „წესებით თამაში" ან „კონცეპტებით მანიპულირების ხერხი".

დისკურსის მულტისემანტიკური ხასიათის გათვალისწინებით, მეცნიერი სტეფ სლემბროუკი (Slembroke, Whatis discourseanalysis? URL: http://www.bank.rug.192) საინტერესო სიას გვთავაზობს, სადაც შეძლებისდაგვარად ცდილობს აღნუსხოს ამ ფენომენის შემსწავლელი ყველა მეცნიერება:

| | |
|---|---|
| **ანალიტიკური ფილოსოფია** | o სამეტყველო აქტების თეორია<br>o ინფორმაციის გაცვლის პრინციპები |
| **ლინგვისტიკა** | o სტრუქტურალური ლინგვისტიკა<br>o სტილისტიკა<br>o ტექსტის ლინგვისტიკა<br>o პრაგმატიკა |
| | |

| | |
|---|---|
| ლინგვისტური ანთროპოლოგია | o ეთნოგრაფია<br>o ეთნოპოეტიკა<br>o ინტერაქტიური სოციოლინგვისტიკა<br>o ინდექსაცია<br>o დისკურსის ისტორია |
| პოსტრუქტურალიზმი | |
| სემიოტიკა და კულტუროლოგია | o კომუნიკაციური სემიოტიკა და თეორია<br>o კულტოროლოგია |
| სოციალური თეორია | |
| ურთიერთობების თეორიები | |

უნდა აღინიშნოს, რომ მოყვანილი კლასიფიკაცია სრულყოფილი არ არის. მასში არ ფიგურირებს დისკურსის შემსწავლელი მრავალი დარგი და მეცნიერება. თუმცა, შევთანხმდეთ, რომ დისკურსით დაინტერესებული ყველა სფეროს ჩამოთვლა თითქმის იგივე იქნებოდა, რომ აგვენუსხა თანამედროვე მეცნიერებაში არსებული დისციპლინების საკმაოდ დიდი რაოდენობა; თუმც

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ენა რჩება დისკურსის მთავარ და საბაზისო ერთეულად.

### 2.2.3. დისკურსის სახეობები

არსებობს დისკურსის უამრავი სახეობა, რომელსაც ერთიმეორისაგან განვასხვავებთ გარკვეული ნიშან-თვისებების საფუძველზე. თითქმის შეუძლებელია ამ ყველა სახეობის ჩამოთვლა, თუმცა, შევეცდებით ძირითადების წარმოდგენას:

პედაგოგიური დისკურსი - ბავშვების და მოზარდების ქცევის ნორმები

პოლიტიკური დისკურსი - განსაზღვრავს საზოგადო ცნობიერებას

სამეცნიერო დისკურსი -

ადამიანის სამეცნიერო მიღწევები

კრიტიკული დისკურსი - განსჯის, მოსაზრების წარდგენა

ეთიკური დისკურსი - კეთილის და ბოროტის დაპირისპირება

იურიდიული დისკურსი - ადამიანის უფლებები ფართო საზოგადოებაში

სამხედრო დისკურსი - ომებისა და დაპირისპირების საკითხები

აღნიშნულ სიაში არ არის წარმოდგენილი დისკურსის კიდევ სხვა გარკვეული სახეობები, მაგალითად, როგორიცაა „პრაგმატული დისკურსი", რომელიც თავის თავში აერთიანებს ზემოთ ჩამოთვლილი ჟანრების მრავალ სპეციფიკას და დეტალს.

აგრეთვე, შეგვიძლია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ პირადი და ინსტიტუციური დისკურსები, რომელთაგან პირველის უშუალო ადრესატს ინდივიდი წარმოადგენს, ხოლო მეორე გათვლილია ფართო მასების ყურადღებისთვის და წარმოგვიდგენს გლობალურ და უნივერსალურ საკითხებს.

## 2.2.4. ჟანრობრივი თავისებურებები

არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ ჩვენს თანამედროვე სამყაროში დისკურსის შესწავლამ გადაინაცვლა ახალ, უფრო მაშტაბურ და დეტალიზირებულ ფაზაში. იგი აღარ განიხილება, როგორც მშრალი სტატიკური ქმნილება, არამედ საუბარია მის დინამიურობაზე, შემოქმედებაზე, შემოქმედებით ხასიათზე, წარმოდგენის კულტურაზე, ფსიქოლოგიურ ნიშნულებზე და მრავალ სხვა მუდმივ მოქმედებაში მყოფ ასპექტზე.

თანამედროვე ლინგვისტიკაც სრულად ორიენტირებულია დისკურსის კოგნიტური თვისებების შესწავლაზე და მის მიერ ადრესატზე მიმართულ ხელოვნებაზე.

აღსანიშნავია, რომ ლინგვისტთა შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს პოლიტიკური დისკურსი, რომელიც უმეტესწილად განიხილება მისი კოგნიტური და მეტაკოგნიტური სპეციფიკების ჭრილში.

ჩვენს თანამედროვეობაში ზოგადად პოლიტიკას ეკისრება გადამწყვეტი როლი ქვეყნების და საზოგადოების ცხოვრებაში. აღნიშნული ფაქტი იმითაა განპირობებული, რომ, დღესდღეობით, ფაქტიურად არ არსებობს ისეთი ქვეყანა, რომელიც საკუთარი საზღვრების ფარგლებში იკეტება და არ მიისწრაფვის ჩაერთოს მსოფლიო პროცესებში. ამგვარად, დგება ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების საჭიროება. შესაბამისად, დიპლომატიური საქმიანობაც აღმავლობის ფაზაშია, რაც აქტიურად მოითხოვს მისი ყველა ასპექტის დახვეწა-დამუშავებას.

მნიშვნელოვანია პოლიტიკოსთა და დიპლომატთა როლიც თავად კონკრეტული ქვეყნის ფარგლებშიც. მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარებისთვის აუცილებელი ხდება საზოგადოების თვითშეგნების ამაღლება და მისთვის მიზნობრივი მიმართულების მიცემა.

პოლიტიკოსები არ იშურებენ ხერხებს და საშუალებებს, რომ მაღალი ეფექტურობით გაატარონ მათთვის სწორად მიჩნეული პროგრამა და აღნიშნულ ქმედებას, რაც შეიძლება უფრო უმტკივნეულო ხასიათი შესძინონ.

პოლიტიკოსთა მიერ საზოგადოების შთაგონების ყველაზე ეფექტური ხერხია პოლიტიკური დისკურსი. მისი დახმარებით, წარმომთქმელს შეუძლია დაფაროს თავისი ძირითადი მიზანსწრაფვა და ხალხს იმაზე ესაუბროს, რაც უკეთესად შეესაბამება კონკრეტულ მომენტს, გეოგრაფიულ სივრცეს, ქვეყნის კულტურას და მოცემული ერის იდეოლოგიას.

პოლიტიკური დისკურსის სახელით ლინგვისტები გულისხმობენ რომელიმე ეროვნული ენის ნიშანთა ერთობლიობას, რომელიც კარგად წარმართავს პოლიტიკურ კომუნიკაციას. აქ იგულისხმება განსხვავებული იდეების პროპაგანდა, საზოგადოების ემოციურ ფონზე ზეგავლენის მოხდენა, ხალხის გარკვეული ჯგუფის პროვოცირება პოლიტიკური ქმედებების განხორციელებისთვის, სოციალურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება, განსხვავებული თვალსაზრისების დაყვანა ერთ საერთო იდეამდე და ა. შ.

რუსი მეცნიერის შეიგალის აზრით (Шейгал 1998:22-29), პოლიტიკური დისკურსი არ წარმოადგენს ერთ რაიმე კონკრეტული ჟანრის ფორმას, რაც

გამომდინარეობს მისი მიზნების განსხვავებული ხასიათიდან და მრავალფეროვნებიდან. მკვლევარი თვლის, რომ, უმთავრეს შემთხვევაში, პოლიტიკური გამოსვლა არის ჟანრთა და მხატვრულ ხერხთა ერთიანობა, ამიტომაც მისი კვლევა უნდა წარიმართოს დისკურსთა სხვადასხვა სახეობის ურთიერთგადაკვეთის გათვალისწინებით.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი, როდესაც პოლიტიკური დისკურსი ეფუძნება სხვა ნებისმიერი დისკურსის ჟანრულ ფორმას და თავისებურებებს:

**პედაგოგიური დისკურსი**

- საზოგადოების ფორმალური და არაფორმალური პოლიტიკური „აღზრდა"

**იურიდიული დისკურსი**

- ქვეყნის კანონმდებლობასთან შესაბამისობა

**პოლიტიკური რეკლამა**

- ხატოვანი გამონათქვამები, ლოზუნგები, კონკრეტული ხატების შექმნა

**რელიგიური დისკურსი**

- მითოლოგიური სახეები, რიტუალური გამოსვლები

**სპორტული დისკურსი**

- სანახაობრივი ასპექტების თანხვედრა, ეროვნული თამაშები

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ რთულია მივაკუთვნოთ ერთ რომელიმე კონკრეტუი პოლიტიკურ დისკურსს ერთი რომელიმე კონკრეტული ჟანრული თავისებურება. ნებისმიერი წარმატებული პოლიტიკური დისკურსის განხილვისას, ჩვენ შევთანხმდებით იმ გარემოებაზე, რომ პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს მრავალი ჟანრული სახეობის ურთიერთშერევას და, უმეტესწილად, შეესაბამება შემდეგ სქემატურ სურათს:



დასკვნის სახით დავძენთ, რომ პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს სტრუქტურულად და ლინგვისტურად საკმაოდ რთულ შესასწავლ ობიექტს და მისზე მუშაობის შემთხვევაში განხილულ უნდა იქნეს არა ერთი სამეცნიერო დარგის მიდგომები და შეფასებები.

# თავი § 3.

# პოლიტიკური დისკურსი - მსმენელზე ორიენტირებული ხელოვნება

## 3.1. პოლიტიკური დისკურსის ძირითადი მიზნები

უკვე არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ პოლიტიკური დისკურსის ძირითად მიზნად სახელდება ადრესატზე ზემოქმედება. ამ შემთხვევაში, შეგვიძლია თავისუფლად გავავლოთ პარალელი ნებისმიერი ფორმის თუ ჟანრის ტექსტთან, დიალოგთან და თავად დისკურსთან.

იქედან გამომდინარე, რომ ყველა ავტორის მიერ შექმნილი ტექსტი სხვა ადამიანზე ან ინდივიდთა ჯგუფზე გათვლით იწერება, თამამად შეგვიძლია შევაფასოთ ესა თუ ის დისკურსი ადრესატის მხრიდან.

ადრესატის კოგნიტურ უნარ-ჩვევებზე ზემოქმედებისთვის, ავტორისთვის მთავარ ხერხს წარმოადგენს ენა და მთელი მისი სისტემურობა. პოლიტიკოსის მეტყველება ოპერირებს სიმბოლოებით, ხოლო მისი წარმატება განისაზღვრება იმით, თუ ეს სიმბოლოები როგორ შეესაბამებიან საზოგადოების ცნობიერებას. პოლიტიკოსს უნდა შეეძლოს თუ რომელ მხარეს უნდა შეეხოს აღნიშნული ცნობიერების სივრცეში. ამავე დროს, იგი უნდა პასუხობდეს სამიზნე ჯგუფის აქტუალურ და ძირითად მოთხოვნებს. კარგი პოლიტიკური დისკურსი უდავოდ უნდა მოიცავდეს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა სწორად შერჩეული ფონი, ავტორის და აუდიტორიის მოლოდინი, შეფარული მოტივები, შეფარული სქემები, ლოგიკური გადასვლები, კონკრეტული ეპოქის მოთხოვნილებები.

ყოველივე ზემოთჩამოთვლილის სისტემაში მოსაყვანად გამოიყენება კოგნიტური და სემანტიკური სქემები, ანუ ენობრივი ფენომენები, რომელთა გზით ავტორმა უნდა შესძლოს ოპერირება.

მოკლედ რომ ვთქვათ, პოლიტიკური დისკურსი შეესაბამება სქემას, სადაც ცოცხალი ენის საშუალებით მიმდინარეობს ფასეულობათა და იდეათა მიმოცვლის მუდმივად მომუშავე მექანიზმი დისკურსის ავტორსა და მის ადრესატს შორის:



## 3.2. პოლიტიკური კორექტულობა

ბოლო ათწლეულის მანძილზე ხშირად ვხდებით პოლიტიკური დისკურსის საკითხთან დაკავშირებულ ახალ ტერმინს - პოლიტიკურ კორექტულობას. იგი, როგორც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფენომენი, ლინგვისტური მეცნიერებათა შესწავლის საგანია.

მკვლევართა აზრით, აღნიშნული ტერმინის გაჩენა, პირველ რიგში, უკავშირდება აქტუალურ საჭიროებას, რომ ადრესატს მართებულად, ეთიკურად და ლოგიკურად მიეწოდოს სათქმელი.

თავად ტერმინი „პოლიტიკური კორექტულობა" გაჩნდა XX საუკუნის ბოლოს შეერთებულ შტატებში (political correctness:http://www.ourcivilisation.com/pc.htm) და შემდეგ მოედო მთელს მსოფლიოს. ჯერ კიდევ არ არის დადგენილი აღნიშნული ტერმინის პირველად ხმარების ადგილი და გარემოება, მაგრამ ცხადია, რომ ეს სიტყვათშეთანხმება დიდ მნიშვნელობას ატარებს საზოგადო ცნობიერებაში.

შეერთებულ შტატებში „პოლიტიკური კორექტულობა" განსაკუთრებით დამკვიდრდა განათლების სფეროში. ქვეყანა ცნობილია თავისი კულტურულ-ნაციონალური მრავალფეროვნებით, ანუ მულტიკულტურალიზმით (cultural diversity / multiculturalism). სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა განათლების სისტემაში ისეთი სქემის შექმნის საჭიროება, რომელიც უპასუხებდა მრავალი ნაციის მოთხოვნებს და ამასთანავე, არანაირად არ აისახებოდა მათ პიროვნულ თავმოყვარეობაზე.

„მულტიკულტურალიზმის" მიმდევრები განიხილავენ ენობრივი პრიზმის შექმნას, რომელსაც ექნება ერთდროულად ორი თავისებურება: პირველი, იგი შესძლებს «ეთნოცენტრიზმის» შემუშავებას, ხოლო მეორე, იგი არ დაკარგავს და აირეკლავს ყველა ერის კულტურას და თავისებურებას.

თავის ფუძეში „ეთნოცენტრიზმი" გულისხმობს ცენტრალური, ყველა ნაციის ცნობიერებისთვის აღქმად ენობრივ ნიშანთა სიტემას.

აღნიშნული ენობრივი ერთეულების მოძიება ნამდვილად არ წარმოადგენს მარტივ საქმეს, რადგან სქემის ყოველი ერთეული უნდა პასუხობდეს მრავალ კრიტერიუმს.

მაგალითად, ლინგვისტურ დონეზე, მულტილინგვისტები განიხილავენ საერთაშორისო შინაარსობრივი კვალიფიკაციის მქონე სემანტიკურ ნაწილებს (ინტერნაციონალური, მულტილექსიკური და ა. შ.); ასევე ცდილობენ, რაც შეიძლება მარტივი ფრაზების გამოყენებას, რომლებიც ძირითადად მოკლებულნი იქნებიან ფრაზეოლოგიურ შელამაზებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტკორექტულობა ძირითადად არის პოლიტოლოგიის, ფსიქოლოგიის და მრავალი სხვა მომიჯნავე მეცნიერების შესწავლის საგანი. ლინგვისტურ დონეზე ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მისი რამდენიმე ელემენტის განხილვა, თუმცა, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მაინც გაკვრით შევხებოდით ამ საკითხს.

## 3.3. აღწერის სპეციფიკები

პოლიტიკური კომუნიკაციის შესწავლა ძირითადად წარმოებს დისკურსის ანალიზის საფუძველზე. შესაბამისად, პირველ რიგში, მკვლევარები განიხილავენ პოლიტიკური დისკურსის კოგნიტურ ასპექტებს, რაც, თავის მხრივ, ამარტივებს საკითხის შესწავლას და ხსნის ფენომენის მრავალ ენობრივ დეტალს.

აღნიშნულ პარაგრაფში მიზნად დავისახეთ განვიხილოთ და გავაანალიზოთ ის მიდგომები, რომლებსაც პოლიტიკური დისკურსი იყენებს აღწერების შემთხვევაში.

თანამედროვე სამეცნიერო დარგებში პოლიტიკური დისკურსის შესწავლა ატარებს უფრო ინდივიდუალურ და პირობით ხასიათს. ყველაფერი დამოკიდებულია ამა თუ იმ სპეციალისტის მიდგომაზე. შესაბამისად, უნდა შევეცადოთ ლოგიკურ სისტემაში მოვაქციოთ ყველა ის მეთოდი, რომელსაც პოლიტიკური დისკურსი იყენებს როგორც იარაღს, რათა აამუშაოს ადრესატის კოგნიტური სისტემა.

კოგნიტური ასპექტები ქმნიან პოლიტიკური დისკურსის შინაგან სისტემას.

კოგნიტურ-დისკურსიული ანალიზის შემუშავებაში დიდი წვლილი მიუძღვის მეცნიერ ტ. ა. ვან დეიკს (Dijk 1988:101-122) ასევე შეიძლება ითქვას, რომ ვან დეიკის ნაშრომები არ კარგავს აქტუალობას და ასახავს საკითხის მნიშვნელოვან ასპექტებს.

მეცნიერის აზრით, „კოგნიტურ-დისკურსიული ანალიზი არის ისეთი ანალიზი, რომელსაც შეუძლია შეეხოს ყველა სახის გამონათქვამს, ვერბალურს თუ არავერბალურს, მთავარია, რომ მის სამიზნეს წარმოადგენდეს სხვა ინდივიდი. დისკურსი აიძულებს თავის ავტორს გადაინაცვლოს სხვა სოციალურ ფენაში, რადგან მისი ენობრივი დონე უნდა შეესაბამებოდეს ადრესატის სოციალური კლასის ლინგვისტურ სისტემებს” (Dijk 1988:101-112).

აღნიშნული გამონათქვამიდან გამომდინარე, უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ პოლიტიკური დისკურსისთვის დამახასიათებელ არაერთ ფენომენზე თუ ასპექტზე.

მაგალითად, შეგვიძლია გამოვყოთ ისეთი საკითხები, როგორიცაა მიზანი, ცოდნა, კომუნიკაციის მონაწილის შთაგონება და ა. შ.

თავის წიგნში „ენა და ხელისუფლება” (Fairclough 2001:48) მეცნიერი ნორმან ფერკლოუ აღნიშნავს, რომ კომპონენტი „ცოდნა” წარმოადგენს (იგი ნაშრომში მას ხშირად მოიხსენიებს, როგორც «common sense») ფუძეს დისკურსის მრავალი სემანტიკური და პრაგმატული სტრუქტურისა. მაგალითად, იმპლიკაცია და სუპოპოზიცია, ანუ მოსაუბრისთვის კარგად უნდა იყოს ცნობილი ყველა ის ფაქტი, რომელიც იცის მისმა ადრესატმა. მან წინასწარ უნდა გათვალოს, თუ რა მენტალური მოდელები თუ სოციალური

რეპრეზენტაციები შესთავაზოს მოსაუბრეს, რათა დისკურსმა გამოიღოს სასურველი მიზანი (Fairclough 2001:24).

თავის მხრივ, ადრესატისთვის ცნობილი და გასაგები უნდა იყოს დისკურსში ჩაქსოვილი იმპლიციტური სისტემა.

მოკლედ რომ ვთქვათ, პოლიტიკური დისკურსის განსახორციელებლად საჭიროა ორივე მხარის კოგნიტური უნარ-ჩვევების ჩართულობა.

მკვლევარის აზრით, ნებისმიერი პოლიტიკური დისკურსი წააგავს საერთო ხასიათის აქციას, რომელიც გავრცელდება მთელ რიგ მასებზე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პოლიტიკური დისკურსის სტრატეგიის და სტრუქტურის თეორია განიხილავს შესასწავლ ორ დონეს - მაკრო და მიკრო დონეებს. მაკრო დონე წარმოაჩენს დისკურსის გლობალურ ხასიათს და მას შეისწავლის საერთო და საერთაშორისო მახასიათებლების მხრიდან იმ დროს,როდესაც მისი მიკრო დონე ატარებს ადგილობრივ (გეოგრაფიული, კულტურილი, ისტორიული) ნიშან-თვისებებს.

დონეების თვალსაჩინოდ წარმოდგენისთვის მივმართავთ შემდეგ სქემას:




თუმცა მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ზემოთ მოყვანილი დონეების ყველა კომპონენტიიმდენად მჭიდროდ უკავშირდება ერთიმეორეს. ამასთანავე, კომპონენტი „მონაწილეები" შეგვიძლია განვიხილოთ კიდევ უფრო კონკრეტული, დეტალური და ინდივიდის მაკონსტრუირებელი ელემენტების მხრიდან:




პოლიტიკური დისკურსის შესწავლის დროს აუცილებლად უნდა განვიხილოთ ყველა ეს ფუძისეული კომპონენტი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საბოლოო ჯამში დისკურსის ყველა შემადგენელი ნაწილი ეყრდნობა წმინდა ლინგვისტურ სქემას.

## 3.4. პოლიტიკური დისკურსის კოგნიტური მოდელი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ პოლიტიკური დისკურსის უმთავრესი დანიშნულება ზეგავლენის მოხდენაა. პოლიტიკოსი მრავალი ლინგვისტური, ფსიქოლოგიური თუ რიტორიკული ხერხით ცდილობს მსმენელთა მხრიდან სასურველი პასუხის და რეაგირების მიღებას.

უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური დისკურსის კოგნიტური გათვლა ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებებს, რომელიც ადამიანის გონება ინსტიქტურად პასუხობს. მაგალითად, უმარტივესი ფრაზა:

„ზამთარში ძალიან ცივა'',
ლოგიკური გონებრივი რეაქცია -
„ე. ი. თბილად უნდა ჩავიცვათ''.

რომ მივყვეთ, მსგავსი მაგალითები ჩვენს რეალობაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. უმეტესწილად, ჩვენ არ ვუღრმავდებით აღნიშნულ ფენომენს.

დისკურსის ავტორი, პირველ რიგში, ეფუძნება მსგავს, ადამიანის ქვეცნობიერში გამჯდარ კონკრეტულ რეპლიკაზე კონკრეტულ და თანამიმდევრულ რეაქციებს.

აღნიშნულ თავში, გვსურს შეძლებისდაგვარად წარმოვადგინოთ ყველა პოლიტიკური დისკურსისთვის საერთო კოგნიტური მოდელი და გავიაზროთ მისი თითოეული დეტალი.

კომუნიკაციის შემსწავლელთათვის პოლიტიკური დისკურსის კოგნიტური მოდელის გაშიფვრა წარმოადგენს ძირითად ამოცანას. აღსანიშნავია, რომ განსხვავებული ავტორების ნამუშევრებში ვხვდებით სხვადასხვანაირ გაშიფვრას, რაც, კიდევ ერთხელ მეტყველებს პოლიტიკური დისკურსის საერთო კოგნიტური მოდელის მოძებნის ურთულეს ხასიათზე.

პირველი მოდელი შეგვიძლია დავუკავშიროთ ჩ. ს. პირსის და მისი მიმდევრების, მაგალითად, ლაკოფის თეორიებს. ეს გახლავთ სქემა, რომელიც ძირითადად, ეფუძნება მოსაზრებას კონცეპტუალური მეტაფორის შესახებ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ავტორი თავის სათქმელს პირდაპირ ამ ამბობს, იგი იყენებს მეტაფორულ კონცეპტებს, ანუ ისეთ ლინგვისტურ ელემენტებს, რომლებსაც შეუძლიათ მსმენელის გონებაში სასურველი სურათების წარმოშობა.

კონცეპტუალური მეტაფორა, უპირველეს ყოვლისა, ისევ და ისევ ეფუძნება ადამიანისთვის ნაცნობ, შესისხლხორცებულ ჭეშმარიტებებს, რომლებზეც მისი გონება ლოგიკურად პასუხობს.

თავის წიგნში „დისკურსის არგუმენტები'' («Des Arguments aux discours») (Vignaux 1995:199-225) ფრანგი ლინგვისტი ჟორჟ ვენიო ამ მოვლენას უწოდებს „ბუნებრივ ლოგიკას'' («logique naturelle»), რასაც ასაბუთებს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული მაგალითით:

«Boire de l'alcool ruine la santé,
Jean boit,
Jean se ruine la santé».

---

„ალკოჰოლის სმა ანგრევს ჯანმრთელობას,
ჟანი სვამს,
ჟანი ინგრევს ჯანმრთელობას''.

ცხადია, რომ ლოგიკური ჯაჭვი ჩვენს გონებაში თითქმის დაუფიქრებლად წარმოიქმნება. პირველი და მეორე წინადადებების

წარმოთქმისთანავე ავტორს აღარ სჭირდება დასკვნის გაკეთება, ამ საქმეს მის ნაცვლად ასრულებს მსმენელის გონება.

ასევე შეგვიძლია წარმოვადგინოთ შედარებით რთული მაგალითიც, რომელსაც თითქმის ყოველდღე ვხვდებით ფრანგული პრესის ფურცლებზე:

« Il faut à tout prix” trouver d’autres sources d’énergie. Or le charbon s’épuise et les réserves du pétrole sont limitées. Quant à l’énergie solaire, elle n’en est encore qu’au stade expérimental. L’énergie nucléaire est donc notre seule source d’énergie nouvelle et immédiatement exploitable» (Vignaux 1995: 202)

---

„სხვა ენერგიების მოსაძებნად საჭიროა „ჩავდოთ მთელი ჩვენი ძალისხმევა’’. ქვანახშირი იწურება და ნავთობის მარაგიც ლიმიტირებულია. რაც შეეხება მზის ენერგიას, ის ჯერ კიდევ შესწავლის სტადიაშია. მაშ, ატომური ენერგია არის ერთადერთი ახალი ენერგიის წყარო, რომლის გამოყენებაც ახლავე შეგვიძლია’’.

---

აღნიშნული ნაწყვეტიც ჩვენს გონებაში წარმოშობს ლოგიკურ თანამიმდევრობას და დასკვნას, ანუ დასაწყისიდანვე მკითხველის თუ მსმენელის გონება აუცილებლად მივა სასურველ დასკვნამდე.

მკვლევარის აზრით, ამგვარ ხერს შეიძლება ვუწოდოთ „გულუბრყვილო ენციკლოპედიზმი» ანდა „რიტორიკული ტერორი’’ (L’encyclpédisme naïf, terreur rhétorique). მისი მეშვეობით პოლიტიკური დისკურსის ავტორი მოქმედებს ადამიანის ქვეცნობიერებაში ჩადებულ ინფორმაციაზე და იწვევს მის ლოგიკურ და თანამიმდევრულ ამოტივტივებას.

უდავოა, რომ ნებისმიერი დისკურსის დროს ფიგურირებს არგუმენტაციის ფენომენი. სწორედ არგუმენტაცია გახლავთ ის ხერხი, რომლის საშუალებითაც ავტორი არწმუნებს ადრესატს თავისი აზრის უტყუარობაში (Vignaux 1995:205-206) უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი სასწავლო პროგრამებიც ფართოდ მუშაობენ მოზარდის ამ უნარის ჩამოყალიბებაში, რაზეც მეტყველებს ყველა საერთაშორისო კატეგორიის გამოცდებზე აზრის დასაბუთება-არგუმენტაციისთვის გამოყოფილი ქულები (http://www.ciep.fr).

არგუმენტაციის საჭიროებას ვხედავთ დღევანდელობის ნებისმიერი, თუნდაც მთლად მარტივი და ყოველდღიური საუბრების დროსაც

## 3.5. მეტაფორა და პოლიტიკური დისკურსი

პოლიტიკური დისკურსის შემსწავლელთათვის მთავარ ადგილს იკავებს მეტაფორის ფენომენი. სწორედ მეტაფორაა ის იარაღი, რომლის საშუალებითაც პოლიტიკოსი ცდილობს შექმნას საზოგადოებრივი აზრი, ემოციური ფონი, რომელიც შემდგომ დაეხმარება სასურველი მიზნის მიღწევაში.

ტრადიციული განმარტებით, „მეტაფორა" ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს „გადატანას". ეს არის სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც აზრს აძლევს გადატანით მნიშვნელობას, მიმსგავსების, ანალოგიის ან კონტრასტის საფუძველზე.

მკვლევარების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კონკრეტული სახელის წარმოთქმისას ადამიანებს ამ საგნის ამსახველი სრულიად

განსხვავებული სურათები უჩნდებათ ცნობიერებაში. აბსტრაქტული არსებითი სახელების გაგონებისას სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება და იღებს შედარებით ბუნდოვან და ნაკლებად ამოსაცნობ იერსახეს. აღნიშნული ვითარება ართულებს სიტყვა-კონცეპტის ერთი ძირითადი მნიშვნელობის დადგენას. „კონცეპტის აზრის გასაგებად საჭირო ხდება ამ ენაზე მოლაპარაკეთა კოლექტიური ცნობიერების ანალიზი – ანუ როგორი და როგორი მნიშვნელობით იყენებენ ამ სიტყვას, როგორი ასოციაციებია დაკავშირებული ამ სიტყვით გამოხატულ ცნებასთან, როგორი იყო მისი არქეტიპული მნიშვნელობა, როგორ გამოიხატება მყარ სიტყვათშეხამებებსა და ფრაზეოლოგიზმებში, აგრეთვე – ლიტერტტურასა და სასაუბრო მეტყველებაში" (ბარბაქაძე 2012:35). კონცეპტი არის აზრის ვერბალური გამოვლინება, აზრი კი იქმნება ნიშნების საშუალებით, ჩვენ შეგვიძლია აზრს ჩავწვდეთ მხოლოდ სიტყვების მეშვეობით.

მკვლევარების აზრით, ფუძისეული კონცეპტის სწორად მიგნება დამოკიდებულია მრავალ ისეთ ასპექტზე, როგორიცაა ამა თუ იმ ენის მატარებელი ენის ფსიქოლოგია, კულტურა, ტრადიციები, ისტორიული ეპოქა, გეოგრაფიული მდებარეობა და მრავალი სხვ.

იმისათვის, რომ უკეთესად დავასაბუთოდ აღნიშნული მოსაზრება, მოვიყვანოთ ქართული სიტყვის „ოცნება" ხმარების და აღქმის მაგალითები.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, სიტყვა „ოცნება" განიმარტება შემდეგნაირად: 1. იმის წარმოდგენა, რის განხორციელებაც სასურველია; სასიამოვნო, სანატრელ რამეზე ფიქრი. 2. გადატ. თვით ის, რაზედაც ან ვიზედაც ოცნებობენ, ოცნების საგანი.

საინტერესოდ განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი „ოცნებას": „ხოლო ოცნებითი არს ძალი უსიტყველისა სულისა მოქმედება გრძნობათა მიერ, რომელი სახელ-იდების გრძნობად, რამეთუ რომელი არა ჭეშმარიტ და არსებით იყოს, ცხად არს ვითარ საგონებლობით და ოცნებით იქმნების, ვითარმედ არა რა სადმე ჰპოვო".

სულხან-საბას მიხედვით, ოცნება არის სულის მოქმედება გრძნობათა მიერ, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს; ეს უბრალოდ, სულის

მდგომარეობაა, ნეტარი მდგომარეობა, მაგრამ მეოცნებე ადამიანის ტრაგედია მაშინ იწყება, როდესაც ამ ორ სამყაროს ურევს ერთამანეთში და რეალობას ეჯახება. ამ განმარტების მიხედვით, ოცნება და რეალობა ერთი მთელის ნაწილებია და ისეთივე ანტონიმები, როგორებიც: დღე და ღამე, ცა და მიწა, სიზმარი და ცხადი, რომლებიც ერთმანეთზე ზემოქმედებენ, მაგრამ განსხვავებული მხარეებია. გალაკტიონ ტაბიძე ლექსში „ოცნება და სინამდვილე" ოცნებას უწოდებს „მწარე გათიშვას ფიქრთა და სინამდვილეს შორის".

ფრაზეოლოგიზმებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ვარიანტები:

„ოცნებას კაცი არ მოუკლავს – რამდენიც გინდა იოცნებე, მაინც არ ახდება";

„ფუჭი ოცნება – რეალურ საფუძველს მოკლებული, განუხორციელებელი ოცნება";

„ოცნებას მიეცა – ოცნება დაიწყო";

„ოცნებიდან გამოიყვანა – ოცნება შეაწყვეტინა";

„ოცნების კოშკებს აგებს – გატაცებით ოცნებობს ძნელად განსახორციელებელ რამეზე";

„ოცნების მორევში გადაეშვა – თავდავიწყებით ოცნებობს";

„ოცნების ზღვაში შეცურა – თავდავიწყებამ წაიღო".

აგრეთვე საინტერესოა ქართული სინტაგმური გამოთქმები:

ამაო ოცნება;

ტკბილი ოცნება;

მწარე ოცნება;

აუსრულებელი ოცნება;

ოცნების გზა;

ოცნების ბილიკები და ა. შ.

მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე თვალნათლივ ჩანს, რომ ერთ სიტყვას „ოცნება" ადამიანის ცნობიერებაში შეუძლია გამოიწვიოს მრავალი

განსხვავებული ხატი და ფორმა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებული ეპოქები და პერსონაჟები გვთავაზობენ სიტყვის ნიუანსურ ახსნებს. სწორედ ეს ვითარება განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ნებისმიერი პოლიტიკური დისკურსი ფართოდაა დატვირთული მეტაფორებით, რაც მსმენელთა ცნობიერებაში იწვევს განსხვავებული ხატების და სურათების სიმრავლეს.

### 3.5.1. მეტაფორის გამოკვლევა კოგნიტური ლინგვისტიკის კუთხით

როგორც ცნობილია, კოგნტური ლინგვისტიკა არ წარმოადგენს ერთიან მიმართულებას, რომელსაც გააჩნია კვლევის კონკრეტული საგანი, კონცეფცია და ერთფეროვანი კვლევის მეთოდი. პირიქით, აღნიშნულ მიმართულებას, უმთავრეს შემთხვევაში, უკავშირებენ ყველა საკმაოდ ფართო ხასიათის სამეცნიერო პოსტულატს, რომელიც, გარკვეულწილად, ასახავს კონკრეტული შესწავლის საგანს. ყოველი მეცნიერი თავად განსაზღვრავს შესწავლის საგანს, მასალასა და მეთოდებს. იგი თავად ქმნის თეორიულ კონსტრუქციებს და ტერმინოლოგიას, რაც, თავის მხრივ, ართულებს არსებული კონცეფციების შედარებით შესწავლას.

შეერთებულ შტატებში, დღესაც, ლინგვისტიკის სფეროთა შორის პირველი ადგილი უკავია კოგნიტივიზმს. ჯორჯ ლაკოფი, რონალდ ლანგაკერი, ლეონარდ ტალმი, ჟილ ფოკონიე და მრავალი სხვა, გახლავთ მეცნიერები, რომლებმაც შექმნეს კოგნიტური ლინგვისტიკის ე. წ. „ოქროს ფონდი''. მის სიმრავლეს განეკუთვნება ჯ. ლაკოფის და მ. ჯონსონის თეორია კონცეპტუალური მეტაფორის შესახებ.

ჯორჯ ლაკოფმა განიხილა და შეისწავლა ინგლისურ ენაში არსებული მეტაფორული ფენომენი, როლის სქემა შეგვიძლია თამამად მივუსადაგოთ ფრანგულ ენასაც (http://julien.lecomte.over-blog.com/article-la-discussion-c-est-la-guerre).

მეცნიერის აზრით, ინგლისურ ენაში არსებული დისკუსიის ენა არის „საბრძოლო ენა" (http://julien.lecomte.over-blog.com/article-la-discussion-c-est-la-guerre-57487633.html). იგი შეეცადა აეხსნა, თუ რა თანაფარდობაში იმყოფება ერთმანეთთან საომარი მეტყველება (კონკრეტული, ფიზიკური ცნება) და არგუმენტაცია / დისკუსია (აბსტრაქტული ცნება).

სწორედ აღნიშნული შესწავლის შედეგად, მეცნიერმა შექმნა და წარმოადგინა ახალი ტერმინი „კონცეპტუალური მეტაფორა". ამ შემთხვევაში არ არის საუბარი მარტივ მეტაფორებზე, ანუ იმ მაგალითებზე, როდესაც ერთი სიტყვა გვევლინება მეორის აღმნიშვნელად. ნაშრომში ამერიკელი მკვლევარი განიხილავს შედარებით რთულ, კომპლექსურ მეტაფორებს.

გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ, უმეტეს შემთხვევაში, აბსტრაქტული ცნებების გადმოცემისა და განსაზღვრისთვის დისკურსის ავტორები ხმარობენ ფიზიკური საგნების, ნაცნობი მოვლენების ან ჩვენი აღქმის ორგანოებისთვის ჩვეული მოქმედებების და შეგრძნებების აღმნიშვნელ, კონკრეტული დატვირთვის მქონე ლექსიკურ ერთეულებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, დისკურსის ან თუნდაც ჩვეულებრივი დისკუსიის დროს „აბსტრაქტული სფეროს" გამოსახატავად, ჩვენ მივმართავთ ნაცნობ და შეგრძნებად „კონკრეტულ სფეროს" (Lakoff 2004:64-66).

აღნიშნული თეორიის უფრო თვალსაჩინო ახსნისთვის მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი ჩვენი ყოველდღიური მეტყველებიდან:

„ჩვენი სახლიდან ზღვა ორ ნაბიჯში მდებარეობს";
„ამ ვარსკვლავს ხელით მიწვდები";
„სიხარულისგან მეცხრე ცაზე ყოფნა" და ა. შ.

როგორც ვხედავთ, უფრო კონკრეტული სახით წარმოჩინებისთვის ქართული ენა პარალელს ავლებს გარკვეუი აბსტრაქტულ ცნებებსა და ჩვენთვის კარგად ნაცნობ ჟესტებს შორის. სამივე მაგალითში წარმოდგენილია ჩვენი სხეულებრივი აღქმით დაკონკრეტებული დისტანციები, რაც მსმენელის ცნობიერებაში ბადებს სიცხადის შეგრძნებას.

თუმც უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს მეტაფორის სხვადასხვა სახეები, რომელთა მაგალითებსაც ვხვდებით განმარტებით ლექსიკონებში. მათი ავტორების აზრით, გამოარჩევენ ოთხი ტიპის მეტაფორას (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. 1986:218):

1. როდესაც უსულო საგნის თვისება გადატანილია სულიერ საგანზე:
   ოქროს გული, რკინის კაცი.
2. სულიერი საგნის თვისება გადატანილია უსულო საგანზე:
   „ჩაფიქრებულა მთაწმინდა'' (წერეთელი 1984:24)
   ან
   „ვინ იცის მტკვარო რას ბუტბუტებ'' (ბარათაშვილი 1970:12).
3. უსულო საგნის თვისება გადატანილია უსულო საგანზე:
   ვერცხლის ნაკადული, რკინის ნიაღვარი.
4. სულიერი საგნის თვისება გადატანილია სულიერ საგანზე:
   „შენ ხმელო კაცო, წარბშეკრულო ხშირად და მკაცრო, ... აქიმო წყლულის და ქადაგო გაზაფხულისა'' (ლებანიძე 1950:44).

მიუხედავად ზემოთჩამოთვლილი კლასიფიკაციისა, ჯორჯ ლაკოფი ყველა მეტაფორის სახეს აერთიანებს ერთ საერთო და დიდ ჯგუფში და გვესაუბრება ყველა მეტაფორის უტყუარ კოგნიტურ ხასიათზე.

ამერიკელი მეცნიერი თვალსაჩინოებისთვის განსაკუთრებით გამოჰყოფს შემდეგ სივრცულ ლექსიკურ კატეგორიებს haut, devant, derrière, bas და მოჰყავს მათი ხმარების თვალსაჩინო მაგალითები:

Monter dans la hiérarchie.
Gravir les échelons, aller de l'avant
(http://julien.lecomte.over-blog.com/article-la-discussion)

ჯ. ლაკოფის აზრით, ყველა ენის დისკურსებში, აღნიშნული ხასიათის ფრაზების სიმრავლე იმით აიხსნება, რომ ჩვენი საზოგადოების წევრებისთვის ცნება „ზემოთ" არის დაკავშირებული ყველაფერ კარგთან (კარგი და ნათელი მომავალი, კარიერული წინსვლა, სითბო და ა. შ.). შესაბამისად, პოლიტიკური გამოსვლებისთვის ავტორები უხვად ხმარობენ სიმაღლეში ასვლასთან დაკავშირებულ ფრაზებს.

ჩვენს ნაშრომში უკვე განვიხილეთ ავტორი - მკითხველი/მსმენელი-ს ოპოზიცია. ჯორჯ ლაკოფი აღნიშნული სქემის კომპონენტებს სხვა ტერმინებით მოიხსენიებს. რადგანაც მეცნიერის აზრით, ნებისმიერი დისკურსი წააგავს ბრძოლას, შესაბამისად, მასში ფიგურირებს ორი მოწინააღმდეგე მხარე. მათგან პირველის მოვალეობაა დაიცვას საკუთარი პოზიციები და დაარწმუნოს მსმენელიც.

«Vos affirmations sont indéfendables. Il a attaqué chaque point faible de mon argumentation. Ses critiques visaient droit au but. J’ai démoli son argumentation. Je n’ai jamais gagné sur un point avec lui. Tu n’es pas d’accord ? Alors, défends-toi? Si tu utilises cette stratégie, il va t’écraser. Les arguments qu’il m’a opposés ont tous fait mouche. […]

C’est en ce sens que la métaphore « La discussion c’est la guerre » est l’une de celles qui, dans notre culture, nous font vivre: elle structure les actes que nous effectuons en discutant». (http://julien.lecomte.over-blog.com/article-la-discussion)

---

თქვენი მტკიცებულებებისგან თავის დაცვა შეუძლებელია. მან შეუტია ჩემი არგუმენტების ყველა სუსტ წერტილს. მისი კრიტიკული ხედვა მიზანში

ხვდება. მე დავანგრიე მისი არგუმენტები. მის წინააღმდეგ ბრძოლაში ვერასდროს მოვიგებ. არ ხარ თანახმა? იცავ თავს? თუ შენ გამოიყენებ ამ სტრატეგიას, განადგურდები. ჩემს წინააღმდეგ გამოყენებული მისი არგუმენტები ძალიან სუსტია...

სწორედ აღნიშნული ვითარების გამო ვიხმარე მეტაფორა „დისკუსია ომია". იგი ერთერთია, რომელიც გვაცოცხლებს ჩვენს დროში: იგი ჰქმნის აქტებს, რომლებსაც ჩვენ ვახორციელებთ საუბრისას.

---

მკვლევარი აგრეთვე გვესაუბრება ამგვარი მეტაფორული სისტემის მნიშვნელოვან გავლენაზე, რომელსაც იგი ახორციელებს ადამიანის ცნობიერის მიმართ:

« En nous permettant de fixer notre attention sur un aspect d'un concept (par exemple les aspects d'une discussion qui rappellent une bataille), un concept métaphorique peut nous empêcher de percevoir d'autres aspects qui sont incompatibles avec la métaphore (…) nous pouvons perdre de vue les aspects coopératifs de toute discussion ».

---

„თუ თავს უფლებას მივცემთ, რომ ყურადღება გავამახვილოთ კონცეპტის ასპექტზე (მაგალითად, ისეთი დისკუსიის კონცეპტებზე, რომელიც გვაგონებს ბრძოლას), მეტაფორული კონცეპტის წყალობით შეგვეშლება ხელი სხვა ასპექტების დანახვაში... ჩვენ ვერ შევძლებთ მთელი საუბრის მთავარი აზრის დანახვას."

---

კოგნიტური ლინგვისტიკის თეორიებს შორის, აღნიშნული ნაშრომი დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას და დიდ პოპულარობას. მისი ძირითადი თეზისის თანახმად, მეტაფორები ანუ ტრადიციულად მხატვრული ხერხები, წარმოადგენენ „კონცეპტუალური მეტაფორების" ზედაპირულ მანიფესტაციებს. კონცეპტუალური მეტაფორები ჩადებულია ადამიანის აღქმით სისტემაში და მასში ქმნიან ხატებს, აზროვნებას და ქმედების სურვილს.

ჯ. ლაკოფისა და მ. ჯონსონის წიგნი ეძღვნება სწორედ კონცეპტუალური მეტაფორის მრავალმხრივ შესწავლას: განხილულია მათი ბუნება, მოქმედების მექანიზმი, ტიპოლოგია, სისტემურობა, ფიზიკური და კულტურული ფაქტორები და ა. შ. შესასწავლ მასალად კი გამოყენებულია ჩვეულებრივი ენობრივი, როგორც „ცოცხალი", ისე „მკვდარი" მეტაფორები, რომლებსაც თანამედროვე ლინგვისტიკა აღარ განიხილავს როგორც მხოლოდ მხატვრულ ხერხებს (Lakoff 1982:44-62).

უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერები ე. წ. „მკვდარ" მეტაფორებს განიხილავენ, როგორც საზოგადოებრივ ცნობიერებაში მყარად გამჯდარ და ასახულ კონცეპტუალურ მეტაფორებს.

ჯ. ლაკოფისა და მ. ჯონსონის მიხედვით, კონცეპტუალური მეტაფორის არსი მდგომარეობს ერთი რომელიმე საგნის ან მოვლენის აღქმა-გააზრებაში სხვა საგნის ან მოვლენის მეშვეობით. მაგალითად, „ომი"-„დავა", „დრო"-„ფული", „სიყვარული" - „ცხოვრებისეული მოგზაურობა" და სხვ. ავტორისეული ახსნით, ხდება გარდასახვა „წყაროს სფეროს" (ომი, დრო, სიყვარული) „სამიზნე სფეროში" (დავა, ფული, ცხოვრებისეული მოგზაურობა). შემდგომში კი ჩამოყალიბებული „ინვარიანტული ჰიპოთეზის" თანახმად, წყაროსმიერი სფეროს კოგნიტური ტოპოლოგია მხოლოდ ნაწილობრივ აირეკლება მიზნის სფეროში (Lakoff 1982:44-62).

ავტორთა მიერ წამოყენებული კონცეპტუალური მეტაფორის ცნება და მისი ანალიზის მეთოდიკა აღმოჩნდა მნიშვნელოვნად ნაყოფიერი. აღნიშნული ნაშრომის გამოჩენის დღიდან მეცნიერთა სფეროში შეიქმნა ზემოხსენებული საკითხისადმი მიძღვნილი უამრავი ნაშრომი და გამოკვლევა.

ლაკოფისეული კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის დანერგვა პირველად ფართოდ გამოყენებულ იქნა 1991 წელს, ერაყში ამერიკული შეიარაღებული ძალების შესვლასთან დაკავშირებით, პოლიტიკოსთა დისკურსების შესწავლისას. აღნიშნულმა ნაშრომმა საგრძნობლად უბიძგა პოლიტიკური დისკურსების ამ კუთხით შესწავლას და ლინგვისტიკაში მის აქტიურ დანერგვას.

## 3.5.2. კონცეპტუალური მეტაფორა პოლიტიკურ დისკურსში

მეტაფორა ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და აღნიშნავს „გადატანას" ანუ „გადატანით მნიშვნელობას". ტერმინი „მეტაფორა" პირველად შემოღებულია არისტოტელეს მიერ და უკავშირდება ხელოვნების განსაზღვრებას, როგორც რეალური ცხოვრების მიბაძვის საშუალებას. არისტოტელე ამბობდა:

„თუ სათქმელი შედგება მეტაფორისგან, იგი გამოცანაა" (არისტოტელე 1944:68).

უკვე თავის საწყისებში მეტაფორა გახლდათ ხერხი, რომლის მეშვეობითაც აბსტრაქტული ცნება დადიოდა კონკრეტულ, მატერიალურ გამოვლინებამდე. არისტოტელეს ნააზრევში მეტაფორა უთანაბრდებოდა სხვა მხატვრულ ხერხებს, მაგალითად გაზვიადებას. მოგვიანებით კი მან შეიძინა დამოუკიდებელი ადგილი და გახდა საგანი, მრავალი ლინგვისტისთვის შესწავლის ძირითადი საგანი.

მეტაფორის ცნება თავდაპირველად მოიცავდა მარტივ სიტყვათშეთანხმებას, ხოლო შემდგომში უკვე განიხილებოდა როგორც წინადადება, გამონათქვამი.

მიჩნეულია, რომ მეტაფორა ეფექტურია მაშინ, როდესაც ის არის კოგნიტური თვალსაზრისით დამაჯერებელი და, ამასთანავე, ემოციური რეაქციის გამომწვევი. მეტაფორას აქვს დამარწმუნებელი ძალა, რადგან ის თავის თავში აერთიანებს პრაგმატიკულ, კოგნიტურ და ლინგვისტურ ცოდნას კულტურის, იდეოლოგიისა და ისტორიის გათვალისწინებით (http://semioticsjournal.wordpress.com).

ტრადიციული გაგებით აღიარებულია, რომ მეტაფორა სემანტიკის სფეროს მიეკუთვნება და სრულიადაც არ არის პრაგმატიკის საკითხი. ს. ლევინსონის აზრით, „ნებისმიერი მეტაფორის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ჩანს, მოიცავს ე.წ. „კონოტაციურ ბუნდოვანებას", სიტყვების რამდენადმე შემთხვევით, და არა განმსაზღვრელ მახასიათებლებს, რეფერენტების ფაქტობრივ თვისებებს და, აქედან გამომდინარე, ზოგად ცოდნას სამყაროს შესახებ. ყოველივე ეს კი ცდება სემანტიკის სფეროს" (Levinson 1983:150).

მეტაფორისადმი პრაგმატიკული მიდგომა ემყარება იმ მოსაზრებას, რომ გამონათქვამის მეტაფორული შინაარსი გამომდინარეობს არა სემანტიკური ინტერპრეტაციიდან, არამედ, სემანტიკა უზრუნველყოფს გამონათქვამის პირდაპირი/სიტყვასიტყვითი მნიშვნელობისა თუ ტრადიციული შინაარსის დახასიათებას, ხოლო ამის შემდეგ, კონტექსტთან ერთად, პრაგმატიკამ უნდა უზრუნველყოს მეტაფორული ინტერპრეტაცია (http://semioticsjournal.wordpress.com).

ცნობილია ჯ. ორუელის უარყოფითი დამოკიდებულება ზოგადად პოლიტიკის ენის მიმართ, თუმცა საინტერესოა მისი აზრი მეტაფორასთან მიმართებაში: „ახლად შექმნილი მეტაფორა აზროვნებას ეხმარება ვიზუალური ხატის აღძვრის გზით, მაშინ, როდესაც მეტაფორა პრაქტიკულად „მკვდარია", ფაქტობრივად, ის გადაიქცევა ჩვეულებრივ სიტყვად და შეიძლება, გამოიყენებოდეს ისე, რომ არ დაკარგოს სიცხადე. მაგრამ მეტაფორის ამ ორ

კლასს შუა არსებობს გაცვეთილი მეტაფორების უზარმაზარი ნაგავსაყრელი, რომლებმაც დაკარგეს ემოციების აღმძვრელი ძალა და მხოლოდ იმიტომ გამოიყენება, რომ ადამიანებს ათავისუფლებს ახალი ფრაზების თავად შეთხზვის საჭიროებისაგან" (Orwell 1968:150).

ს. ლევინსონის აზრით, მეტაფორის ინტერპრეტაცია უნდა ეყრდნობოდეს ჩვენს ზოგად უნარ-თვისებებს, ვიაზროვნოთ ანალოგიებით. პ. ფრიდრიხი კი თვლის, რომ „მეტაფორა არის ანალოგიის მხოლოდ ერთი სახეობა და გაცილებით უფრო დიდი კონტექსტის ანალოგიური ხერხებისა და ასოციაციური აზროვნების ნაწილი" (Friedrich 1986:4). ჩვენი გონება ერგება რეალობას ფრეიმების, მეტაფორების, სტერეოტიპების, პროტოტიპების მეშვეობით, რადგან ადამიანები აზროვნებენ სწორედ მათი მეშვეობით, რაც ხშირად არ ჯდება რაციონალურ აქტიურ მოდელში. მეტაფორა აერთებს ერთი სფეროს „ფრეიმებს" მეორე სფეროს „ფრეიმებთან".

ენის გამოყენება პოლიტიკურ დისკურსში შეიძლება აღვიქვათ, როგორც კონკურენცია პოლიტიკურ აქტორთა შორის, რომელთაც სურთ საკუთარი სამყაროს „პრომოცირება". „პოლიტიკა მოიცავს განსხვავებათა შეჯერებას დისკუსიისა და დარწმუნების გზით. აქედან გამომდინარე, კომუნიკაცია მთავარია პოლიტიკისთვის" (http://semioticsjournal.wordpress.com). ცხადია, რომ პოლიტიკური აქტივობა არ არსებობს ენის გამოყენების გარეშე, ხოლო ენის გამოყენებას პოლიტიკურ დისკურსში აქვს თავისი განსაზღვრული პრაგმატიკული დანიშნულება, ანუ ის, თუ რას ისახავს მიზნად ენის ესა თუ ის გამოყენება. პოლიტიკოსთა მეტყველებაში ენის (სხვადასხვა ვერბალური ფორმულირებების) მნიშვნელოვნება აღიარებულია თავად პოლიტიკოსების მიერ. ამიტომაცაა, რომ მიკრო დონეზე ისინი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ენის ფორმულირების და ფრაზეოლოგიის (ე.წ. wording and phrasing) დიზაინს მათ წინაშე მდგარ გამოწვევებზე სათანადოდ რეაგირებისათვის და ამისთვის, ხშირად, პროფესიონალ speech-maker-ებს და ორატორებსაც კი (დღევანდელი ტერმინოლოგიით, PR-ს) მიმართავენ დახმარებისთვის. მიკრო დონეზე (პოლიტიკოსთა ინტერაქციისას) პოლიტიკოსები იყენებენ სხვადასხვა მეთოდს თავიანთი მიზნის მისაღწევად: დარწმუნებას, რაციონალურ არგუმენტაციას, ირაციონალურ სტრატეგიას, მუქარას, ქრთამს, მანიპულაციას

– ნებისმიერ რამეს, რაც მათი აზრით, სასურველ შედეგს მოიტანს. ყველა ამ მეთოდის წარმატებით გამოყენება კი გულისხმობს ენაში არსებული სტრუქტურების, მათ შორის, მეტაფორის, წარმატებით გამოყენებას.

საკვლევი კორპუსი (როგორც ქართული, ისე ფრანგული) გვაძლევს შესაძლებლობას, გავაანალიზოთ კოლოკაციები, რათა ჩავწვდეთ მეტაფორის კოგნიტურ მოტივაციასა და ექსპრესიულ კონოტაციას. „ტრადიციული და კოგნიტური სემანტიკის პრაგმატიკულ მიდგომებთან გაერთიანებით კიდევ უფრო ნათელი ხდება მეტაფორის მნიშვნელობა დარწმუნების ენაში" (http://semioticsjournal.wordpress.com).

პოლიტიკურ დისკურსში დარწმუნების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი, შეიძლება ითქვას, არის მეტაფორა, ხოლო ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი თემა პოლიტიკური რიტორიკის მკვლევართათვის არის სწორედ იმის გაანალიზება, თუ რატომ ვერ მოიპოვა გამარჯვება ამ თუ იმ კანდიდატმა. პასუხიც მზადაა – იმიტომ, რომ სწორად ვერ გამოიყენა რიტორიკული ხერხები ამომრჩეველთა მისამხრობად. პოლიტიკური კუთხით, მნიშვნელობა აქვს მოსაუბრის/მთქმელის სანდოობას. დაეჯერება თუ არა მთქმელს, სავარაუდოდ, ეს მთელი რიგი სოციალურ-ფსიქოლოგიურ გარემოებათა კომპლექსური ჯაჭვია. იმის გამო, რომ ხშირად ფიზიკური რესურსები, რომლებიც მხარს უმაგრებს ამა თუ იმ პრაგმატიკულ მიზანდასახულებას, ყოველთვის არ არის ვიზუალურად წარმოდგენილი, ვერბალურ კომუნიკაციას საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ დისკურსში.

კონცეპტუალური მეტაფორის, როგორც შემდგომ გავრცელებული ტერმინის შემოღება ეკუთვნის კოგნიტური ლინგვისტიკის წარმომადგენლებს ლაკოფსა და ჯონსონს. კოგნიტური თეორიის თანახმად, რომელიც სწავლობდა ადამიანის ცნობიერებაში ინფორმაციის შენახვისა და გადამუშავების სქემებს, რეალობის კლასიფიკაციის მოსახდენად მეტაფორა საუკეთესო ხერხია. მისი მეშვეობით ჩვენ გვეძლევა საშუალება ვიფიქროთ რაიმე კონკრეტულ სფეროზე მეორის გამოყენებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯ. ლაკოფი და მ. ჯონსონი კონცეპტუალურ მეტაფორას „სხეულის" ანუ კოგნიტურ მეტაფორას უწოდებენ. ყველა ადამიანის პირველ გამოცდილებას მისი სხეული წარმოადგენს. მკვლევართა აზრით, მხოლოდ საკუთარი სხეულიდან გამომდინარე ადამიანი იძენს გარკვეულ გამოცდილებას. მის საპასუხოდ ფსიქიკაში ჩამოყალიბდება წარმოსახვით-სქემატური ხატები. შემდგომში კი მათი გამოყენება ხდება აბსტრაქტული ცნებების განსასაზღვრად.

კონცეპტუალური მეტაფორის მეშვეობით ადამიანი ახერხებს აბსტრაქციის განსაზღვრას საკუთარი სხეული გამოცდილებიდან. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი გამოთქმები:

„ისე შორს, რომ თვალიც ვერ მიწვდება" (ძალიან შორს)
„სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა" (სხვის საქმეში ჩარევა)
„საკუთარი მხრებით გატანა" (დამოუკიდებლად გაკეთება)
„ყურის დაგდება" (მოსმენა) და მრავალი სხვ.

მოტანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ აბსტრაქტული რეალობის განსაზღვრისა და დაკონკრეტებისთვის მოსაუბრე იყენებს საკუთარი სხეულისთვის ჩვეული და ნაცნობი ჟესტების სახელებს.

«Votre âme est un paysage choisi» (თქვენი სული რჩეული პეიზაჟია);
«Verser des torrents de larmes» (ცრემლების ჩანჩქერების გადმოსხმა);
«L'oeil d'un homme est une fenêtre» (ადამიანის თავალი ფანჯარაა).

ჩვენი მსოფლიოს ნებისმიერი ენა აღსავსეა მსგავსი მაგალითების აუარებელი რაოდენობით.

როგორც ვხედავთ, თითოეული გამონათქვამი წარმოადგენს გარკვეული აბსტრაქტული გარემოების კონკრეტულ მატერიალურ განსაზღვრებას და

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი მათგანი ემოციური ელფერის მატარებელია.

კონცეპტუალური მეტაფორა ჩნდება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში. იგი განსაზღვრას არა მხოლოდ ჩვენს ურთიერთობებს საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან, არამედ ჩვენი ფიქრის თუ მოქმედების პროცესებსაც. ჯორჯ ლაკოფისა და მარკ ჯონსონის წიგნში „მეტაფორის თანამედროვე თეორია'', ჩვენ ვხედავთ თუ რამდენ მეტაფორას ვიყენებთ ყოველდღიურად ისე, რომ მათ ვერც კი ვამჩნევთ.

მეცნიერებს მაგალითად მოჰყავთ მეტაფორა „ომის მსგავსი დავა'', საიდანაც გამომდინარეობენ ისეთი გამოთქმები, როგორიცაა „მოიგო დავა'', „მოწინააღმდეგის არგუმენტებს მიაყენა დარტყმა''. ჩვენს ცნობიერებაში დავა, კამათი ყველაზე ხშირად ასოცირდება ომთან, რომელიც უდავოდ უნდა მოვიგოთ. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული ცნებები შეგვიძლია გამოვხატოთ სხვა სიტყვებითაც, თუმცა ამას თითქმის ვერსად ვერ ვაგნებთ.

კონცეპტუალურ ანუ კოგნიტურ მეტაფორებს ასევე ხშირად ვხვდებით როგორც დამხმარე ხერხებს თეორიების და მოდელების გაგებისთვის. ასეთ შემთხვევაში ყველაზე ხშირად ვაწყდებით შემდეგ გამოთქმებს:

„მან გადმოიღო ეს იდეა'';
„ერთი აზრი მეორეს დაუკავშირა'' და ა. შ.

გავიხსენოთ, რომ ამ წინადადებებს საკმაოდ დიდი სიხშირით ვიყენებთ ყოველდღიურობაში, რაც იმის დასტურია, რომ ნებისმიერი კომუნიკაცია ეყრდნობა მეტაფორებს, როგორს საძირკველს.

აღსანიშნავია, რომ მეტაფორები, პირველ რიგში, განსაზღვრავენ აზროვნების პროცესებს და არა მხოლოდ ენობრივ ტექნიკებს. კონცეპტუალური მეტაფორები ეფუძნებიან მარტივი მეტაფორების სიმრავლეს და ლინგვისტური კუთხით განსაზღვრავენ ისეთ გლობალურ და აბსტრაქტულ ცნებებს, როგორიცაა კოსმოსი, დრო, მოქმედება და მრავალი სხვ.

უმეტეს შემთხვევაში კონცეპტუალური მეტაფორის მიზანს წარმოადგენს გაშლილი და ფართო ცნება, ხოლო მისი გამოხატვის საშუალება უმეტესწილად კონკრეტული, ფიზიკური სხეულის გამოცდილებიდან გამომდინარე განსაზღვრებებია. ისეთ გამოთქმებში, როგორიცაა:

„დროის დათმობა";
„დროის გასწრება";
„დროის საპირისპიროდ რბოლა".

დროის აბსტრაქტული ცნება უთანაბრდება კონკრეტულ სარბიელს - გზას. თუმცა განსხვავებულ მოსაუბრესთან ზემოთ მოტანილი მეტაფორები ხშირად ემსახურებიან განსხვავებულ მიზანს. ზოგიერთ მათგანთან ეს გამოთქმები ატარებს ნეგატიურ ელფერს, ხოლო სხვისთვის ისინი აღნიშნავენ წარმატებას და დადებით მიღწევებს.

თანამედროვე ნაშრომებში მეცნიერები განიხილავენ პოლიტიკოსთა მიერ კონცეპტუალური მეტაფორის ხმარების ხერხებს, მათ ენობრივ-კულტურულ თავისებურებებს და, რასაკვირველია, მათ მიზანს თუ სამიზნე ჯგუფს.

აღინიშნება რომ ექსტრემისტული დაჯგუფებების პოლიტიკური დისკურსები გამოირჩევა კონცეპტუალური მეტაფორების სიუხვით. მაგალითად, მემარჯვენე რადიკალები გამუდმებით ხმარობენ ავადმყოფობების, მიკრობების და ვირთხების სფეროებთან დაკავშირებულ მეტაფორებს. ცნობილია, რომ მსგავსი მეტაფორებით იყო აღსავსე ფაშისტური გერმანიის ლიდერთა პოლიტიკური დისკურსები, სადაც ჰიტლერი გამოდიოდა მშველელი ექიმის როლში, რომელიც ხალხს გაათავისუფლებდა მსგავსი დაავადებებისგან.

დემოკრატიისა და ეკონომიკური სტაბილურობის მქონე ქვეყნებში ჭარბობს სახლის, ოჯახის, ბუნების ცნებებთან დაკავშირებული მეტაფორები.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი გამოკვლევების სადემონსტრაციოდ წარმოვადგენთ ნაწყვეტს ფილმიდან „უსახელო ნაბიჭვრები", რომელიც რეჟისორმა კვენტინ ტარანტინომ გადაიღო 2008 წელს.

ფილმის მოქმედება მიმდინარეობს მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთში.

ქვემოთმოყვანილ ნაწყვეტში გერმანელების ჯარის წარმოშობით ავსტრიელი ოფიცერი ესტუმრება ფრანგ გლეხს, რომლის ოჯახშიც ევალება დამალული ებრაელების პოვნა. გლეხსა და ოფიცერს შორის იმართება შემდეგი დიალოგი:

„ (...)

- ბატონო ლაბადიდ, იცით ფრანგებმა რა მეტსახელი შემარქვეს?

- მსგავსი რაღაცეები არ მაინტერესებს.

- მაგრამ ხომ იცით, რაც შემარქვეს?

- დიახ, ვიცი.

- აბა, რა შემარქვეს?

- ჰერცი.

- ებრაელებზე მონადირე.

- სწორედ ასეა. ვიცი, არ გინდოდათ ჩემი თანდასწრებით გეთქვათ, ჰეიდრიხს აცოფებს პრაღელების მიერ შერქმეული მეტსახელი. ვერ გავიგე, რატომ აცოფებს?! რატომ არ მოსწონს მეტსახელი ჯალათი?! მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს მეტსახელი დაემსახურებინა... მე კი, პირიქით, ჩემი არაოფიციალური ტიტული ძალიან მომწონს, რადგან მე ის დავიმსახურე. გერმანელი ჯარისკაცების უმეტესობისგან განსხვავებით, მე შემიძლია ებრაელებივით ვიაზროვნო. ამიტომაც ჩემი ნადირობა, უმეტესწილად, წარმატებულია. დანარჩენები კი, გერმანელებივით აზროვნებენ. უფრო სწორედ კი, გერმანელი ჯარისკაცებივით ირჯებიან. თუ გერმანელს რომელიმე მტაცებელს შევადარებთ, არწივის შორსმჭვრეტელი და დაუნდობელი ბუნება გაგვახსენდება. აი ებრაელები კი, უფრო ვირთხებს გვანან. ფიურერი და გებელსი ამას თითქმის ყოველი გამოსვლისას აღნიშნავენ. მათგან განსხვავებით, ეს შედარება შეურაცყოფად არ მიმაჩნია... წარმოიდგინეთ სამყარო, რომელშიც ვირთხა ცხოვრობს. კაცისადმი მტრულად განწყობილი

სამყაროა. ახლა აქ ვირთხამ რომ გაირბინოს, თქვენ მას მტრულად შეხვდებით...

- ალბათ...

- მაგრამ ვირთხას რომ თქვენთვის არაფერი დაუშავებია? რას ერჩით მას?

- ვირთხები იკბინებიან და დაავადებებს ავრცელებენ.

- მართალია. ვირთხებმა შავი ჭირის ეპიდემია გამოიწვიეს, მაგრამ ეს დიდი ხნის წინ მოხდა. თუ არ ვცდები, იგივე დაავადებების გამოწვევა სხვა ცხოველებსაც შეუძლია, მაგალითად, ციყვებს. მეთანხმებით?

- დიახ.

- მაგრამ ციყვები უფრო გიყვართ, ვიდრე ვირთხები. ხომ ასეა?

- დიახ.

- ორივე მღრღნელია, მხოლოდ კუდებით განსხვავდებიან.

- საინტერესო მოსაზრებაა, პოლკოვნიკო.

- მაგრამ ეს საინტერესო მოსაზრება თქვენს დამოკიდებულებას მაინც არ შეცვლის. ახლა აქ ვირთხა რომ შემოვიდეს, თქვენს შესანიშნავ რძეს არ მიართმევთ.

- ალბათ არა.

- ასეც ვფიქრობდი... თქვენ ისინი გეზიზღებათ, არ იცით რატომ, მაგრამ მაინც გეზიზღებათ. ახლა ასეთი რამე წარმოიდგინეთ: გერმანელმა ჯარისკაცმა უნდა გაჩხრიკოს სახლი, სადაც, შესაძლოა, ებრაელები იმალებოდნენ... სად ეძებს არწივი? - სარდაფში, სხვენზე, საკუჭნაოში, იქ, სადაც თვითონ დაიმალებოდა... მაგრამ არსებობს უამრავი ადგილი, სადაც არწივი არასდროს დაიმალება... ამიტომაც ფიურერმა ავსტრიის ალპებიდან აქ, საფრანგეთის მდელოებზე გამომგზავნა... იმიტომ, რომ მე ვიცი სად უნდა ვეძებო... მე ვიცი, რომ ღირსებადაკარგული ადამიანი ყველაფერზე წავა... შეიძლება მეც მოვწიო?

- რა თქმა უნდა, ბატონო პოლკოვნიკო(...)'

მოტანილ ნაწყვეტში რეჟისორმა და სცენარისტმა სწორად და კლასიკურად წარმოგვიდგინეს გერმანელი ნაცისტებისთვის ჩვეული მეტაფორების პანორამა: ვირთხები, არწივები, მათთვის დამახასიათებელი ქმედებები და ა. შ.

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ მხატვრული ფილმის ავტორები გვესაუბრებიან დისკურსის დიდ გავლენაზე, რომელსაც იგი ახდენს მსმენელზე - ავსტრიელი ოფიცრის საუბრის მოსმენის შედეგად ფრანგი გლეხი გასცემს მის სახლში დამალულ ებრაელებს, საკუთარი თვითშეგნების და მრწამსის მიუხედავად.

## 3.6. კონცეპტუალური ინტეგრაციის თეორია

თეორია კონცეპტუალური მეტაფორის შესახებ არ გახლავთ ერთადერთი კონცეფცია, რომელიც სწავლობს მეტაფორის კოგნიტურ ხასიათს. ამერიკელმა ლინგვისტებმა ჟ. ფოკონიემ და მ. ტერნერმა შემოგვთავაზეს საკითხის ალტერნატიული განხილვა. მათ შექმნეს კონცეპტუალური ინტეგრაციის თეორია. მათი თქმით, ჯ. ლაკოფისა და მ. ჯონსონის მიერ შექმნილი თეორია არ გვთავაზობს მეტაფორის თანამიმდევრულ და ღრმა ანალიზს და რომ მათი კონცეფცია ატარებს უფრო ადეკვატურ და დეტალურ ხასიათს.

კონცეპტუალური ინტეგრაციის თეორია წარმოადგენს ადამიანის მენტალური სივრცეების შესწავლის ინსტრუმენტს. ჟ. ფოკონიე მენტალურ სივრცეებს შეუსაბამებს a, b, c და ა. შ. ლოგიკურად განლაგებულ ელემენტებს და ფართოდ განიხილავს მათ თანხვედრებს. მაგალითად, R1 af , R3 dg , R4 ab და ა. შ.

ამგვარი მიდგომა იმის მაუწყებელია, რომ მენტალურ სივრცეებს გააჩნიათ ერთმანეთის შევსების და სრულყოფის უნარი, რითიც წარმოიქმნება კოგნიტური აღქმის მოდელები.

აქედან გამომდინარე, მენტალური სივრცე არ გახლავთ რეალობის ანარეკლი, ეს გახლავთ ადამიანური აღქმის სურათი. მაგალითად:

„გული წაუვიდა";

„მზე მიიმალა";

„საფრთხე მოახლოვდა".

ფოკონიესთვის, ისევე როგორც კოგნიტური თეორიის ყველა სხვა მიმდევარისთვის, ენა გარე სამყაროს უკავშირდება მხოლოდ ადამიანის გონებრივი შესაძლებლობების გზით. მეტაფორები ასრულებენ ე. წ. ინსტრუქციების როლს, რომლებიც გვეხმარებიან „მენტალურ კონსტრუირებაში" (http://www.ourcivilisation.com/pc.htm).

მეცნიერი ცდილობდა აღნიშნული პროცესის მოდულირებას სწორედ ზემოხსენებული მენტალური სივრცეების დახმარებით (Fauconnier 1985:43).

კომუნიკაციის დროს გამუდმებით მიმდინარეობს მენტალურ სივრცეთა ჩანაცვლება - გადაადგილება. ყოველი ახალი მეტაფორის გაჩენისთანავე წარმოიქმნება ახალი სივრცეების რიგი, ხოლო ძველები გადადის უკანა პლანზე, ხოლო შემდეგ ისინი ისევ ტივტივდებიან გონების ზედაპირზე, ანდა ავსებენ ახალ ხატებს. ფოკონიეს მიხედვით, სივრცეებს შორის არსებობს შემდეგი კავშირები: ანალოგიური, მეტაფორული და მეტონომიური. ხოლო ერთი სივრცის მეორეში ჩართვით მიღებულ ელემენტს იგი უწოდებს „მშობლიურ სივრცეს" (parent space) (http://www.ourcivilisation.com/pc.htm).

მენტალურ სივრცეთა შორის არსებულ კავშირს მეცნიერები ჟ. ფოკონიე და მ. ტერნერი შეისწავლიან კონცეპტუალური ინტეგრაციის, ანუ ბლენდინგის თეორიის ფარგლებში.

კონცეპტუალური ინტეგრაციის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ძველი მენტალური სივრცეების ხატები ისახებიან და ფორმირდებიან ახალ სივრცეებში ე. წ. „ბლენდებში". ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი ახალი „ბლენდი" ძველი მენტალური სივრცეების მარტივი ერთიანობა თუ კავშირი კი არ გახლავთ, არამედ იგი წარმოგვიდგება, როგორც ავტონომიური, სრულიად ახალი ელემენტი. იგი ჰგავს ახალშობილ ბავშვს, რომელსაც მემკვიდრეობით გადმოეცა წინაპრების გენები და რომელიც გამუდმებით ისწრაფვის გაზრდისა და სრულყოფისკენ (Fauconnier 1985:67-82).

ავტორების თანახმად, კონცეპტუალური ინტეგრაცია წარმოადგენს ადამიანის ერთ-ერთ უმთავრეს კოგნიტურ უნარს და მნიშნელოვან როლს თამაშობს მის ყოველდღიურ აზროვნებაში. იგი გამოირჩევა დინამიურობით და მოქნილობით, მის გარეშე არ არსებობს არც ერთი ნააზრევი, დისკურსი, დებატი, დასკვნა, შეფასება და ა. შ.

ფოკონიე და ტერნერი განიხილავენ კონცეპტუალური ინტეგრაციის (Fauconnier 1985:67-82) მექანიზმს განსხვავებულ მასალაში, როგორიცაა მხატვრული ლიტერატურა, გამოცანები, ანდაზები, კარიკატურა, დებატი და სხვ. ახალი თეორიის მეშვეობით მეცნიერები ხსნიან არაერთ ენაში დამკვიდრებულ გრამატიკულ სტრუქტურას. აღნიშნულ მიდგომაში მთავარ როლს თამაშობენ მეტაფორები.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთჩამოთვლილი თეორიების შეპირისპირებას და შედარებით ანალიზს არ მივყავართ რაიმე კონკრეტულ დასკვნამდე. ცალსახა რჩება ის გარემოება, რომ მეტაფორის კოგნიტური ხასიათი კვლავ რჩება მკვლევართათვის ამოცანად, რომლის რაობის გაგება-ჩამოყალიბებისთვის დღესდღეისობით მუშაობს არა ერთი გამოჩენილი მეცნიერი.

თუმცა არსებობს ერთი უტყუარი ფაქტი - თანამედროვე ლინგვისტიკაში მეტაფორა აღარ განიხილება როგორც მშრალი გრამატიკული კომპონენტების ნაკრები, მისი კოგნიტური ხასიათი უტყუარი ფაქტია, რომლის შექმნა-ჩამოყალიბებაში მონაწილეობს არა მხოლოდ მისი ავტორი, არამედ მსმენელსაც ეკისრება უმნიშვნელოვანესი როლი.

## 3.7. პოლიტიკური დისკურსის როლი საომარი კონფლიქტების გადაწყვეტისას

ზემოთმოყვანილ თავებში შევეცადეთ ნათლად წარმოგვედგინა და განგვეხილა, თუ რამდენიად დიდ ზეგავლენას ახდენს ზოგადად დისკურსი და, მათ შორის, პოლიტიკური დისკურსი მსმენელის თვითშეგნებაზე, იდეოლოგიასა და განწყობაზე. წარმოთქმულ სიტყვას შესწევს დიდი უნარი რადიკალურად შეცვალოს მისი ადრესატის ფსიქოლოგიური განწყობა, მოტივაცია, დასახული მიზანი და ა. შ.

სწორედ დისკურსის ამ თვისებებით განპირობებულია ის ფაქტი, რომ პოლიტიკოსები მას ყველაზე ხშირად მიმართავენ პოლიტიკურად დაძაბული ვითარების პერიოდში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ჩვენი ისტორიის მიერ შემონახული ყველაზე ეფექტური და პოპულარული პოლიტიკური დისკურსები წარმოთქმულია ომის ან საბრძოლო ვითარების დროს.

საფრანგეთი და საქართველოც არ წარმოადგენენ გამონაკლისს.

ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ, თუ როგორი კონცეპტუალური დატვირთვა აქვს საფრანგეთსა და საქართველოში არსებული საბრძოლო ვითარებების დროს წარმოთქმულ ფრანგი, სხვადასხვა ეპოქის ორი პოლიტიკოსის - შარლ დე გოლის და ნიკოლა სარკოზის მიერ წარმოთქმულ დისკურსებს.

### 3.7.1. კონცეპტუალური მეტაფორა - სიტყვათშეტანხმებიდან ტექსტამდე

შარლ დე გოლი გახლდათ ფრანგი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, საფრანგეთის პრეზიდენტი (1958-69). საფრანგეთში მას ყველაზე ხშირად მოიხსენიებენ როგორც „გენერალი დე გოლი".

ომამდე მან სახელი გაითქვა, როგორც სატანკო ტაქტიკოსმა და მძიმე ტექნიკისა და ავიაციის კონცენტრირებულად გამოყენების მომხრე სტრატეგმა. მეორე მსოფლიო ომის დროს იყო თავისუფალი საფრანგეთის მოძრაობის ლიდერი და დროებითი მთავრობის მეთაური 1944-46 წლებში. 1958 წელს მისი მოწოდებით შეიქმნა ახალი მთავრობა, მან მნიშვნელოვანი წვლილი გაიღო ახალი კონსტიტუციის შექმნაში და იყო მეხუთე რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი 1958-69 წლებში. მისი პოლიტიკური იდეოლოგია ცნობილია, როგორც გოლიზმი, და მან დიდი გავლენა იქონია ფრანგული პოლიტიკის შემდგომ განვითარებაზე.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საფრანგეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ე. წ. „წინააღმდეგობის მოძრაობა" (la Résistance française). გენერალი შარლ დე გოლი გახლდათ აღნიშნული პარტიზანული ბრძოლის სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ წინააღმდეგობის მოძრაობა იმართებოდა ლონდონიდან რადიო გადაცემების მეშვეობით. ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში მთავარ იარაღს წარმოადგენს დისკურსი. შარლ დე გოლი სისტემატიურად ფრანგ ხალხს მიმართავდა რადიო ტალღებზე. მისი დისკურსები იყო იმდენად მრავლისმომცველი და ოსტატურად ჩამოყალიბებული, რომ ღრმად შთააგონებდა ფრანგი ხალხის ცნობიერებას და იდეურ მრწამსებს.

შარლ დე გოლი გახლდათ ღრმად განათლებული პიროვნება, რომელიც კარგად იცნობდა და ფლობდა დისკურსის ხელოვნების ტექნიკას. ფსიქოლოგიური, იდეური, ორატორული შეფერვის გარდა საინტერესო და

ყურადღება მისაქცევია აღნიშნული დისკურსების ლინგვისტური მხარე. გენერალი ფართოდ იყენებს ფრანგული ენის საუკუნეობრივ სიმდიდრეს და ენობრივ კონსტრუქციებს, იდეალურად ფლობს აზრის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელ მხატვრულ ხერხებს და ენობრივ ნიუანსებს.

შარლ დე გოლის დისკურსები სამაგალითო გახდა ბევრი პოლიტიკოსისთვის. ლინგვისტები და  სხვა დარგის მეცნიერები დღემდე სწავლობენ და აანალიზებენ მის გამოსვლებს.

დე გოლის პოლიტიკური გამოსვლები უმრავლეს შემთხვევაში მეტაფორული ხასიათისაა. როგორც სხვა პოლიტიკოსების დისკურსებში, აქაც მრავლად ვხვდებით მეტაფორის თითქმის ყველა სახეობას.

ტერმინის - კონცეპტუალური მეტაფორის გაჩენის შემდეგ მეცნიერები უკვე განიხილავენ და შეისწავლიან აღნიშნულ ასპექტსაც.

ჩვენს ნაშრომში თავს უფლებას მივცემთ შევძინოთ მეტაფორას უფრო ფართო და მრავლისმომცველი ხასიათი, ანუ აღნიშნულ ჭრილში განვიხილავთ მთელ ტექსტს.

1942 წლის 24 დეკემბერს, გენერალმა შარლ დე გოლმა ლონდონიდან მიმართა გერმანელების მიერ დაპყრობილი საფრანგეთის ბავშვებს და მიულოცა დამდეგი შობის დღესასწაული:

«Quel bonheur, mes enfants, de vous parler ce soir de Noël. Oh ! je sais que tout n'est pas gai, aujourd'hui, pour les enfants de France. Mais je veux, cependant, vous dire des choses de fierté, de gloire, d'espérance.

Il y avait une fois : la France ! Les nations, vous savez, sont comme des dames, plus ou moins belles, bonnes et braves. Eh bien ! parmi mesdames les nations, aucune n'a jamais été plus belle, meilleure, ni plus brave que notre dame la France. Mais la France a une voisine brutale, rusée, jalouse : l'Allemagne. L'Allemagne, enivrée d'orgueil et de méchanceté, a voulu, un beau jour, réduire en servitude les nations qui l'entouraient. Au mois d'août 1914, elle s'est donc lancée à l'attaque.

Mais la France a réussi à l'arrêter sur la Marne, puis à Verdun. D'autres grandes nations, l'Angleterre, l'Amérique, ont eu ainsi le temps d'arriver à la rescousse. Alors, l'Allemagne, dont le territoire n'était nullement envahi, s'est écroulée tout à coup. Elle s'est rendue au Maréchal Foch. Elle a demandé pardon. Elle a promis, en pleurant, qu'elle ne le ferait plus jamais. Il lui restait d'immenses armées intactes, mais il ne s'est pas trouvé un seul Allemand, pas un seul ! pour tirer même un coup de fusil après la capitulation.

Là-dessus, les nations victorieuses se sont séparées pour aller chacune à ses affaires. C'est ce qu'attendait l'Allemagne. Profitant de cette naïveté, elle s'est organisée pour de nouvelles invasions. Bientôt, elle s'est ruée de nouveau sur la France. Et, cette fois, elle a gagné la bataille.

L'ennemi et ses amis prétendent que c'est bien fait pour notre nation d'avoir été battue. Mais la nation française, ce sont vos papas, vos mamans, vos frères, vos sœurs. Vous savez bien, vous, mes enfants, qu'ils ne sont pas coupables. Si notre armée fut battue, ce n'est pas du tout parce qu'elle manquait de courage, ni de discipline. C'est parce qu'elle manquait d'avions et de chars. Or, à notre époque, tout se fait avec des machines, et les victoires ne peuvent se faire qu'avec les avions, les chars, les navires, qui sont les machines de la guerre. Seulement, malgré cette défaite, il y a toujours des troupes françaises, des navires de guerre et des navires marchands français, des escadrilles françaises, qui continuent le combat. Je puis même vous dire qu'il y en a de plus en plus et qu'on parle partout dans le monde de ce qu'ils font pour la gloire de la France.

Pensez à eux, priez pour eux, car il y a là, je vous assure, de très bons et braves soldats, marins et aviateurs, qui auront à vous raconter des histoires peu ordinaires quand ils seront rentrés chez eux. Or, ils sont sûrs d'y rentrer en vainqueurs, car nos alliés, les Anglais et les Russes, ont maintenant des forces très puissantes, sans compter celles que préparent nos alliés les Américains. Toutes ces forces, les Allemands n'ont plus le temps de les détruire, parce que, maintenant, en Angleterre, en Russie, en Amérique, on fabrique d'immenses quantités d'avions, de chars, de navires. Vous verrez un jour toute cette mécanique écraser les Allemands découragés et, à mesure qu'ils reculeront sur notre territoire, vous verrez se lever de nouveau une grande armée française.

Mes chers enfants de France, vous avez faim, parce que l'ennemi mange notre pain et notre viande. Vous avez froid, parce que l'ennemi vole notre bois et notre charbon, vous souffrez, parce que l'ennemi vous dit et vous fait dire que vous êtes des fils et des filles de vaincus. Eh bien ! moi, je vais vous faire une promesse, une promesse de Noël. Chers enfants de France, vous recevrez bientôt une visite, la visite de la Victoire. Ah ! comme elle sera belle, vous verrez !...»

---

„რა ბედნიერებაა, ბავშვებო, ამ შობის საღამოს თქვენთან საუბარი! ოჰ, ვიცი, რომ საფრანგეთის ბავშვებისთვის დღეს ყველაფერი მხიარულად არ არის. თუმცა მსურს გესაუბროთ სიამაყეზე, დიდებასა და იმედზე.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი საფრანგეთი! იცით, ერები ქალბატონებს, მეტ-ნაკლებად ლამაზ ქალბატონებს გვანან, ისინი არიან კეთილები და მამაცები! ამ ქალბატონებს შორის ყველაზე ლამაზი, საუკეთესო და მამაცი ჩვენი ქალბატონი საფრანგეთი იყო. მაგრამ საფრანგეთს ჰყავდა უხეში, ეშმაკი და მოშურნე მეზობელი - გერმანია. პატივმოყვარეობითა და ბოროტებით დამთვრალმა გერმანიამ ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა მეზობელი ერების დამონება. 1914 წლის აგვისტოში ის გადავიდა თავდასხმაზე.

მაგრამ საფრანგეთმა მოახერხა მისი ჯერ მარნაზე, ხოლო შემდეგ ვერდენთან გაჩერება. ამასობაში სხვა დიდმა ნაციებმა-ინგლისმა, ამერიკამ მოახერხეს ჩვენს გადასარჩენად მოსვლა. მაშ, გერმანია, რომლის ტერიტორიაც არ იყო დაპყრობილი, უცებ ჩამოინგრა. მან მიმართა მარშალ ფოშს. მან მოიხადა ბოდიში. ტირილით დადო პირობა, რომ მსგავს რამეს არასოდეს გააკეთებდა. დარჩენილ უამრავ ჯარებს შორის არც ერთი აღარ დარჩა გერმანული, რათა კაპიტულაციის დროს თოფი გაესროლა.

მერე გამარჯვებული ნაციები დაშორდნენ და თითოეული თავის საქმეზე წავიდა. სწორედ ამას ელოდა გერმანია. მან გამოიყენა ეს გულუბრყვილობა და დაიწყო ახალი დაპყრობები. სულ მალე ის ხელახლა დაესხა საფრანგეთს. და ამჯერად მოიგო ბრძოლა.

მტრები და მისი მეგობრები ამტკიცებდნენ, რომ ამით კარგი გაუკეთეს ჩვენს ნაციას. მაგრამ ფრანგული ნაცია შედგება თქვენი მამიკოებისგან, დედიკოებისგან, ძმებისგან და დებისგან. თქვენ მშვენივრად იცით, ჩემო ბავშვებო, რომ ისინი არ არიან დამნაშავეები. ჩვენი ჯარის წაგება არ არის გამოწვეული იმით, რომ მათ აკლდათ სიმამაცე ან დისციპლინა. მათ აკლდათ თვითმფრინავები და ტანკები. ჩვენს დროში ყველაფერი კეთდება საბრძოლო მანქანების დახმარებით, თვითმფრინავებს, ტანკებს, გემებს, საბრძოლო მანქანებს მოაქვთ გამარჯვება. მიუხედავად ამ მარცხისა ჩვენ მაინც გვყავს ფრანგული დაჯგუფებები, ფრანგული საბრძოლო და სავაჭრო გემები, ფრანგული ესკადრილიები, რომლებიც აგრძელებენ ბრძოლას. უფრო მეტსაც გეტყვით, ისინი დღითიდღე მრავლდებიან და უკვე მთელი მსოფლიო საუბრობს საფრანგეთის დიდებაზე.

იფიქრეთ მათზე, ილოცეთ მათთვის, რადგანაც გარწმუნებთ, რომ გვყავს ძალიან კარგი და მამაცი ჯარისკაცები, მეზღვაურები და ავიატორები, რომლებიც უჩვეულო ამბებს მოგიყვებიან შინ დაბრუნებისას. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ დაბრუნდებიან გამარჯვებულნი, რადგან ჩვენს მოკავშირეებს - ინგლისელებს და რუსებს ახლა ჰყავთ ძალიან მძლავრი ძალები, რომ აღარ ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რას ამზადებენ ჩვენი მოკავშირე ამერიკელები. გერმანელებს აღარ რჩებათ დრო, რომ გაანადგურონ ყველა ეს ძალა, რადგანც ახლა ინგლისში, რუსეთში, ამერიკაში მზადდება თვითმფრინავების, ტანკების, გემების აურაცხელი რაოდენობა. ერთ მშვენიერ დღეს თქვენ ნახავთ, თუ როგორ გასრისავს მთელი ეს ტექნიკა იმედგაცრუებულ გერმანელებს, ისინი დაიხევიან საფრანგეთის ტერიტორიიდან და თქვენ კვლავ იხილავთ ხელახლა აღმდგარ დიდ ფრანგულ ჯარს.”

აღნიშნული ტექსტის განხილვამდე შევეცდებით წარმოვადგინოთ მეტაფორის და, მათ შორის, კონცეპტუალური მეტაფორის პროგრესირების სავარაუდო სქემა:



იმისათვის, რომ უკეთესად დავინახოთ შარლ დე გოლის მოცემული დისკურსის გლობალურად მეტაფორული ხასიათი, განვიხილოთ ტექსტი დეტალურად.

აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ: მიუხედავად იმისა, რომ გენერალი თითქოსდა საფრანგეთის ბავშვებს მიმართავს, მისი დისკურსი განკუთვნილია მთელი ფრანგული ერისთვის და შესაბამისად, იგი უნდა განვიხილოთ, როგორც პოლიტიკოსის კარგად გათვლილი და გამიზნული გამოსვლა.

ტექსტი იწყება მიმართვით «mes enfants» (ჩემო ბავშვებო). სიტყვა „ბავშვის'' კონოტაცია მრავალმხრივია და არ იხმარება მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით. ყველაზე მისი ფართო ხმარება ვლინდება ერის, ხალხის, როგორც «ქვეყნის შვილების» ხსენებაში. «Allons enfants de la patrie» ფრაზით იწყება ფრანგული ჰიმნიც. აღნიშნული კნინობითი ფორმა მრავალი სიმბოლოს და იდეის მატარებელია. აქ აბსტრაქტული ქვეყანა დადის კონკრეტული მოალერსე დედის სახემდე, ხოლო თითოეულ მოქალაქეს საშუალება ეძლევა თავი იგრძნოს მის ერთადერთ საყვარელ შვილად. თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტიც, რომ ბავშვობა ჩვენი ცხოვრების ყველაზე ტკბილი პერიოდია და ასოცირდება სითბოსთან, ზრუნვასა და სიყვარულთან.

ამგვარი მიმართვით გენერალი უკვე ბადებს მთელ რიგ დადებით გრძნობებს თავის მსმენელში.

მიმართვისთვის ნარატორმა აირჩია გასაოცარი პერიოდი - შობის ღამე. ყველასთვის ცნობილია, რომ ჩვენს ცნობიერებაში ეს დრო ასოცირდება სასწაულებთან, სურვილებისა და ოცნებების ახდენასთან. არა მხოლოდ პატარები, არამედ ზრდასრული ადამიანებიც შობის ღამეს იფიქრებენ სურვილებს და იმედი აქვთ, რომ ისინი აუცილებლად აუხდებათ. ამგვარი დროის მონაკვეთის არჩევით შარლ დე გოლი უკვე დარწმუნებულია მსმენელის კეთილგანწყობასა თუ მის ფსიქოლოგიურ და იდეურ მზადყოფნაში. შემთხვევით არ არის, რომ მრავალი ლინგვისტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დისკურსის დროს, რაც მოცემულ სიტუაციაში წარმოადგენს თვალნათელ მაგალითს.

თავის საუბრის დასაწყისშივე გენერალი იყენებს ისეთ სიტყვებს, როგორიცაა «fierté», «gloire», «espérance». გარკვეულწილად იმედგაცრუებული, დამარცხებული ხალხისთვის ეს იმედისმომცემი და სულიერი განწყობის ასამაღლებელი გამოთქმები იმთავითვე განაპირობებენ მსმენელის მეტ ყურადღებას და დადებით განწყობას.

შარლ დე გოლი თავის გამოსვლის მეორე აბზაცს იწყებს ზღაპრის შესავალი ფრაზით - « Il y avait une fois» (იყო და არა იყო რა). აღნიშნული ხერხი უკვე აშკარად მიგვანიშნებს მთელი გამოსვლის მეტაფორულ ხასიათზე.

მეტაფორის ტრადიციული განმარტება არის ერთი საგნის, მოვლენის მეორის საშუალებით წარმოდგენა, ხოლო კონცეპტუალური მეტაფორა გვესაუბრება აბსტრაქტული, ფართო ცნების კონკრეტული და ნაცნობი ფიზიკური საგნით გამოხატვაზე.

მთელი მეორე მსოფლიო ომის მიერ დატრიალებულ კოშმარს გენერალი წარმოგვიდგენს ზღაპრის სიბრტყის გამოყენებით, რაც, თავისთავად, მსმენელს უმარტივებს მიმდინარე მოვლენების აღქმას და აწვდის მათ კონკრეტულ, ხორცშესხმულ იერს.

ქვეყნებს შარლ დე გოლი წარმოადგენს ქალბატონების სახით და თითოეულ მათგანს ანიჭებს ეპითეტურ მახასიათებლებს. საფრანგეთის მეზობელ ქალბატონზე გერმანიაზე იგი ამბობს:

«Une voisine brutale, rusée, jalouse, enivrée d'orgueil et de méchanceté» (უხეში, ეშმაკი და მოშურნე მეზობელი, დამთვრალი პატივმოყვარეობითა და ბოროტებით).

ამგვარი ხერხით ქვეყანას ენიჭება კონკრეტული ბოროტი მეზობლის სახე, ხოლო თუ გავითვალისწინებთ ზღაპრის თემატიკას, იგი წარმოდგენილია, როგორც უარყოფითი პერსონაჟი - ბოროტი ფერია.

სხვა ქვეყნები კეთილი პერსონაჟები არიან, რომლებიც ცდილობენ გადაარჩინონ და დაეხმარონ „მშვენიერ'' საფრანგეთს.

გერმანიამ ერთ ჯერზე „დაამონა'' მეზობელი ქვეყნები, თუმცა შემდგომ

«Elle a demandé pardon. Elle a promis, en pleurant, qu'elle ne le ferait plus jamais» (მან მოიხადა ბოდიში. ტირილით დადო პირობა, რომ მსგავს რამეს არასოდეს გააკეთებდა).

აღნიშნული ფრაზაც გაპიროვნების კლასიკური მაგალითია. ქვეყნის მთავრობის წევრებს დე გოლი აერთიანებს პერსონაჟი გერმანიის სახეში, რომელიც არაა აბსტრაქტული ცნება, არამედ კონკრეტული ხორცშესხმული არსების მსგავსია, რომელსაც ძალუძს ტირილი და ბოდიშის მოხდა.

გამოიყენა რა სხვების „გულუბრყვილობა", შემდგომში გერმანია კვლავ დაესხა საფრანგეთს და ამჯერად ქვეყანა დამარცხდა.

შარლ დე გოლი ამბობს:

«Mais la nation française, ce sont vos papas, vos mamans, vos frères, vos sœurs. Vous savez bien, vous, mes enfants, qu'ils ne sont pas coupables» (ფრანგი ნაცია შედგება თქვენი მამიკოებისგან, დედიკოებისან, ძმებისგან და დებისგან. თქვენ მშვენივრად იცით, ჩემო ბავშვებო, რომ ისინი არ არიან დამნაშავეები).

აღნიშნული ფრაზა საკმაოდ საინტერესოა მისი ლინგვისტური კუთხით. თუ მანამდე შარლ დე გოლი გადადიოდა კონკრეტულიდან აბსტრაქტულზე, აქ ვხვდებით საწინააღმდეგო, უკუ პროცესს. ზღაპრის მეტაფორული ფორმიდან გენერალი წარმოგვიდგენს კონკრეტულ, ყველა ადამიანისთვის ახლობლურ ცნებებს. თუმცა აღნიშნულ შემთხვევაშიც საქმე ეხება კონცეპტუალურ მეტაფორას.

კონცეპტუალური, ანუ „სხეულებრივი" მეტაფორის განსაზღვრებიდან გამომდინარე, ნარატორმა აბსტრაქტული, განზოგადებული ცნება უნდა წარმოადგინოს ყოველდღიური ცხოვრებისთვის ჩვეული ტერმინებით, რომლებიც დაკონკრეტებული იქნება ფიზიკური სხეულისთვის ჩვეული აღქმებით ან ჟესტიკულაციით.

აბსტრაქტული ცნების - ქვეყნის წარდგენას გენერალი ახდენს მატერიალური ცნებებით „მამიკოები, დედიკოები, ძმები და დები", თანაც

აღნიშნულ არსებითებს იხსენიებს კუთვნილებითი ზედსართავის «vos»-ს (თქვენი) თანხლებით, რაც მსმენელში კიდევ უფრო აძლიერებს კონკრეტულობის, საკუთრების შეგრძნებას.

მთელი მომდევნო აბზაცი, შარლ დე გოლი გვთავაზობს მატერიალური ცნებებით გამოხატულ კონკრეტუალიზაციას. თითქოსდა მოწყვეტილი ზღაპრის სამყაროს, იგი გვესაუბრება საბრძოლო ტექნიკაზე, რომლის უქონლობამაც გამოიწვია საფრანგეთის დამარცხება. აქ ერთმანეთს უპირისპირდება ხალხის სულის მოწოდება და არსებული რეალობა:

«Si notre armée fut battue, ce n'est pas du tout parce qu'elle manquait de courage, ni de discipline. C'est parce qu'elle manquait d'avions et de chars» (ჩვენი ჯარის წაგება არ არის გამოწვეული იმით, რომ მათ აკლდა სიმამაცე ან დისციპლინა. მათ აკლდა თვითმფრინავები და ტანკები).

ამგვარი დაპირისპირება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს წაგებული ნაციის დადებით მხარეებს.

პასაჟს გენერალი მაინც ამთავრებს პათეტიკური ელფერით «la gloire de la France» („საფრანგეთის დიდება"), რაც თავისთავად მსმენელში გარკვეული ნათელი მომავლის და იმედის ჩამსახველია.

უკვე გაჩენილ იმედს დისკურსის ავტორი კიდევ უფრო აძლიერებს შემდეგ აბზაცში - საფრანგეთის „მამაცი" ჯარისკაცები არიან დარწმუნებულები, რომ შინ გამარჯვებულნი დაბრუნდებიან, რადგან ქვეყნის მოკავშირეები ამზადებენ იარაღს გერმანიის დასამარცხებლად.

ამგვარი არგუმენტი უდაოდ ამშვიდებს და ოპტიმიზს მატებს მსმენელს და თვალწინ წარმოუდგენს პათეტიზმით შეფერილ ბატალურ სცენებს. ზმნა «écraser» კი ჩასახავს სასურველი სამაგიეროს გადახდის იმედს.

მეტაფორული თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესოა შემდეგი ფრაზა:

«Mes chers enfants de France, vous avez faim, parce que l'ennemi mange notre pain et notre viande. Vous avez froid, parce que l'ennemi vole notre bois et notre charbon, vous

souffrez, parce que l'ennemi vous dit et vous fait dire que vous êtes des fils et des filles de vaincus».

აქ ავტორი ალეგორიულად წარმოადგენს ქვეყნის მაცხოვრებლების ფიზიკურ მდგომარეობას, რომელიც პირდაპირპროპორციულად ასახავს ხალხის სულიერ ტკივილს. თუმცა აღსანიშნავია, რომ გენერალი სხარტად და მოხერხებულად გამოხატავს საკუთარ პოზიციას და მესამე პირის - გერმანიის შემოყვანით ამტკიცებს, რომ ფრანგი ხალხი არ არის წაგებული. ხაზის გასმა იმაზე, რომ ამას სწორედ გერმანია ამბობს, აზრის აბსურდულობასა და სიცრუეს უსვამს ხაზს (l'ennemi vous dit et vous fait dire que vous êtes des fils et des filles de vaincus).

აშკარად იგრძნობა სურვილი აღნიშნული აზრის დასრულების და იმის თქმის, რომ ეს ნამდვილად ასე არ არის. შეიძლება ითქვას, რომ გენერალი სუსპენსის (suspense) ტექნიკას მიმართავს, რათა კიდევ უფრო გააძლიეროს ფრანგი ხალხის მშვიდობიანი დასასრულის მოლოდინი.

საშობაო დისკურსის ბოლო ნაწილი წააგავს ზღაპრის ბედნიერ დასასრულს.

«Eh bien ! moi, je vais vous faire une promesse, une promesse de Noël. Chers enfants de France, vous recevrez bientôt une visite, la visite de la Victoire. Ah ! comme elle sera belle, vous verrez !...»

შარლ დე გოლი დებს „საშობაო პირობას", რომ სულ მალე ბავშვებს „მშვენიერი ქალბატონი გამარჯვება" ესტუმრება.

დისკურსის ბოლო დაუსრულებელი ფრაზაა „თქვენ ნახავთ." აზრი არ არის დასრულებული და მსმენელს უტოვებს ფანტაზიის თავისუფლებას. ამგვარი მხატვრული ხერხი ხშირად გამოიყენება ლიტერატურულ ტექსტებში და მუდამ იწვევს მკითხველში ნაწარმოებისადმი უფრო დიდ ინტერესს. ფრანგი გენერლის მიზანიც ეს იქნებოდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია მეტაფორის და მათ შორის, კონცეპტუალური მეტაფორის როლის მნიშვნელობა პოლიტიკურ დისკურსში. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღნიშნული მხატვრული ხერხი არ უნდა განვიხილოთ მისი ხმარების ვიწრო სპექტრში, არამედ მეტაფორა შესაძლებელია მოიცავდეს მთელ აბზაცს ან მთლიან ტექსტს.

კონცეპტუალური მეტაფორის შესახებ საუბრისას, განსაკუთრებით უნდა იქნეს განხილული მისი გლობალური ხასიათი და მთლიანი კონტექსტი. მხოლოდ ასეთი ხასიათის შესწავლის შედეგად უნდა განისაზღვროს გამოყენებული მხატვრული ხერხების რაობა და ხმარების სპეციფიკები თუ დატვირთვა.

## 3.7.2. კონცეპტუალური ინტეგრაცია და მისი დინამიკა შარლ დე გოლის პოლიტიკური დისკურსის მაგალითზე

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამერიკელმა მეცნიერებმა ჟ. ფოკონიემ და მ. ტერნერმა შექმნეს კონცეპტუალური ინტეგრაციის თეორია, რომელიც წარმოადგენს ადამიანის მენტალური სივრცეების შესწავლის ინსტრუმენტს.

პოლიტიკური დისკურსების განხილვისას, აქტიურად შეინიშნება აღნიშნული თეორიის დინამიკა, რაც მოსაუბრეს საშუალებას აძლევს მეტი კავლენა მოახდინოს მსმენელზე და აღძრას შესაბამისიმისი რეაქცია მის

ცნობიერებაში. საომარი კონფლიქტების გადაწყვეტისას ეს ხერხიც სარგებლობს დიდი ეფექტურობით.

განვიხილოთ შარლ დე გოლის ზემოთმოყვანილი დისკურსი ფოკონიესა და ტერნერის მიერ შემოთავაზებული ტექნიკის ჩართვის გზით.

პირველ რიგში, დისკურსი უნდა გავყოთ მენტალური სივრცეების, ბლენდების განცალკევების საფუძველზე, რომლებსაც მივუჩენთ გარკვეულ ნუმერაციას და სახელწოდებებს:

ბლენდი § 1 - ნაცია - შვილი:

Quel bonheur, mes enfants, de vous parler ce soir de Noël. Oh ! je sais que tout n'est pas gai, aujourd'hui, pour les enfants de France. Mais je veux, cependant, vous dire des choses de fierté, de gloire, d'espérance.

ბლენდი § 2 - ლამაზი საფრანგეთი:

Il y avait une fois : la France ! Les nations, vous savez, sont comme des dames, plus ou moins belles, bonnes et braves. Eh bien ! parmi mesdames les nations, aucune n'a jamais été plus belle, meilleure, ni plus brave que notre dame la France. Mais la France a une voisine brutale, rusée, jalouse : l'Allemagne. L'Allemagne, enivrée d'orgueil et de méchanceté, a voulu, un beau jour, réduire en servitude les nations qui l'entouraient. Au mois d'août 1914, elle s'est donc lancée à l'attaque.

ბლენდი § 3 - პირველი გამარჯვება:

Mais la France a réussi à l'arrêter sur la Marne, puis à Verdun. D'autres grandes nations, l'Angleterre, l'Amérique, ont eu ainsi le temps d'arriver à la rescousse. Alors, l'Allemagne, dont le territoire n'était nullement envahi, s'est écroulée tout à coup. Elle s'est rendue au Maréchal Foch. Elle a demandé pardon. Elle a promis, en pleurant, qu'elle ne le ferait plus jamais. Il lui restait d'immenses armées intactes, mais il ne s'est pas trouvé un seul Allemand, pas un seul ! pour tirer même un coup de fusil après la capitulation.

ბლენდი § 4 - მუხანათი მტერი:

Là-dessus, les nations victorieuses se sont séparées pour aller chacune à ses affaires. C'est ce qu'attendait l'Allemagne. Profitant de cette naïveté, elle s'est organisée pour de nouvelles invasions. Bientôt, elle s'est ruée de nouveau sur la France. Et, cette fois, elle a gagné la bataille.

L'ennemi et ses amis prétendent que c'est bien fait pour notre nation d'avoir été battue.

ბლენდი § 5 - ნაცია - მშობელი :

Mais la nation française, ce sont vos papas, vos mamans, vos frères, vos sœurs. Vous savez bien, vous, mes enfants, qu'ils ne sont pas coupables.

ბლენდი § 6 - ტექნიკა და არა ხალხი:

Si notre armée fut battue, ce n'est pas du tout parce qu'elle manquait de courage, ni de discipline. C'est parce qu'elle manquait d'avions et de chars. Or, à notre époque, tout se fait avec des machines, et les victoires ne peuvent se faire qu'avec les avions, les chars, les navires, qui sont les machines de la guerre. Seulement, malgré cette défaite, il y a toujours des troupes françaises, des navires de guerre et des navires marchands français, des escadrilles françaises, qui continuent le combat.

ბლენდი § 7 - დიდებული საფრანგეთი:

Je puis même vous dire qu'il y en a de plus en plus et qu'on parle partout dans le monde de ce qu'ils font pour la gloire de la France.

ბელნდი § 8 - ლოცვა მშობელი ქვეყნისთვის:

Pensez à eux, priez pour eux, car il y a là, je vous assure, de très bons et braves soldats, marins et aviateurs.

ბლენდი § 9 - შინ დაბრუნება:

qui auront à vous raconter des histoires peu ordinaires quand ils seront rentrés chez eux.

ბლენდი: § 10 - მეგობრების მხარდაჭერა:

Or, ils sont sûrs d'y rentrer en vainqueurs, car nos alliés, les Anglais et les Russes, ont maintenant des forces très puissantes, sans compter celles que préparent nos alliés les Américains. Toutes ces forces, les Allemands n'ont plus le temps de les détruire, parce que, maintenant, en Angleterre, en Russie, en Amérique, on fabrique d'immenses quantités d'avions, de chars, de navires. Vous verrez un jour toute cette mécanique écraser les Allemands découragés et, à mesure qu'ils reculeront sur notre territoire, vous verrez se lever de nouveau une grande armée française.

ბლენდი § 11 - მშიერი საფრანგეთი:

Mes chers enfants de France, vous avez faim, parce que l'ennemi mange notre pain et notre viande. Vous avez froid, parce que l'ennemi vole notre bois et notre charbon, vous souffrez, parce que l'ennemi vous dit et vous fait dire que vous êtes des fils et des filles de vaincus.

ბლენდი § 12 - საფრანგეთის გამარჯვება:

Eh bien ! moi, je vais vous faire une promesse, une promesse de Noël. Chers enfants de France, vous recevrez bientôt une visite, la visite de la Victoire.

Ah ! comme elle sera belle, vous verrez !...

ბლენდების სახელწოდებების სახით შევეცადეთ გამოგვეცნო მსმენელის გონებაში ჩამოსაყალიბებელი აბსტრქტული ხატების ხასიათი, რაშიც, ჩვენი აზრით, მდგომარეობს აღნიშნული დისკურსის მიზანი. როგორც ვხედავთ, სურათები ენაცვლება ერთი მეორეს, მაგრამ დომინირებს ოპტიმისტური ხასიათი, ანუ დადებითად და იმედით დატვირთული კონცეპტების სიმრავლე.

სქემატურად აღნიშნული ბლენდების განლაგება კიდევ უფრო ცხადჰყობს ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მოსაზრებას:


ბლოკი 1
ბლოკი 2
ბლოკი 3
ბლოკი 5
ბლოკი 3
ბლოკი 7
ბლოკი 8
ბლოკი 9
ბლოკი 10
ბლოკი 12
ბლოკი 4
ბლოკი 11

შესაბამისად, ერთმანეთზე დალაგებით დე გოლის მიერ წარმოდგენილი ხატები ოპტიმისტური განწყობის მაკონსტრუირებელი ელემენტებია და ომიანობის და გლობალური უიმედობის პერიოდში ჩასახავს იმედის გრძნობას და მსმენელში იწვევს ნებისმიერ პრობლემასთან შებრძოლების სურვილს.

### 3.7.3. საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის როლი საქართველო - ოსეთის ომის მშვიდობიან გადწყვეტაში

2008 წლის აგვისტოში დაიწყო ე. წ. რუსეთ-საქართველოს ომი — ასევე ცნობილი როგორც 2008 წლის სამხრეთ ოსეთის ომი.

ომი დაიწყო ქართულ ჯარებსა და რუსი სამხედროებით ზურგგამაგრებულ ოს სეპარატისტთა შორის კონფლიქტით ცხინვალის რეგიონში. ოსური დასახლებების მხრიდან რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარე განუწყვეტელი საარტილერიო სროლების შემდეგ, 7 აგვისტოს საქართველომ სამხედრო ოპერაცია დაიწყო ქალაქ ცხინვალის ასაღებად. მომდევნო დღეს რუსეთმა, რომელსაც რეგიონში სამშვიდობოები ჰყავდა, ქართველთა იერიშის საპასუხოდ ცხინვალის რეგიონში საკუთარი ჯარების ქვედანაყოფები და მძიმე ტექნიკა შეიყვანა. პარალელურად, რუსეთმა საქართველოს სხვა რეგიონების საჰაერო დაბომბვაც დაიწყო. რუსებისა და ოსების ჯარები ქართველებს ცხინვალის ბრძოლაში სამი დღე ებრძოდნენ,

რაც ომის ყველაზე დიდი და გადამწყვეტი ბრძოლა იყო. რუსულმა გემებმა საქართველოს შავიზღვისპირეთი დაბლოკეს და სახმელეთო ჯარები და პარაშუტისტები გადმოსხეს დასავლეთ საქართველოში. 9 აგვისტოს რუსულმა და აფხაზურმა ძალებმა მეორე ფრონტი გახსნეს კოდორის ხეობაზე თავდასხმით და დასავლეთ საქართველოს შიდა ტერიტორიებში შეიჭრნენ. ხუთი დღის მძიმე ბრძოლების შემდეგ ქართული ჯარები განდევნილ იქნენ ცხინვალის რეგიონიდან და აფხაზეთიდან. რუსების მიერ ოკუპირებულ იქნა ქალაქები ფოთი და გორი, სხვა რაიონებთან ერთად.

ევროკავშირის თავმჯდომარე, საფრანგეთის პრეზიდენტის - ნიკოლა სარკოზის შუამდგომლობით კონფლიქტურმა მხარეებმა 12 აგვისტოს მიაღწიეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, რომელსაც საქართველომ თბილისში 15 აგვისტოს მოაწერა ხელი, ხოლო რუსეთმა მოსკოვში — 16 აგვისტოს. 12 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა უკვე გასცა ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება, თუმცა ბრძოლები უმალ არ შეწყვეტილა. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ რუსეთმა საკუთარი ჯარების უმეტესი ნაწილი სამეგრელოს და შიდა ქართლის რეგიონებიდან გაიყვანა. თუმც ამასთანავე ბუფერული ზონები შექმნა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრების გასწვრივ და სათვალთვალო პუნქტები დატოვა ფოთში, სენაკსა და პერევში.

2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნო. რუსეთმა დაასრულა გასვლა საქართველოს დანარჩენი ტერიტორიებიდან 8 ოქტომბერს, თუმცა 2009 წლის მდგომარეობით რუსული ჯარების გაძლიერებული გარნიზონები რჩება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. რამდენიმე ინციდენტი ორივე კონფლიქტურ ზონაში კვლავაც ხდებოდა ომის დასრულებიდან რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ.

პრობლემის სამშვიდობო გადაწყვეტისკენ თითქმის ერთხმად მოწოდებისა და ნატოსა და რუსეთს შორის პირდაპირი კონფლიქტის თავიდან არიდების გარდა, საერთაშორისო რეაქცია, რომელშიც ევროკავშირი და აშშ დომინირებდა, ხაზგასმით უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ხოლო არცნობილი ტერიტორიები კი სოლიდარობას უცხადებს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს.

## 3.7.4. კონცეპტუალური მეტაფორა ნიკოლა სარკოზის დისკურსში

2011 წლის ოქტომბრის თვეში საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ წარმოთქვა საქართველოს მოქალაქეებისადმი მიმართული დისკურსი, რომლითაც შეეცადა ქართველებში ოპტიმისტური სულ აღზევებას.

აღნიშნულ დისკურსს, შარლ დე გოლის დისკურსის მსგავსად, ჩვენ განვიხილავთ თანამედროვე ლინგვისტიკაში არსებული ორი საკვანძო მიმართულების – კონცეპტუალური მეტაფორისა და კონცეპტუალური ინტეგრაციის თეორიების გამოყენებით.

აღნიშნულ თავში შევეცდებით წარმოვადგინოთ სარკოზის დისკურსში არსებული კონცეპტუალური მეტაფორების დინამიკა და ტექსტუალური გლობალიზაცია, ხოლო შემდგომ გავაანალიზებთ მის კონცეპტუალურ ინტეგრაციას.

ნიკოლა სარკოზი თავის სიტყვას იწყებს თბილი მიმართვით «chers amis» და იმთავითვე გამოხატავს ქართველი ერისადმი თანადგომას და მეგობრულ დამოკიდებულებას.

დისკურსის შემდგომ მონაკვეთებშიც არაერთხელაა საუბარი საფრანგეთის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერაზე, ანუ ძლიერ და მსოფლიოს პოლიტიკურ არენაზე მყოფ გავლენიან მოკავშირეზე, რომელსაც შესწევს ძალა დაიფაროს და მხარში ამოუდგეს „შედარებით სუსტ მეგობარს". ამგვარი თანადგომა ამხნევებს და აძლიერებს მსმენელის სულიერ განწყობას.

პირველივე აბზაცში ფრანგი პრეზიდენტი მიუთითებს თავისუფლებისთვის მებრძოლი ამბოხებული ხალხის სიმრავლეზე, რაც, გარკვეულწილად, მსმენელს ანიჭებს სიძლიერის და დაუმარცხებლობის შეგრძნება - ემოციას («vous étiez des milliers... exprimer votre détermination à sauver votre indépendance» - „თქვენ ხართ ათასობით, გამოხატეთ თქვენი

გადაწყვეტილება და დაიცავით დამოუკიდებლობა" ). ერის სიძლიერების თემა შემდგომშიც ვითარდება, როდესაც საუბარია ომის შედეგად განდევნილ ქართველ პატრიოტებზე და მათ რიცხობრივ სიმრავლეზე («des dizaines de milliers de vos compatriotes ont été déplacés et sont venus grossir les rangs» - ათი ათასობით თქვენი თანამემამულე გადაადგილდა და შეავსო თქვენი რიგები"). მსგავსი ფრაზებით ავტორი ცდილობს დააკარგვინოს ადრესატს ამ ქვეყანაზე მარტოობის შიში და კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვას მსოფლიოში ქართველების ან საქართველოს მხარდამჭერთა სიმრავლეს.

თუმცაღა უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ხალხის რიცხობრივი სიმრავლის გამომხატველი კონცეპტი ატარებს ანტონიმურ ანუ, ამ შემთხვევაში, ნეგატიურ დატვირთვასაც. როდესაც პრეზიდენტი საუბრობს ომის შედეგად დევნილ ადამიანების რაოდენობაზე, დაშლილი ოჯახების სიმრავლეზე, წართმეულ ტერიტორიაზე, საქართველოს საზღვრებთან მდგომი მოწინააღმდეგის ჯარის სიდიდეზე, იგი მაინც ცდილობს მსმენელში სიფხიზლის შენარჩუნებას არსებული კონფლიქტის მიმართ და გვაჩვენებს ყველა ომისადმი ჩვეულ სავალალო შედეგების სურათს.

დისკურსის დროს ხშირად გამოყენებული ქვეყნის თავისუფლების და თავისუფალი ხალხის დეტერმინატივები (place de la Liberté, une nation indépendante, un peuple libre – თავისუფლების მოედანი, თავისუფალი ერი) კიდევ უფრო აძლიერებენ ნაციის თავისუფლების და დამოუკიდებლობის თვითშეგრძნებას და, შესაბამისად, ამყარებენ მათ ფლიქოლოგიურ განწყობას არსებული პრობლემის მიმართ.

არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ის გარემოება, რომ სარკოზის დისკურსი იდეურად მკვეთრად განსხვავებულია ჩვენ ნაშრომში ზემოთ წარმოდგენილ შარლ დე გოლის დისკურსისგან. თუ მეორე მსოფლიო ომის დროს საჭირო იყო ხალხის საბრძოლო განწყობის აღზევება, 2008 წელს საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ქართველ ხალხს მოუწოდებს რუსეთთან დიალოგსა და მეგობრული ურთიერთობისკენ, რისთვისაც მოჰყავს მეტაფორული ხასიათის ისტორიული მაგალითები:

«La France en a une conscience aussi aiguë, c'est parce que l'Histoire a infligé à la France les mêmes souffrances et les mêmes injustices... C'est le choix de la volonté qu'ont fait la France et l'Allemagne après 1945, après trois conflits ravageurs. C'est sur les décombres du pire conflit que l'humanité ait connu, que Charles de Gaulle et Konrad Adenauer, ont engagé leurs peuples sur la voie de la réconciliation».

საფრანგეთის პრეზიდენტი საუბრობს საფრანგეთის და რუსეთის საუკონეობრივი მეგობრობის შესახებ, რაც გვახსენებს ძველ ხალხურ ანდაზას „მეგობრის მეგობარი შენი მეგობარია." აღნიშნული გამონათქვამებით სარკოზის სურს ადრესატში აღმოფხვრას კონფლიქტის გაგრძელების სურვილი და ჩასახოს შესაძლებელი თანამშრომლობის განწყობა:

«La France considère la Russie comme son amie. Comme un partenaire stratégique, car nos destins sont mêlés, c'est ensemble, Européens et Russes, que nous assurerons durablement la prospérité de nos peuples, la stabilité de notre continent. Partenaire et amie, c'est ce que la Russie devrait être, ou redevenir, pour la Géorgie».

თავისი შთაგონების გაძლიერებისთვის და მსმენელის დასარწმუნებლად ნიკოლა სარკოზი მიმართავს არგუმენტაციის ხერხს და მოჰყავს სარწმუნო, განსაკუთრებით ქვეყნის ეკონომიკურ ვითარებასთან დაკავშირებული მაგალითები, რომლებიც ისევ და ისევ გამყარებულია აბსტრაქტული რიცხობრივი მონაცემებით:

«Plusieurs centaines de milliers de vos compatriotes vivent en Russie, et Moscou, après Tbilissi, est la première ville géorgienne par la population. Vos hommes d'affaires investissent en Russie, et leurs homologues sont nombreux à venir profiter du dynamisme de votre économie».

ეკონომიკის დინამიზმზე დადებული ფსონი საკმაოდ მაღალი განაცხადია აღნიშნული კუთხით არაგანვითარებული ქვეყნისთვის და, შესაბამისად, წარმოადგენს უტყუარი შთაგონების და დინამიური მოტივაციის ხერხს. ასევე საინტერესოა სიტყვა „ნდობის" (la confience) ხშირი ხმარება. აღნიშნული კონცეპტის დახმარებით შესაძლებელია მრავალი დადებითი

ემოციის და განწყობის წარმოშობა ტექსტის ადრესატში. ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა ყველაზე მყარია და არ იწვევს არანაირ უარყოფით შედეგებს. ნდობის ფაქტორი ადამიანის ცნობიერებაში იწვევს დადებითი ემოციების აუარებელ რაოდენობას და, შესაბამისად, მსმენელის გონებას მიმართავს დისკურსის ავტორის სასურველი მიზნისკენ.

ნიკოლა სარკოზის მიერ წარმოთქმული დისკურსი არ უნდა აღვიქვათ, როგორც საქართველო - რუსეთის მომავალი მეგობრობის ჰიმნი. საფრანგეთის პრეზიდენტი თვლის, რომ აღნიშნული გზა საქართველოს მომავალისთვის წარმოადგენს სასურველ და მომგებიან პოლიტიკას. ამის დასტურია ჩვენი ქვეყნის და ევროპის, თუ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან ურთიერთობის არაერთგზის ხაზგასმა შემდეგი მეტაფორების საშუალებით: très libre d'exprimer son aspiration, cette aspiration est une chance pour la Géorgie, elle est un catalyseur de toutes les réformes entreprises (შთაგონების გამოხატულებისას თავისუფალი, ეს შთაგონება საქართველოსთვის შანსია, იგი ყველა რეფორმის კატალიზატორია) და ა. შ.

«La Géorgie doit être libre d'exprimer son aspiration à rejoindre l'OTAN, si son peuple le souhaite»;

«La Géorgie doit être libre d'exprimer son aspiration à se rapprocher de l'Union européenne, et un jour à la rejoindre. Cette aspiration est une chance pour la Géorgie, car elle est un catalyseur de toutes les réformes entreprises. Au lendemain de cette « révolution des Roses»;

«Je souhaite que votre jeunesse bénéficie de formations dans le réseau des universités francophones du monde entier».

ხოლო შემდგომ, არგუმენტირებული დისკურსი გადადის უშუალოდ საფრანგეთ - საქართველოს საუკუნოვანი ურთიერთობის და მეგობრობის განხილვაზე. დისკურსი თავდება სიტყვებით: „გაუმარჯოს საქართველოს!”

ნიკოლა სარკოზის მიერ წარმოთქმული დისკურსი, კონცეპტუალური მეტაფორების ასპექტის გათვალიწინებით, შეიძლება სქემატურად შემდეგნაირად გავშალოთ:




შეჯამების სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ნიკოლა სარკოზის მიერ წარმოთქმულ აღნიშნულ დისკურსში მრავლადაა ლინგვისტური ერთეულები, რომლებიც ატარებენ მეტაფორულ დატვირთვას და წარმატებით ემსახურებიან წარმომთქმელის მიზნის განხორციელებას. საფრანგეთის პრეზიდენტის

წარმოდგენილ გამოსვლაში გამოყენებული კონცეპტები ძირითადად ატარებენ აბსტრაქტული ცნებების კატეგორიას და, შესაბამისად, ადრესატის ცნობიერებაში იწვევენ განსხვავებულ, მაგრამ შინაარსობრივად სინონიმურ ხატთა სიმრავლეს, რომლებიც უბიძგებენ ოპტიმისტური განწყობისაკენ, მშვიდობიანი მომავლის და მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან მეგობრული ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობების დადებითი ემოციებისკენ.

2011 წელს ნიკოლა სარკოზის მიერ თბილისში წარმოთქმული დისკურსი განსხვავდება მეორე მსოფლიო ომის დროს შარლ დე გოლის მიერ წარმოთქმული დისკურსისგან როგორც ლინგვისტური კუთხით, ასევე მსმენელი ხალხისგან მისაღები შედეგის მოლოდინით.

ფრანგებში საომარი მოქმედებების აღძვრის მიზნით შარლ დე გოლი მტერს ანიჭებს მრავალწახნაგოვან უარყოფით მეტაფორული ფორმებით წარმოდგენილ ხასიათს.

მისგან განსხვავებით, ნიკოლა სარკოზი ცდილობს გააქროს ქართველ მსმენელში მტრისადმი სამაგიეროს გადახდის სურვილი, თუმცაღა მოუწოდებს და შთააგონებს ევროკავშირთან თანამშრომლობისკენ.

მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ორივე დისკურსისთვის დამახასიათებელი მიზანსწრაფვა - ადამიანებში ნათელი და წარმატებული მომავლის რწმენის ჩასახვა.

### 3.7.5. კონცეპტუალური ინტეგრაცია და მისი დინამიკა ნიკოლა სარკოზის პოლიტიკური დისკურსის მაგალითზე

აღნიშნულ თავში ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ შესაძლებელი ბლენდების ხასიათი და დინამიკა ნიკოლა სარკოზის მიერ 2011 წლის ოქტომბერში თბილისში წარმოთქმულ დისკურსში, რაც კიდევ უკეთესად დაგვანახებს და გამოააშკარავებს ავტორის რეალურ მიზანსწრაფვას და სასურველ შედეგს. ამისათვის, პირველ რიგში, უნდა აღმოვაჩინოთ დისკურსში არსებული განსხვავებულ ბლენდები და მივუსადაგოთ მათ ასოციაციური სახელწოდებები:

| |
|---|
| ბლენდი § 1 - მეგობრობა:<br>Chers amis |

| |
|---|
| ბლენდი § 2 - თავისუფლებისთვის მებრძოლი ხალხი და მათი სიმრავლე:<br>Quand je suis arrivé à Tbilissi... à un peuple libre |

ბლენდი § 3 - ომის სავალალო შედეგები:

Trois ans ont passé, et si les armes se sont tues... de l'autre côté des lignes de séparation...

ბლენდი 4 - საფრანგეთი - მეგობარი:

La France a été la première à déployer ses gendarmes le long des lignes de séparation...

ბლენდი § 5 - მშვიდობიანი მოლაპარაკების შესაძლებლობა და მისი მომგებიანობა:

Plusieurs centaines de milliers de vos compatriotes vivent en Russie, et Moscou, après Tbilissi, est la première ville géorgienne par la population...

ბლენდი § 6 - ნდობა:

Mais pour rétablir la confiance...

ბლენდი § 7 - განვითარებულ ქვეყნებთან თანამშრომლობა:
La Géorgie doit être libre d'exprimer son aspiration à rejoindre l'OTAN...

ბლენდი § 8 - საფრანგეთის და საქართველოს საუკუნეობრივი მეგობრობა: notre la Géorgie et la France, c'est également sur les champs de bataille que des liens de sang ont été noués...

თუ აღნიშნულ ბლენდებს მივანიჭებთ დადებითი და უარყოფითი ემოციური დატვირთვის ასპექტს, მივიღებთ შენდეგნაირ სქემატურ გამოსახულებას:



როგორც ვხედავთ, უარყოფითი ასოციაციებისა და შეგრძნებების გამომწვევად გვევლინება მხოლოდ ერთი ბლენდი, რომელიც ჩვენს მიერ ჩამოთვლილი სხვა შვიდი ბლენდის ფონზე მნიშვნელოვნად კარგავს უარყოფითი შეგრძნებების და ასოციაციების აღმძვრელ ეფექტს.

«Chers amis,

Quand je suis arrivé à Tbilissi, dans la nuit du 12 août 2008, vous étiez des milliers, devant votre Parlement, pour crier votre colère devant l'outrage qui était fait à votre pays et exprimer votre détermination à sauver votre indépendance.

Trois ans ont passé, et sur cette place de la Liberté, je suis heureux de pouvoir m'adresser à une nation indépendante et à un peuple libre !

Trois ans ont passé, et si les armes se sont tues, elles n'ont pas effacé les blessures de la guerre.  Des dizaines de milliers de vos compatriotes ont été déplacés et sont venus grossir les rangs des centaines de milliers qui avaient été chassés de leurs terres par les conflits antérieurs.

Des milliers de familles ont été séparées, qui sont depuis empêchées de se retrouver, de se parler, de s'embrasser, par l'érection d'un mur invisible au sein d'une même nation.

Une partie de votre territoire vous a été enlevée. Cette souffrance reste vive, comme un membre amputé dont on ressent toujours la présence.

Contre toute logique stratégique, et à rebours des engagements pris, d'importantes forces militaires restent stationnées à vos portes, de l'autre côté des lignes de séparation.

Chers amis géorgiens,

Ces trois ans qui ont passé n'ont rien enlevé à l'engagement de la France à vos côtés. Rien.

La France a été la première à déployer ses gendarmes le long des lignes de séparation. Mais la France ne se résigne pas au fait accompli. Et je veux, Monsieur le président, ici, réaffirmer solennellement, l'attachement de la France, l'attachement de l'Europe à la souveraineté de la Géorgie, à l'indépendance de la Géorgie, et à l'intégrité territoriale de la Géorgie.

Je veux réitérer ici mon engagement à veiller à l'application des accords conclus, car les accords conclus engagent les pays qui ont souscrit, engage Monsieur le président, leur parole et leur honneur.

Je réaffirme ici, devant vous, le droit du peuple géorgien à définir sa voie, à choisir ses alliances, et à construire librement son avenir.

Chers amis,

Nous avons pu arrêter la guerre dans l'urgence. Mais arrêter la guerre dans l'urgence ce n'est pas construire la paix véritable. Plus que toute autre nation, la France mesure le déchirement que représente pour vous la division forcée de votre pays.

Plus que tout autre pays, la France ressent la douleur de tous ces déplacés, ces expulsés, ces arrachés à leur terre. Et si la France en a une conscience aussi aiguë, c'est parce que l'Histoire a infligé à la France les mêmes souffrances et les mêmes injustices.

Mais, comme je le disais ce matin en Arménie, aucun pays, plus que la France, ne sait qu'il n'est de fracture si grave qui ne puisse être résorbée. C'est le choix de la volonté qu'ont fait la France et l'Allemagne après 1945, après trois conflits ravageurs. C'est sur les décombres du pire conflit que l'humanité ait connu, que Charles de Gaulle et Konrad Adenauer, ont engagé leurs peuples sur la voie de la réconciliation. Et aujourd'hui, l'Europe dont parlait le président Saakachvili, c'est l'Europe de la France et de l'Allemagne, amis et réconciliés.

Et bien je veux vous dire du fond de mon cœur, que c'est la même voie que la Géorgie et la Russie doivent choisir. Car dans le Caucase pas plus qu'ailleurs dans le monde, il n'y a de fatalité à la confrontation et à la guerre.

La Géorgie a montré la voie, quand le Président Saakachvili a pris l'engagement solennel, de ne jamais recourir à la force pour rétablir la souveraineté de la Géorgie sur les deux provinces qui lui ont été arrachées.

Cet engagement, les autres signataires des accords du 12 août et du 8 septembre 2008 doivent le prendre à leur tour. Chaque pays doit s'engager à cela.Je demande que les observateurs européens puissent se rendre en Abkhazie et en Ossétie du Sud, pour s'assurer que les droits des populations y sont scrupuleusement respectés.

Le droit des déplacés à regagner leurs foyers et à retrouver leur terre et pour commencer, les familles séparées doivent pouvoir se retrouver et se déplacer de part et d'autre des lignes de séparation.Chaque partie doit continuer de s'engager dans les discussions de Genève, c'est par le dialogue, par la négociation que l'on dépassera la méfiance.

Des mesures de confiance doivent être prises pour consolider la stabilité.

Monsieur le Président,

Chers amis géorgiens,

La France considère la Russie comme son amie. Comme un partenaire stratégique, car nos destins sont mêlés, c'est ensemble, Européens et Russes, que nous assurerons durablement la prospérité de nos peuples, la stabilité de notre continent. Partenaire et amie, c'est ce que la Russie devrait être, ou redevenir, pour la Géorgie. Vos deux peuples ont subi le même traumatisme de 70 ans de communisme soviétique.

Tous deux s'en sont relevés et ont retrouvé la maîtrise de leur destin.

Plusieurs centaines de milliers de vos compatriotes vivent en Russie, et Moscou, après Tbilissi, est la première ville géorgienne par la population. Vos hommes d'affaires investissent en Russie, et leurs homologues sont nombreux à venir profiter du dynamisme de votre économie.

Mais pour rétablir la confiance, il faut que cesse la rhétorique de confrontation et que prévale le dialogue. Pour rétablir la confiance, il faut que cessent les intimidations, les menaces et les tentatives de déstabilisation qui sont proprement inacceptables.

Pour rétablir la confiance, chacun doit admettre que l'Union soviétique n'existe plus, qu'une politique des sphères d'influence n'a pas vocation à lui succéder. Tout le monde doit accepter que la Géorgie, ait le droit de définir sa voie et de choisir librement ses amis et ses alliances.

La Géorgie doit être libre d'exprimer son aspiration à rejoindre l'OTAN, si son peuple le souhaite. Monsieur le Président, la Géorgie doit être libre d'exprimer son aspiration à se rapprocher de l'Union européenne, et un jour à la rejoindre. Cette aspiration est une chance pour la Géorgie, car elle est un catalyseur de toutes les réformes entreprises.Au lendemain de cette « révolution des Roses » qui a suscité tant d'enthousiasme en France, la société géorgienne était divisée, votre économie exténuée et tout le pays était en proie au doute.

Il existe encore bien des défis, mais que de chemin parcouru depuis lors.

La distribution du gaz, de l'eau, de l'électricité a été rétablie. Vos routes ont été refaites; les infrastructures ont été développées. La sécurité a été restaurée et vos commissariats sont désormais transparents, à l'image de votre police, autrefois parmi les plus corrompues du monde, qui est aujourd'hui plébiscitée par la population géorgienne unanime.

La richesse de votre pays a été multipliée par dix depuis 2004. La Géorgie est aujourd'hui un pays attractif et ce n'est pas un hasard si les investissements étrangers y affluent.

Cette stratégie de réformes et d'ouverture est votre meilleure chance pour convaincre demain Abkhazes et Sud-Ossètes que leur avenir est aux côtés de leurs compatriotes géorgiens, dans un pays ouvert, plutôt qu'à l'intérieur de pseudo-Etats isolés et vassalisés.

La poursuite de votre stratégie de réforme est aussi votre meilleur atout pour convaincre l'Union européenne que la Géorgie est européenne et pour le président de la France que je suis, la Géorgie est européenne par sa culture, par ses choix développement et par ses valeurs.

Ce rapprochement avec l'Union européenne dépend de vos réformes et de l'approfondissement de votre démocratie.

Pour ce qui me concerne, quand je suis à Tbilissi, je me sens en Europe et pas ailleurs!

Entre la France et la Géorgie, il y a beaucoup plus que le souvenir de ces journées terribles d'août 2008.

Il y a 90 ans, après trois années d'indépendance, alors que votre pays s'était doté d'une constitution démocratique qui reconnaissait aux femmes le droit de vote, c'est en France que votre jeune gouvernement trouvait refuge, contraint à l'exil par le déferlement des armées bolchéviques.

C'est en France qu'il continua, au cours des décennies à entretenir la flamme de l'identité et géorgienne.

Et c'est en terre de France, à Leuville-sur-Orge, que reposent nombre de ces grands Géorgiens qui, comme Noé Jordania ou Noé Ramishvili, avaient rêvé d'une Géorgie libre, que vous incarnez aujourd'hui.Je soutiens pleinement le projet d'installer un centre culturel géorgien dans ce village français devenu pour tous les Géorgiens un lieu de mémoire.

Entre la Géorgie et la France, c'est également sur les champs de bataille que des liens de sang ont été noués. Vétéran de la bataille de Kéren, de la campagne de Syrie, le Géorgien

Dimitri Amilakvari est mort pour la France en héros, lors de la campagne de Libye. Il reste aujourd'hui une figure légendaire de la Légion étrangère.

Aujourd'hui encore, nos soldats sont côte-à-côte, en Afghanistan.

Sous l'impulsion du Président Saakachvili, la Géorgie a fait le pari audacieux, insensé disaient même certains alors, d'installer au cœur d'une région pétrifiée par des décennies de communisme une vraie démocratie et une économie de marché.

Ce pari, la France est fière d'y avoir cru et de l'avoir soutenu.

Nos entreprises vous aideront et demain, nous serons encore à vos côtés pour développer votre pays.Vous avez engagé une réforme en profondeur de votre système éducatif. Et après l'ouverture cette année de l'Ecole française du Caucase, la France veut être à vos côtés pour former vos élites de demain, pour créer de nouveaux ponts entre la France, l'Europe et la Géorgie...

Au début du siècle dernier, comme en ce mois d'août 2008, c'est dans l'adversité et dans l'épreuve que la France et la Géorgie se sont retrouvées.

De ces rencontres que l'Histoire nous a imposées est née une amitié profonde entre la France et la Géorgie.

Je suis venu ici ce soir, sur cette place de la Liberté, pour célébrer cette amitié.

La France sera à vos côtés pour assurer votre indépendance et pour vous rapprocher de l'Europe.

La France n'est pas un ami d'un jour, elle est un ami pour toujours.

Je suis venu vous assurer que la France, c'est l'amie fidèle sur laquelle la Géorgie peut compter.Vive la Géorgie!

Vive la France!

Vive l'amitié entre nos deux peuples!

---

ძვირფასო მეგობრებო,

როდესაც მე ჩამოვედი თბილისში 2008 წლის 12 აგვისტოს ღამეს, თქვენ ათასობით დამხვდით თქვენი პარლამენტის შენობის წინ, რათა გამოგეხატათ თქვენი ქვეყნის მიმართ გამოხატული გულგრილობა და გეჩვენებინათ მყარი გადაწყვეტილება თქვენი ქვეყნის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

სამი წელი გავიდა და აქ, თავისუფლების მოედანზე, გულწრფელად ბედნიერი გახლავართ და შემიძლია მივმართო დამოუკიდებელ ხალხს.

სამი წელიწადი გავიდა, ცეცხლი შეწყდა და იარაღის ჟღარუნი აღარ ისმის, მაგრამ ომისგან მოტანილი, სიკვდილითა და ტანჯვით მიყენებული იარები როდი მოშუშებულა.

ათი ათასობით თქვენი თანამემულე იძულებული გახდა, მიეტოვებინა სახლ–კარი და იმ შიდა კონფლიქტის შედეგად გამოდევნილი ასობით–ათასობით თანამემამულეთა რიგებს შემატებოდა.

ათასობით ოჯახი გაიყო და მას შემდეგ ველარ ახერხებს შეხვედრას, ერთმანეთთან დალაპარაკებას და მათ შორის უხილავი კედელი აღიმართა.

თქვენი ტერიტორიის ერთი ნაწილი წაგართვეს. ეს ისეთივე მწვავე ტკივილია, როგორც მოკვეთილი კიდური, რომლის არსებობასაც მაინც გრძნობ.

ყოველგვარი სტრატეგიული ლოგიკის საწინააღმდეგოდ და ნაკისრი ვალდებულებების უგულვებელყოფით მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები არათუ დარჩა, არამედ გაძლიერდა თქვენს კართან, გამყოფი კარის გადაღმა.

ამ განვლილმა სამმა წელმა ვერაფერი დააკლო საფრანგეთის ჩართულობასა და თქვენ გვერდით დგომას. საფრანგეთმა პირველმა განალაგა თავისი პროფესიონალი ჟანდარმები ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ, რათა კონფლიქტის ხელახალი ესკალაცია აგვეცილებინა. მაგრამ საფრანგეთი მიღებულ შედეგს არ ურიგდება.

მე მინდა საზეიმოდ დავადასტურო ჩვენი, საფრანგეთისა და ევროპის მხარდაჭერა თქვენი ქვეყნის, საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის მიმართ.

კვლავაც მსურს დავადასტურო ჩემი ვალდებულება იმისა, რომ თვალი ვადევნო ხელშეკრულებას, რადგან ის ყველა მხარეებს პასუხისმგებლობას აკისრებს, ბატონო პრეზიდენტო.

აქ, თქვენ წინაშე, ხელახლა ვადასტურებ ქართველი ხალხის არჩევანს, თვითონ განსაზღვროს თავისი გზა, აირჩიოს მოკავშირეები და თავისუფლად აირჩიოს მომავალი.

ძვირფასო ქართველო მეგობრებო, ჩვენ შევძელით სწაფად შეგვეჩერებინა ომი, მაგრამ სწრაფად ომის შეჩერება კიდევ არ ნიშნავს, რომ მშვიდობა დავამყარეთ. ჭეშმარიტ მშვიდობას მხოლოდ მოთმინებითა და მიზანდასახულობით თუ ავაშენებთ.

საფრანგეთი ნებისმიერ ერზე მეტად აცნობიერებს თქვენი ქვეყნის მიმართ განხორციელებული ძალადობის შედეგად გამოწვეულ ტკივილს, ძალიან მძიმე განცდაა სეპარატიზმი. საფრანგეთი ნებიმიერ სხვა ქვეყანაზე მეტად გრძნობს ყველა სახლიდან გამოძევებული ოჯახებისა და მიწასმოწყვეტილ პირთა ტკივილს. არც ერთმა ქვეყანამ არ იცის ისეთი სიმძაფრით, თუ რას ნიშნავს

ქვეყნის გახლეჩა. ეს ის არჩევანია, რომელიც საფრანგეთმა და გერმანიამ 1945 წელს დამანგრეველი კოფლიქტის შედეგად გააკეთა.

ეს იყო ორი შორსმჭვრეტელი ადამიანის, შარლ დე გოლის და ადენაუერის, მიერ ხალხებს შორის შერიგების გზაზე დაყენება. და დღეს, ბატონო სააკაშვილო, საფრანგეთისა და გერმანიის მეგობრობა გულწრფელი და მტკიცეა, ისინი შერიგებული და დაძმობილებული ქვეყნები არიან. გულწრფელად მინდა, საქართველოსა და რუსეთს მოვუწოდო, რომ ეს იგივე გზაა, რომელსაც თქვენი ქვეყნები უნდა დაადგნენ, რადგან არც კავკასიაში და არც არსად სხვაგან, დაპირისპირება გამოსავალი არაა.

საქართველომ აჩვენა თავისი გზა, როდესაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა ევროპული პარმალნეტის წინაშე საზეიმოდ აიღო ვალდებულება, არასოდეს გამოეყენებინა ძალა საქართველოს ორივე წართმეულ რეგიონში საქართველოს სუვერენიტეტის აღსადგენად და 2008 წლის შეთანხმებით სხვა წევრებმაც უნდა იკისრონ და იგრძნონ ეს ვალდებულება. ალბათ ეს ბუნებრივი სვლაც უნდა იყოს.

მე კიდევ ერთხელ მოვითხოვ, რომ ევროპელმა დამკვირვებლებმა შეძლონ აფხაზეთსა და ოსეთში შესვლა, რათა დარწმუნდნენ, რომ იქ მოსახლეობის უფლებები დაცულია.

მე კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ იძულებით გადაადგილებული პირებს უნდა მიეცეთ საშუალება, დაუბრუნდნენ თავიან სახლებსა და მიწას; რომ გაყოფილმა მხარეებმა შეძლონ საზღვრის თავისუფლად გადაკვეთა.

თითოეული მხარე აქტიურად და გულწრფელად უნდა იყოს ჩართული ჟენევის დისკუსიებში, რადგან მხოლოდ დიალოგისა და მოლაპარაკებების გზით შეიძლება უნდობლობის გადალახვა და მთავარი პრობლემების გადაჭრა. მიღებული უნდა იყოს ნდობის აღდგენის ზომები სტაბილურობის მიღწევის მიზნით.

ბატონო პრეზიდენტო, ძვირფასო მეგობრებო, საფრანგეთი რუსეთს თავის მეგობრად მიიჩნევს. მას სტრატეგიულ პარტნიორად განიხილავს, რადგან ჩვენი ბედი ურთიერთდაკავშირებულია და ჩვენ ერთად, ევროპელები და რუსები, უზრუნველვყოფთ ხალხების მდგრად კეთილდღეობას. ჩვენი პარტნიორი და მეგობარი, აი, ვინც უნდა გახდეს რუსეთი საქართველოსთვის. ქართველმა და რუსმა ხალხმა საბჭოური კომუნიზმის 70 –წლიანი ერთი და იგივე ტრავმა გადაიტანა, მაგრამ ორივემ შეძლო ფეხზე წამოდგომა. ასობით, ათასობით თქვენი თანამემამულე ცხოვრობს რუსეთში, ხოლო მოსკოვში კი, თბილისის შემდეგ რაოდენობრივად ყველაზე მეტი ქართველი ცხოვრობს. თქვენი ბიზნესმენები მოსკოვში აბანდებენ კაპიტალს. ხოლო მრავალი რუსი კოლეგა ჩამოდის აქ თქვენი ეკონომიკის დინამიკური განვითარებით რომ ისარგებლოს, რათა ისარგებლონ მრავალფეროვანი კლიმატით, ტურიზმით.

ნდობის აღსადგენად, დაპირისპირების რიტორიკა უნდა შეწყდეს და უპირატეობა დიალოგს მიენიჭოს. ნდობის აღდგენის მიზნით კი საჭიროა დასრულდეს დაშინება, მუქარა და დესტაბილიზაციის მცდელობა. ეს აბსოლუტურად მიუღებელია.

ნდობის აღდგენის მიზნით თითოეულმა უნდა ჩათვალოს, რომ საბჭოთა კავშირი წარსულს ჩაბარდა და რომ მას გავლენის სფეროების პოლიტიკა ვერანაირად ვერ ჩაენაცვლება. ყველამ უნდა აღიაროს ის ფაქტი, რომ საქართველოს, როგორც ნებისიერ სხვა ქვეყანას, უფლება აქვს, განსაზღვროს თავისი გზა და თავისუფლად აირჩიოს თავისი მეგობრები და მოკავშირეები. საქართველომ თავისუფლად უნდა გამოხატოს საკუთარი მისწრაფება, შევიდეს ნატოში, თუ მის ხალხს ასე სურს.

ბატონო პრეზიდენტო, საქართველო თავისუფალია გამოხატოს თავისი მისწრაფება, შეუერთდეს ალიანსს, რადგან ეს მისწრაფება არის საქართველოსთვის უნიკალური შანსი.

ვარდების რევოლუციის მეორე დღეს, რომელმაც საფრანგეთში დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია, თქვენი საზოგადოება მაშინ გაყოფილი იყო, თქვენი ეკონომიკა იყო ძალიან დასუსტებული და მთელი ქვეყანა ერთგვარი ეჭვით

იყო შეპრყობილი. ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევა არსებობს. მაგრამ მაინც რამხელა გზაა გავლილი მას შემდეგ. აღდგენილია ქვეყანში გაზის, წყლისა და ელექტროენერგიის დისტრიბუცია, შეკეთდა თქვენი გზები და განვითარდა ინფრასტრუქტურა. ქვეყანაში აღდგა უსაფრთხოება და ისეთ დონეზე, რომ თბილისს კრიმინალის თვალსაზრისით ევროპაში ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აქვს. თქვენი პოლიციის განყოფილებები გამჭვირვალეა, ისევე როგორც პოლიცია, რომელიც ადრე მსოფლიოში ყველაზე კორუმპირებულთა შორის იყო, რასაც დღეს საქართველოს მოსახლეობაც ერთხმად ადასტურებს.

2004 წლის შემდეგ თქვენი ქვეყნის სიმდიდრე 10– ჯერ გაიზარდა.

შიდა რეფორმებისა და გახსნილობის სტრატეგია თქვენი ქვეყნის საუკეთესო შანსია, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოსახლეობა დარწმუნდეს, რომ მათი მომავალი არის ამ ღია ქვეყანაში და არა იზოლირებულ და ფსევდო, დამონებულ ქვეყანაში.

ამ რეფორმების სტრატეგიის გაგრძელება ასევე არის თქვენი ქვეყნის საუკეთესო საშუალება, რათა ევროკავშირიც დაარწმუნოთ, რომ საქართველო ევროპული ქვეყანაა.

მე, როგორც საფრანგეთის პრეზიდენტი, ვაცხადებ, რომ თქვენი ქვეყანა თავისი კულტურით, განვითარების არჩევითა და ფასეულობებით ევროპულია და ევროკავშირთან დაახლოება დამოკიდებულია უპირველეს ყოვლისა რეფორმებზე და დემოკრატიის გაღრმავებაზე. ხოლო რაც შემეხება მე, გულწრფელად გეტყვით, რომ როცა თბილისში ვიმყოფები, თავი ევროპაში მგონია.

საფრანგეთსა და საქართველოს გაცილებით მეტი აკავშირებს, ვიდრე ის ავბედითი 2008 წლის აგვისტოს საშინელი დღეებისა და ღამეების მოგონება.

როდესაც თქვენმა ქვეყანამ მიიღო დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელმაც ქალთა საარჩევნო ხმის უფლება ცნო, როცა თქვენმა ახალგაზრდა მთავრობამ საფრანგეთში პოვა თავშესაფარი, გაქცეოდა ბოლშევიკური არმიის შემოსევას.

შემდეგი ათწლეულების განმავლობაში მან საფრანგეთში საქართველოს თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის ძლიერი სურვილის შენარჩუნება მოახერხა საფრანგეთის მიწაზე, სადაც განისვენებს მრავალი დიდი ქართველი, რომლებიც, ნოე ჟორდანიასა და ნოე რამიშვილის მსგავსად, თავისუფალ საქართველოზე ოცნებობდნენ. იმ საქართველოზე, რომელსაც თქვენ განასახიერებთ დღეს.

მე სრულიად ვუჭერ მხარს ქართული კულტურის ცენტრის გახსნის პროექტს ამ ფრანგულ სოფელში, რომელიც ყველა ქართველისათვის მოგონებების ადგილია და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა.

საქართველოსა და საფრანგეთს შორის ბრძოლის ველებზე დამყარდა სისხლით ნათესაური კავშირები. ქართველი დიმიტრი ამილახვარი 1942 წელს გმირულად დაეცა ლიბიაში. იგი დღესაც რჩება უცხოური ლეგიონის ლეგენდარულ ფიგურად, რომელსაც საფრანგეთის სიამაყე უწოდეს. ჩვენი ჯარისკაცები დღესაც გვერდიგვერდ იბრძვიან ავღანეთში, რათა დაამარცხონ ტერორიზმი.

ჩვენი საწარმოები, ფირმები დაგეხმარებათ ეკონომიკურ აღმავლობაში და ჩვენ აქ ვართ, რათა დაგეხმაროთ ქვეყნის განვითარებაში.

თქვენ წამოიწყეთ განათლების სისტემის ძირეული რეფორმა. წელს კავკასიის ფრანგული სკოლის გახსნით არაჩვეულებრივ შენობაში საფრანგეთი თქვენ გვერდით იქნება, რათა ჩამოყალიბდეს ხვალინდელი ელიტა, რათა ახალი ხიდები გაიდოს საფრანგეთს, ევროპასა და საქართველოს შორის...

მსურს, რომ თქვენმა ახალგაზრდობამაც მიიღოს განათლება მთელი მსოფლიოს ფრანკოფონური უნივერსიტეტების ქსელში.

გასული საუკუნის დასაწყისში, ისევე როგორც 2008 წლის აგვისტოს თვეში, საფრანგეთი და საქართველო ერთმანეთს ბედუკუღმართობისა და

განსაცდელის ჟამს შეხვდნენ ერთმანეთს. ამ შეხვედრებისას ჩვენს ხალხებს შორის ღრმა მეგობრობა დამყარდა. ამ საღამოს მე მოვედი აქ, თავისუფლების მოედანზე, რომ ამ მეგობრობის ზეიმში მივიღო მონაწილეობა. მოვედი, რათა დაგარწმუნოთ, რომ საფრანგეთი, ისევე, როგორც გუშინ, თქვენთან ერთად იქნება.

თქვენ გვერდში იქნება, თქვენი ერთგული მეგობარი იქნება, რათა დავუახლოვდეთ უფრო ევროპას. საფრანგეთი თქვენი სამუდამო ერთგული მეგობარია, რომლის იმედიც საქართველოს მუდამ შეიძლება ჰქონდეს.

გაუამრჯოს საქართველოსა და საფრანგეთს შორის მეგობრობას, გაუმარჯოს ამ ორ გმირ ხალხს.

---

გენერალ შარლ დე გოლის და საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის ზემოთმოყვანილი დისკურსების ანალიზის შედეგად, თვალნათელი ხდება პოლიტიკურ დისკურსში კოგნიტური ფენომენის არსებობის გარდაუვალობა. ორივე წარმოთქმული სიტყვის ბლენდებად დაყოფამ და შემდგომ მათმა შეჯამებამ პოზიტიური და ნეგატიური ხასიათის მქონე დეტალებად ცხადჰყოფს ავტორების მიერ დასახული მიზნები. პირველი დისკურსის შემთხვევაში ჩვენ მივიღეთ დადებითი და უარყოფითი მუხტების ფარდობითობა 10 // 2, ხოლო მეორის შემთხვევაში - 7 // 1. პოზიტიური, ოპტიმისტური ხატების აღმძვრელი მეტაფორული ერთეულების უპირატესობით განპირობებულია დისკურსების მიზანი, რაც ორივე მაგალითში წარმოადგენს საბრძოლო სიტუაციებით და პოლიტიკური დაძაბულობით დაღლილი და იმედგაცრუებული ხალხის სულისკვეთების აღზევებას.

შემთხვევითი არ გახლავთ ის ფაქტი, რომ ჩვენს მიერ მოყვანილმა დისკურსებმა ითამაშეს გადამწყვეტი როლი მოცემულ დროს, მოცემულ ადგილას და მოცემულ პოლიტიკურ სიტუაციაში - მეორე მსოფლიო ომის საშინელებით შეძრწუნებული ფრანგი ხალხი კვლავ დაუღალავად იბრძვის

საკუთარი ქვეყნის გადასარჩენად, ხოლო საქართველო-რუსეთის კონფლიქტი მშვიდობიანად მთავრდება ქვეყნის უმეტესი ნაწილისთვის.

# დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნისთვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თანამედრომე ლინგვისტიკის და, მათ შორის, ფსიქოლინგვისტიკის მზარდი ინტერესი პოლიტიკური დისკურსის მიმართ. პოლიტიკური დისკურსი დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების ამოსავალი და ძირითადი მამოძრავებელი ძალაა. დისკურსის და მათ შორის, პოლიტიკური დისკურსის შესწავლა მოითხოვს პლურიდისციპლინარულ მიდგომას. თითოეული დისკურსის მეცნიერული შესწავლის და გაანალიზების პროცესში ერთვება არაერთი მეცნიერების დარგი.

ნაშრომში შევეცადეთ, რომ დისკურსი განგვეხილა და შეგვესწავლა, როგორც მსმენელზე ორიენტირებული ხელოვნება. პოლიტიკური დისკურსი, როგორც ლინგვისტიკის საკვლევი ფენომენი, წარმოადგენს რთულ და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ნიშანთა სისტემას, რომელიც მიზნად ისახვს ხალხის მასებზე ზემოქმედებას. იგი წარმოგვიდგება, როგორც მსმენელზე ორიენტირებული ლინგვისტური და სოციოკულტურული ნიშნების ერთობლიობა, რომლის ანალიზი, ფსიქო-ლინგვისტური კუთხით, იძენს ჩამოყალიბებულ სახეს. დისკურსის და, მათ შორის, პოლიტიკური დისკურსის სპეციფიკების და მიზნობრიობის შესწავლა წარმადგენდა მრავალი სამეცნიერო დარგის - მათ შორის, ლინგვისტიკის და ფსიქოლინგვისტიკის საკვლევ სფეროს. ამგვარად, წარმოდგენილ ნაშრომში პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტური კვლევის თეორიები განხილულია, როგორც თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკის ძირითადი წყარო.

პოლიტიკური დისკურსის ფენომენთა და ასპექტთა შესწავლაში ისევ და ისევ ვლინდება ამოუხსნელი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა, მათი კოგნიტური ხასიათის გამო, ძირითადად წარმოადგენს შედარებით ახალი მეცნიერების - ფსიქოლინგვისტიკის განხილვის საგანს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, თანამედროვე მეცნიერება ჯერ ვერ აყალიბებს დისკურსის და, კერძოდ, პოლიტიკური დისკურსის დეტალური მახასიათებლების ამომწურავ

და დეტალურ სქემას, რომლის გარკვულ მცდელობას წარმოადგენს აღნიშნული სამეცნიერო ნაშრომი.

ჩვენს დისერტაციაში შევეცადეთ წარმოგვედგინა სქემები, რომლებიც თვალნათლივ ასახევენ არსებულ თეორიებს. ყველა ზემოთდასახელებულ პრობლემათა სიმრავლემ, სირთულემ და პოლიტიკურ დისკურსთან დაკავშირებულმა მუდმივმა ინტერესმა განსხვავებული სამეცნიერო დარგების და, მათ შორის, ლინგვისტიკის მხრიდან განაპირობა სადისერტაციო ნაშრომის პრობლემატიკის აქტუალურობა, მიზანი და მეთოდოლოგიური საფუძვლები.

ნაშრომის აქტუალურობას განაპირობებს ქართულ ლინგვისტიკაში აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილი შრომების სიმწირეც. ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური დისკურსი, უმეტესწილად, განიხილება პოლიტიკური მეცნიერებების, ფილოსოფიის, ჟურნალისტიკის მხრიდან. მართალია, ბოლო წლებში უკვე იქმნება გამოკვლევები და მეცნიერული შრომები, რომლებიც უშუალოდ ეხება ლინგვისტიკის სფეროს, თუმცა, კერძოდ მსმენელი აუდიტორიის ფენომენი ნაკლებადაა შესწავლილი. დღესდღეისობით ფსიქოლინგვისტიკა აქტიურად ერთვება პლურიდისციპლინარული მეცნიერებების ჭრილში, რაც აღნიშნულ ნაშრომს მატებს მეტ აქტუალურობას.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში განხილულ იქნა პოლიტიკური და ზოგადად დისკურსის ისტორიული და სამეცნიერო წინაპირობა, რაც გულისხმობს განსხვავებული მიდგომების, სამეცნიერო თეორიების ჩამოყალიბებას და ანალიზს, რაც დაგვეხმარა საკვლევი საგნის პლურიდისციპლინარულ და მრავალწახნაგოვან გააზრებაში. პირველად აღინიშნა და გამოვლენილ იქნა უნივერსალიები მოცემული თემის შესაბამისად და გამოისახა გარკვეული ნოვატორული თვალსაზრისი. არსებული თავისებურებების განხილვისა და ჩატარებული ანალიზის საფუძველზე დადგინდა ფსიქოლინგვისტიკის დონეზე პოლიტიკური დისკურსის სამიზნე საზოგადოების როლის მნიშვნელობა და აღნიშნული ფენომენის რეალიზებისთვის საჭირო ლინგვისტური ერთეულები და ასპექტები.

განხილულ და გაანალიზებულ იქნა თანამედროვე ლინგვისტიკის და ფსიქოლინგვისტიკის სფეროებში უკვე არსებულ კვლევებზე დაყრდნობით მიღებული შედეგები, რამაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტურ კონსტრუქციებში პოტენციური მსმენელის ან მსმენელი საზოგადოების როლის უდავო აქტუალობა, რაც თვალნათლივ ვლინდება სინტაგმურ და აზრობრივ დონეზე გარკვეული მარკერების და ხერხების არსებობით.

ნაშრომის ნოვატორულ ხასიათს განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მასში პირველად ერთმანეთთან დაკავშირებულ იქნა ლინგვისტიკის ორი თანამედროვე თეორია - ერთი მხრივ, ჯ. ლაკოფისა და მ. ჯონსონის თეორია კონცეპტუალური მეტაფორის შესახებ და მეორე მხრივ, მ. ტერნერის და ჯ. ფოკონიეს ნაშრომი, რომელიც ეძღვნება კონცეპტუალურ ინტეგრაციას. სწორედ აღნიშნული გამოკვლევების შედეგებზე დაყრდნობამ და მათმა ლოგიკურმა სინთეზმა მოგვცა საშუალება განგვეხილა პოლიტიკური დისკურსი ახლებური, ფსიქოლინგვისტური სპექტრის ჭრილში და დაგვესაბუთებინა მსმენელის როლის უტყუარობა პოლიტიკური სიტყვის შექმნის და წარმოთქმის პროცესში. განხილულია ფრანგული ლინგვისტური სკოლის საინტერესო და ნოვატორული გამოკვლევებიც, რომლებიც უშუალოდ ხაზს უსვამენ მსმენელის უდავო არსებობას.

ორი ზემოთხსენებული თეორიის სინთეზის საფუძველზე, ცნობილი ფრანგი პოლიტიკოსების შარლ დე გოლის და ნიკოლა სარკოზის დისკურსების გარჩევით თვალნათლივ გამოჩნდა პოლიტიკური დისკურსის ძირითადი სამიზნე - მასმენელი საზოგადოება.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა საინტერესოა იმითაც, რომ მისი შედეგების გამოყენება შესაძლებელ იქნება ლინგვისტიკასა და კერძოდ, ფსიქოლინგვისტიკაში მომავალი კვლევების განხორციელებისთვის. მსმენელის როლის შესწავლა წარმოადგენს მნიშვნელოვან ბირთვს დისკურსის და პოლიტიკური დისკურსის ანალიზის საკითხში. ჩვენს მიერ მიღებული შედეგების განზოგადება საფუძველს ჩაუყრის თანამედროვე მეცნიერებაში ნოვატორული მიდგომების და თეორიების გაჩენას, რაც მნივნელოვანია

თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკის განვითარებისთვის და ქართული ლინგვისტური სკოლის მიღწევების გაფართოება-პოპულარიზაციისთვის.

# ბიბლიოგრაფია


1. **არისტოტელე 1964:** არისტოტელე. *პოეტიკა.* თბილისი: 1964.
2. **ასათიანი 2006:** ასათიანი, მარიკა. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი: 2006.
3. **ატკინსონი 2014:** ტკინსონ, . ოლიტიცალ ჩორრეცტნესს. ჰტტპ://ЃЃЃ.ოურცივილისატიონ.ცომ/პც.ჰტმ
4. **ბარათაშვილი 1970:** ბარათაშვილი, ნიკოლოზ. კრებული. თბილისი: 1970.
5. **ბარბაქაძე 2012:** ბარბაქაძე, ც. *სამყარო სემიოტიკის თვალით.* შემიოტიცსჯოურნალ.ჴორდპრესს.ცომ. 2012.
6. **ბარტი 1980:** არტჰეს, ღოლანდ რარდ. *შურ ლა ლიტტ რატურე.* რესსეს უნივერსიტაირეს დე რენობლე: 1980.
7. **ბარტი 1989:** Барт. *Семиотика; Поэтитика.* Москва: 1989.
8. **ბახტინი 1986:** Бахтин М. М. *Формы времени и хронотопа в романе.* Литературно-12. критические статьи. Москва: 1986.
9. **ბენვენისტი 1974:** Бенвенист Э. *О субъективности в языке. Общая лингвистика.* Москва: Прогресс, 1974.
10. **ბიუტორი 1985:** უტორ, იცჰელ. *ატი რე დე რ ვეს: ს რიე დე ცინქ ოუვრაგეს.* აცჰეტტე. არის: 1985 .
11. **ბოგდანოვი 1993:** Богданов В.В. *Текст и текстовое общение.* Москва: СПб, 1993.
12. **ბორხესი 1999:** Борхес, Хорхе Луис. *Книга вымышленных существ.* Москва: Азбука, 1999.
13. **ბუფონი 2002:** უფფონ, ერტრანდ. *ა პაროლე პერსუატივე.* არის: 2002.
14. **დეიკი 1989:** Ван Дейк Т. А. *Язык, познание, коммуникация*. Москва: 1989.
15. **დიკი 1988:** იჯკ, თ. . ვან. *ეჷს ას დისცოურსე.* ეჷ ჟერსეყ: 1988
16. **დისკურსის ანალიზი:** ჰტტპ://ფრ.ჴიკიპედია.ორგ/ჴიკი/ ნალყსე–დუ–დისცოურს
17. **დიუკრო 1995:** უცროტ, ., შცჰაეფფერ, ჟ. . *ოუვეაუ დიცტიონნაირე ენცყცლოპ დიქუე დეს სციენცეს დუ ლანგაგე.* არის : შეუილ, 1995.

18. **ეკო 1996:** ცო, მბერტო. *შიხ პრომენადეს დანს ლეს ბოის დუ რომან ეტ დ'აილლეურს.* არის: ალლიმარდ, 1996.
19. **ელექტრონული ლექსიკონი 2013:** ე დიცო დეს დ ფინიტიონს. ჰტტპ://ლესდეფინიტიონს.ფრ/ტეხტე-სციენტიფიქუე
20. **ემერენი 2002:** ემერენ, . . Vან. *დვანცეს ინ რაგმა- იალეცტიცს.* მსტერდამ : შიცშატ; ეწპორტ ეწს (Vირგინია), Vალე რესს, 2002.
21. **ფერკლუ 2001:** აირცლოუგჰ, . *ანგუაგე ანდ ოწერ.* ეწ- ორკ: 2001.
22. **ფოკონიე 1985:** აუცონნიერ, . *ენტალ სპაცეს.* ჩამბრიდგე: 1985.
23. **ფრანგული ენის სწავლების ცენტრი:** ჰტტპ://წწწ.ციეპ.ფრ
24. **ფრიფიხი 1986:** რიედრიცჰ, . *თჰე ანგუაგე არალლახ, ინგუისტიც დელატივისმ ანდ ოეტიც Iნტერმედიაცყ,* უსტინ, თX: ნივერსიტყ ოფ თეხას რესს, 1986.
25. **ფრომკინი 1991:** რომკინ, . *ანგუაგე ანდ რაინ.* ჩამბრიდგე: 1991.
26. **ფუკო 1994:** ოუცაულტ, იცჰელ. *იტს ეტ ცრიტს.* არის: ალლიმარდ, 1994.
27. **ფუკო 1996:** Фуко М. *Археология знания.* Киев: 1996.
28. **გრი 1996:** *რიეს, დ. იესენერ,* ჩამბრიდგე: 1996.
29. **ჰაბერმასი 1963:** აბერმას, ჟ რგენ. *თჰ ორიე ეტ პრატიქუე, ტიტრე ორიგინალ : თჰეორიე უნდ რახის.* უნიცჰ: 1963.
30. **ჰაიმსი 1974:** ყმეს . *ოუნდატიონს ინ შოციოლინგუისტიცს - ან ტჰნოგრაპჰიც პროაცჰ. ჰილადელპჰია.* ნივერსიტყ ოფ ენსილვანია რესს, 1974.
31. **ჰარისი 1951:** არრის, ძელლიგ. *ეტჰოდს ინ შტრუცტურალ ინგუისტიცს,* ეწ- ორკ: 1951.
32. **ჰერმანი 1988:** არმან, ეორგე. *ჩოგნიტივე სციენცე.* ჩამბრიდგე: 1988.
33. **ჰოლიდეი 1978:** ალლიდაყ . . . *ანგუაგე ას სოციალ სემიოტიც: თჰე სოციალ ინტერპრეტატიონ ოფ ლანგუაგე ანდ მეანინგ.* ონდონ: 1978.
34. **ჰორგანი 1994:** ორგან, ჟ. *ჩან სციენცე ეხპლაინ ცონსციოუსნესს.* შციენტიფიც მერიცან, 1994.
35. **ჯეკენდოფი 1992:** *ჟაცკენდოფფ, დ. ანგუაგეს ოფ ტჰე მინდ.* ჩამბრიდგე: 1992.
36. **ჯეკენდოფი 1992:** ჟაცკენდოფფ, დ. *რცჰიტეცტურე ოფ ტჰე ანგუაგე აცულტყ.* ჩამბრიდგე: 1997.

37. **ქიდი 1997:** იდე, აულ უილლაუმე ნდრ . *ლ ფლეხიონს სურ ქუელქუეს პოინტს დე ლიტტ რატურე ეტ დე მორალე,* ერცურე დე რანცე, 1997.

38. **ჯონსონი 1999:** ჟოჰნსონ . ჟოჰნსონ . *ნცყცლოპედიც იცტიონარყ ოფ პპლიედ ინგუისტიცს.* ლაცკწელლ უბლისჰერს, 1999.

39. **კორნილოვა 1998:** Корнилова, Е. Н. *Риторика — искусство убеждать.* УРАО, 1998.

40. **კოსერიუ – 1963:** Косериу Э. *Синхрония, диахрония и история. Новое в лингвистике.* Москва: 1963.

41. **კრასნიხ 2002:** Красных В. В. Этнопсихолингвистика и лингвокультурология. Москва: 2002.

42. **ლაკოფი 1982:** აკოფფ, ეორგე. *ჩატეგორიეს ანდ ცოგნიტივე მოდელს.* ერკელეყ ცოგნიტივე სციენცე რეპორტ 2. ერკელეყ: 1982.

43. **ლაკოფი 2004:** აკოფფ, ეორგე. *თჰე ჩონტემპორარყ თჰეორყ ოფ ეტაპჰორ.* ერკელეყ: დიტორიალ, 2004.

44. **ლასველი 1969:** ასსწელლ, აროლდ წიგჰტ. *ოლიტიცალ ჩომმუნიცატიონ: უბლიც ანგუაგე ოფ ოლიტიცალ ლიტეს ინ Iნდია ანდ ტჰე შ.* ეწ ორკ: ონრად ელლენ & ჟეან ერნერ, Vინტაგე ოოკს, 1969.

45. **ლებანიძე 1998:** ლებანიძე გ. *ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა.* თბილისი: 1998.

46. **ლებანიძე 2004:** ლებანიძე, გ. *კომუნიკაციური ლინგვისტიკა.* თბილისი: ენა და კულტურა, 2004.

47. **ლეკომტი 2013:** ეცომტე, ჟულიენ. *ისცუსსიონ ც'ესტ ლა გუერრე.* ჰტტპ://ჯულიენ.ლეცომტე.ოვერ-ბლოგ.ცომ/არტიცლე-ლა-დისცუსსიონ-ც-ესტ-ლა-გუერრე-57487633.ჰტმლ

48. **ლევინსონ 1983:** ევინსონ შ. ჩ. რაგმატიცს. ჩამბრიდგე : ჩამბრიდგე ნივერსიტყ რესს,1983.

49. **ლევინსონი 1983:** ევინსონ, შ. *რაგმატიცს.* ჩამბრიდგე ნივერსიტყ რესს მიულერი, 1983.

50. **ლურია 1998:** ლურია, ა. რ. *ენა და ცნობიერი.* როსტოვი: ფენიქსი, 1998.

51. **ლურჯა 1950:** ლებანიძე, მურმან. *ლექსების კრებული.* თბილისი: 1950.

52. **მაასი 2002:** აას, ლრიცჰ. *ინგუისტიც.* ეწ- ორკ: ცადემიც, 2002.

53. **მაიარი 1974:** აილლარდ, . *სსაი დე ტყპოლოგიე დეს სუბსტიტუტს დია-პჰორიქუეს. შუპპორტს დ უნე ანაპჰორე ეტ/ოუ დ უნე ცატაპჰორე.* არის: ანგუე ფრან აისე, 1974.

54. **მაკაროვი 2005:** Макаров М. *Основы теории дискурса.* Москва: 2003.

55. **მენგენო 1976:** აინგუენეაუ, . *Iნიტიატიონ აუხ მეტჰოდეს დე 1 ანალყსე დუ დისცოურს.* არის: იბრარიე აცჰეტტე, 1976.

56. **ნერეტინა, ოგურცოვი 2005:** Неретина С. С. Огурцов А. П. *Концепт как возможность постижения смысла. Дискурс Теоретическая культурология.* Москва: 2005.

57. **ნიჟარაძე 2010:** ნიჟარაძე ნ. *საკომუნიკაციო კომპეტენცია და სინტაქსური სინონიმია, როგორც ფსიქოლინგვისტური პრობლემა.* ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010.

58. **ომიაძე 1998:** ომიაძე თ. პარალინგვისტიკა და მეტყველების თანმხლებ საშუალებათა აღწერა ენაში. ივანე ჯავახიშვილის სახელმწ. უნივერსიტეტი, 1998.

59. **ონლაინ ლექსკონი 2014:** ჰტტპ://ტრანსლატე.გოოგ.მე/ჭორდს

60. **ორველი 1968:** რწელლ, ეორგე. *ოლიტიცს ანდ ტჰე ნგლისჰ ანგუაგე.* ონდონ: 1968

61. **ოსგუდი 1956:** ჩჰარლეს . სგოოდ, *ეტჰოდ ანდ თჰეორყ ინ ხპერიმენტალ სყცჰოლოგყ.* ხფორდ: 1956.

62. **ოსტინი 1970:** უსტინ, ჟ. . *უანდ დირე, ც'ესტ ფაირე.* არის : 1970.

63. **პავო 2003:** ავეაუ, . ., შარფატი, . . *ეს გრანდეს ტჰ ორიეს დე ლა ლინგუისტიქუე.* არის : ჩოლინ, 2003.

64. **პლანტენი 2002:** ლანტინ, ჩ. *ნალყსე ეტ ცრიტიქუე დუ დისცოურს არგუმენტატიფ.* არის : არმატტან, 2002.

65. **პროხოროვი 2004:** Прохоров Ю. Е. *Действительность. Текст. Дискурс.* Москва: 2004.

66. **პურჟუაზი 2002:** ოუგეოისე, . *იცტიონნაირე დე რჰ ტორიქუე.* არის : რმანდ ჩოლინ, 2002.

67. **ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.** თბილისი. 1986.

68. **რასტიე 2001:** ღასტიერ, . *რტს ეტ სციენცეს დუ ტეხტე.* არის : , 2001.

69. **რებული 1975:** ღებოულ, . *ე სლოგან.* არის : , 1975.

70. **რებული 1998:** ღებოულ, . ოესცჰლერ, ქ. *რაგმატიქუე დუ დისცოურს.* არის: ჩოლინ, 1998.

71. **რიუტო 2007:** ღიუტორტ, . *შოციოლოგიე დე ლა ცომმუნიცატიონ პოლიტიქუე.* არის: ა ცოუვერტე, 2007.

72. **რობერი 2012:** *იცტიონნაირე ე ეტიტ ღობერტ*: 2012

73. **რობრიე 1993:** ღობრიეუხ, ქ.ქ. *ლ მენტს დე რჰ ტორიქუე ეტ დ'არგუმენტატიონ.* არის: უნოდ, 1993.

74. **როჟდესტვენსკი 2003:** Рождественский Ю. В. *Философия языка. Культуроведение и дидактика: Современные проблемы науки о языке.* Москва: 2003.

75. **რომანოვა 2001:** Романова О. И. *Англо-русский словарь полингвистике и семиотике.* Москва: 2001.

76. **სალმონი 2007:** შალმონ, ჩ. შტორყტელლინგ. *ა მაცჰინე ფაბრიქუერ დეს ჰისტოირეს ეტ ფორმატერ ლეს ესპრიტს.* არის: 2007.

77. **სამეცნიერო ჟურნალი 1963:** *თჰ ორიე ეტ პრატიქუე, ტიტრე ორიგინალ : თჰეორიე უნდ რახის.* უნიცჰ: 1963.

78. **სამეცნიერო ჟურნალი 2011:** *ისტოირე დეს თჰ ორიეს დე ლ'არგუმენტატიონ.* არის: ა ცოუვერტე, 2011.

79. **შაროდო 1971:** ჩჰარაუდეაუ, . *ჩოურს დე ლინგუისტიქუე.* არის: ჩენტრე დე დოცუმენტატიონ უნივერსიტაირე, 1971.

80. **სარტრი 1972:** შარტრე, ქ. . *'ტრე ეტ ლე ანტ..* არის: ალლიმარდ, 1972.

81. **შეიგალი 1998:** Шейгал Е. И. *Структура и границы политического дискурса.* Краснодар: 1998.

82. **შეიგალი 2000:** Шейгал Е.И. *Семиотика политического дискурса. Монография.* Москва - Волгоград: 2000.

83. **შეიგალი 2000:** Шейгал Е.И. *Смысловая неопределенность как фактор политического дискурса. Политический дискурс. Материалы рабочего совещания-семинара.* Москва: Диалог, МГУ, 2000.

84. **შეიგალი 2000:** Шейгал Е.И. *Театральность политического дискурса. Единицы языка в их функционировании.* Саратов: СГАП, 2000.

85. **შეიგალი 2002:** Шейгал Е.И. *Рефлексивы в политической коммуникации. Теоретическая и прикладная лингвистика*. Воронеж: 2002.

86. **შეიგალი 2002:** Шейгал Е.И., Арчакова Е.С. *Тезаурусные связи и структура концепта. Язык, коммуникация и социальная среда.* Воронеж: 2002.

87. **სერიო 1999:** შ რიოტ, ატრიცკ. *შტრუცტურე ეტ თოტალიტ . ეს რივინეს Iნტელლეცტუელლეს დუ შტრუცტურალისმე ენ ეუროპე ჩენტრალე ეტ რიენტალე.* არის: რესსეს უნივერსიტაირეს დე რანცე, 1999.

88. **შევალიე 1969:** ჩჰევალიერ, ჟ.-ჩ. *ხერციცეს პორტანტ სურ ლე ფონცტიონ-ნემენტ დეს პრფესენტატიფს. ანგუე ფრან აისე,* არის: 1969.

89. **სლიმბროკი 2000:** შლემბროკე, შ. *ჭჰატის დისცოურსეანალყსის?* ღ : ჰტტპ://ჼჼჼ.ბანკ.რუგ.192

90. **სოსიური 1982:** შაუსსურე, ერდინანდ დე. *ფინიტიონ დუ ცონცეპტ დე ლანგაგე.* ენ ვე: 1982.

91. **შტაინერი 1997:** შტეინერ, ეორგე. *ასსიონს იმპუნის.* არის: ალლიმარდ, 1997.

92. **სტენდალი 1964:** შტენდჰალ. *ა ჩჰარტრეუსე დე არმე.* არის: ლამმარიონ, 1964.

93. **ვინიო 1995:** Vიგნაუხ, ეორგეს. *ჩ. .ღ.შ. ა ღევუე. ნ 15.* ერმ ს, 1995

94. **ვოლტერი 1962:** Vოლტაირე. *იცტიონნაირე პჰილოსოპჰიქუე.* არის: ალლიმარდ, 1962.

95. **წერეთელი 1984:** წერეთელი, აკაკი. *კრებული.* თბილისი: განთიადი, 1984

96. **ყარალაშვილი 1977:** ყარალაშვილი, რევაზ. *წიგნი და მკითხველი.* თბილისი: განთიადი, 1977.